

საბჭოთავო  
სპორტის  
საბჭოთავო

საბჭოთავო სპორტის  
1  
1963  
საბჭოთავო სპორტის



# საქართველო სულთნობა



თეატრი გუსიან გსეტკობა  
ქინო აკვიტეკტუკა  
ქოკეობკაჟინა

საქართველო სსკ  
ქულტუკის  
საინფორმაციო  
ყოველთვიური  
ქუკნალი

1



ვ. მუხინა

თავთები

---

მთავარი რედაქტორი—ოთარ ევაძე

სარედაქციო კოლეგია: შალვა ამირანაშვილი, გელა ბანძელაძე, კარლო გოგოძე, ალექსი მაჭავარიანი, ნათელა ურუშაძე, გრიგოლ ფოფხაძე, დიმიტრი ჯანელიძე, ვანო წულუკიძე.

საქართველო  
საბჭოთა  
საზოგადოებრივი  
საბჭოთა

№ 1

1963

მ. კლიონსკი

ახალგაზრდობა



# ახალი წელი, ახალი ამოცანები



ადგა ახალი, 1963 წელი, რომელმაც ახალი წარმატებები უნდა მოუტანოს კომუნისტის მშენებელ საბჭოთა ხალხს.

ჩვენი ქვეყნის, მრავალეროვანი საბჭოთა კავშირის მშრომლები, მუშები და კოლმეურნენი, მეცნიერები და მოსწავლეები, ხელოვნებისა და ლიტერატურის ადამიანები ხელმედაკარწახებულნი სვდებიან ახალი ამოცანების, ახალი მიზნების ასაღებად გაშლილ კომუნისტური მშენებლობის ფრონტს. შეიარაღებული ისტორიული XXII ყრილობის გადაწყვეტილებებით, ნოემბრის პლენუმზე და დეკემბრის სესიაზე აშ. ნ. ს. სრუშოვის გამოსვლებით საბჭოთა ხალხი მტკიცედ ახორციელებს საკუთარი ქვეყნის ეკონომიური აღორძინების გრანდიოზულ გეგმას, ურყევი, შეუდრეკელი ნაბიჯით მიიწევს წინ მსოფლიოში მშვიდობისა და კეთილდღეობის მისაღწევად, ომის საფრთხის მოსასპობად, თანაარსებობის ლენინური პრინციპის გასახორციელებლად.

საბჭოთა კავშირის ხელოვანთა დიდი არმია ყოველთვის ედგა და ახალ შემოქმედებით წელშიც მტკიცედ ედგება მხარში მშობლიურ პარტიასა და მთავრობას საერთო საკაცობრიო მიზნების გასახორციელებლად ბრძოლაში. თეატრისა და კინოს, სახვითი ხელოვნებისა და მუსიკის, პოლიგრაფიისა და გამოცემლობის, კულტაგანმანათლებლო დაწესებულებებისა და უმაღლესი და საშუალო მხატვრული განათლების მუშაკები ყველაფერს გააკეთებენ, რათა 1963 წელი უფრო ნაყოფიერი იყოს, ვიდრე გასული 1962 წელი, უფრო მეტი სულიერი სიმდიდრე შექმნას, ვიდრე შარშან და უფრო მეტად აამაღლონ საბჭოთა ადამიანების მხატვრულ-ესთეტიკური გემოვნება, ვიდრე წინა წლებში.

საქართველოს სსრ მხატვრული ინტელიგენცია ყოველთვის

იყო და ახლაც მტკიცედ რჩება სოციალისტური რეალიზმის მეთოდით შეიარაღებული. მას მაღლა უკავია და ეკავება ხალხთა მეგობრობის დიდი დროშა, რომელსაც აწერია ლენინის უკვდავი მოთხოვნა — ინტერნაციონალური სულისკვეთებით აღსავსე მრავალეროვნული ხელოვნების შენახვა-განვითარება.

ხელოვნებას ყოველთვის ეკისრებოდა მასების პროგრესული სულისკვეთებით აღზრდა, მათში ცხოვრების სიყვარულის ჩანერგვა, დასახული მიზნების ბრძოლისათვის ენერჯითა და ერთუზიანებით აღვსება. ეს კეთილშობილური ამოცანა მით უფრო მკვეთრად გამოიკვეთა ახლა, როცა ჩვენი ხალხი გათკეცებული ენერჯით აშენებს კომუნისტურ, როცა, მიუხედავად გართულებული საერთაშორისო მდგომარეობისა, იმპერიალიზმის გამშაგებისა, ხელს უწყდის განმათავისუფლებელ მოძრაობას კოლონიალურ ქვეყნებში, მატერიალურად და სულიერად ეხმარება ნაკლებად განვითარებულ ერებს, მხარში უდგას მოძვე დემოკრატიულ ქვეყნებს, წინ მიუძღვის მთელ სოციალისტურ ბანაკს.

დიდი და კონკრეტული ამოცანები დგას საქართველოს ხელოვანთა წინაშე. ახლა უფრო მეტად საჭიროა ნათელი სოციალისტური რეალიზმის მეთოდით შეიარაღება, ახალ, თანამედროვეობის თემაზე სპექტაკლების, ფილმების, ტილოების შექმნა, ხელოვნების მასებში გატანა, ცხოვრებასთან მტკიცედ დაკავშირება, ლენინის იმ მოთხოვნისათვის ხორციის შესხმა, რომლითაც ხელოვანი ღრმად უნდა იჭრებოდეს ხალხის, მასების შუა გულში, აღაფთოვანებდეს მას, განავითარებდეს და წარმართავდეს დიდი მიზნისათვის ბრძოლაში.

ახალი წელი ახალ ტრადიციებს განაბტყეობს და განავითარებს. და ეს იქნება მხატვრული ინტელიგენციის საჩუქარი მშობლიური პარტიისადმი, დედა სამშობლოსადმი.



ვ. თოფურძე

გამარჯვება (ფრაგმენტი)

## საბჭოთა მხატვარი ხალხს ემსახურება



ოველი მუშა, ყოველი გლეხი, ყოველი ინტელიგენტი თამამად იტყვის: სახელმწიფო — ეს ჩვენა ვართ, მისი პოლიტიკა — ეს ჩვენი პოლიტიკაა, მისი განვითარებისა და განმტკიცების ამოცანა, მისი დაცვა ყო-

ველგვარი თავდასხმისაგან — ეს ჩვენი საერთო ამოცანაა — ასე დაახასიათა ნ. ს. ხრუშჩოვმა თანამედროვე საბჭოთა ადამიანის, კომუნისტის გაშლილი მშენებლობის აქტიური მონაწილის ფსიქოლოგია. და ეს ასეც არის. სოციალისტური საზოგადოების

წინსვლისა და გაფურჩქვნის საერთო ამოცანა საკუთარ, პირად ამოცანად გაიხადეს საბჭოთა მხატვრებმა — ფერმწერლებმა, გრაფიკოსებმა, მოქანდაკეებმა, კერამიკოსებმა და დეკორატიული ხელოვნების ოსტატებმა, ყველა იმათ, ვინც თავიანთ შემოქმედებასა და ნიჭს, შრომასა და გარჯას ხალხის სამსახურის ანდომებენ, კომუნისტის დიადი შენობის აგების კეთილშობილურ საქმეს ასმარენ.

ბუნებრივია, საბჭოთა მხატვართა ასეთი მაღალი როლი მთელი საზოგადოების, ხალხისა და პარტიის მაღლობას იმსახურებს. კომუნისტური პარტია და საბჭოთა მთავრობა მთელ საბჭოთა ხალხთან ერთად ცხოველ ყურადღებით ეპყრობა მხატვართა შემოქმედების ზრდას, მათ სულიერ და მხატვრულ-ესთეტიკურ მოთხოვნებს, მათი ზრდის საკითხებს. ამ ყურადღების ერთ-ერთი ახალი მაგალითია პარტიისა და მთავრობის ხელმძღვანელების შეხვედრა მოსკოველ მხატვრებთან 1962 წლის 1 დეკემბერს.

უკვე ორი თვეა, რაც გაიხსნა სსრკ მხატვართა კავშირის მოსკოვის განყოფილების არსებობის 30 წლისთავისადმი მიძღვნილი გამოვენა, რომელზედაც წარმოდგენილი იქნა 2000 მეტი ექსპონატი. ექსპოზიციაში ბევრია საყოველთაოდ ცნობილი ტილოები, სკულპტურა, ნახატი, პლაკატი, კარიკატურა, გამოყენებითი და დეკორატიული ხელოვნების ნაწარმოები. მრავალი ექსპონატი აცოცხლებს საბჭოთა ხალხის ბრძოლასა და შრომის საბჭოთა ხელისუფლების დამყარების, განმტკიცებისა და გაძლიერებისათვის, რომელთა ავტორები არიან განთქმული ოსტატები.

მოსკოველ მხატვართა საიუბილეო გამოვენამ ფართო მასების ყურადღება მიიპყრო. მარტო ერთი თვის განმავლობაში გამოვენა დაათვალიერა ასიათასზე მეტმა კაცმა. მუშები, კოლმეურნენი, მეცნიერებისა და კულტურის მუშაკები, სტუდენტები, მოსწავლეები და საბჭოთა არმიის მებრძოლებიც ცხოველი ინტერესით ეცნობოდნენ მრავალფეროვან ექსპოზიციას და, როგორც წესი, დარბაზებში სახელდახელო დისკუსიები იმართებოდა. ერთი



ინტერესთა ხედვებოდნენ იმ მხატვრების ნამუშევრებს, რომლებიც უწინ არ იყვნებოდნენ, მეორენი გულგრილობას იჩენდნენ იმათ მიმართ, ვინც თავიანთი ტროლეობით გაუგებარა რჩებიან მასებისათვის. მხახვალთა დიდი ჯგუფი თავს იყრიდა ისეთ რეალისტ-მხატვრების ტილოების წინ, რომლებიც თავიანთი წერის მანერით მკვეთრად განირჩევიან ერთმანეთისაგან. ბევრს კამათობდნენ ა. დვინეკას, ა. პლასტოვის და ა. ლაკტიონოვის შემოქმედების შესახებ, რომლებიც თავიანთებურად ასახვენ ჩვენი ხალხის ცხოვრებას. ზოგი იწონენდა ლაკტიონოვის წერის მანერას, იმასაც, როცა იგი დეტალურად სწვდება ნახატს, სურათს ხდის გასაგებს, მეორენი იწუნებდნენ — ამგანებდნენ ფოტოგრაფს, ნატურალისტს. მაგარამ ერთნიც და მეორენიც მიიჩნევდნენ მას ისეთ მხატვრად, რომელიც თავისებურად, მაგრამ მაინც აჩვენებს ცხოვრებას, სინამდვილეს.

უკმაყოფილებიან და გაკვირვების გრძნობა გამოიკვლია ზოგიერთი ძვილი და ახალი თაობის იმ მხატვრების ნამუშევრებმა, რომლებშიც სრულიად არ არის იდეა და ოსტატობა. ფორმალისმის ტყვეობაში აღმოჩნდნენ მხატვრები რ. ფალკი („გამომდებელი“, „ნატურმორტი“), პ. ნიკონოვი („გეოლოგები“), ა. პოლოგოვა („ადვობა“), ა. დრეიანი, ა. ვასნეკოვი („საუხე“) და სხვები.

ასეთი არასწორი, მახინჯი სურათები მაყურებელთა კანონიერ უკმაყოფილებას იწვევდნენ. ზოგიერთი ასეთი ავტორი თავისეულ ხუჭუჭ ცხოვრებაზე, სინამდვილეზე, ხალხის შრომასა და ენთუზიაზმზე, დღევანდელი მისი ქედრადობაზე და პირამორბუნებულად, დახინჯებულად წარმოდგენის საშუალოა დაამიანების შრომით გარჯას, წარმოებას, ამაღლებას. ასეთი ვიზუალური არ ამჩნევენ ჩვენი ცხოვრების ახალ მოვლენებს, ქმნიან ადამიანისადმი უპატივიცემლობის გრძნობით აღბეჭდილ ციკას და უსულგულო სურათებს, ბაძვენ უცხოეთის ფორმალისტ-ფერმწერლებისა და მოქანდაკეების ავადმყოფურ მანერას. ცხადია, ასეთ „სურათებს“ გულთან

ვერ მიიტანს საბჭოთა მაყურებელი ამიტომ იყო, რომ, ერთ-ერთი ასეთი ნამუშევრის— ნიკონოვის „გეოლოგების“ გაცნობის დროს ამხ. ნ. ს. ხრუშოვმა თქვა:

— სურათი ადამიანს უნდა აღამაღლებდეს, აღანთებდეს და წარმართავდეს მას კეთილშობილური გმირობისაკენ. განა ამგვარ სურათებს შეუძლიათ შესარულონ ასეთი მაღალი საზოგადოებრივი ამოცანა?

ნ. ს. ხრუშოვმა ყურადღება მიაქცია იმას, რომ ზოგიერთი მხატვარი ქედმაღლურად, თავგაღებულად ეყრბობა საზოგადოებრივ აზრს სასურველი ნაწარმოების მიმართ, მან სთქვა, რომ თუ ნაწარმოები გასაგებია მხოლოდ მისი ავტორისათვის და არ აღიარა ხალხმა, ასეთი ნაწარმოები არ შეიძლება მიეკუთვნოს ნამდვილ ხელოვნებას.

გამოფენაზე მოსულთ, მხატვრებსა და ხალხს დიდად აინტერესებდათ პარტიისა და მთავრობის ხელმძღვანელების საერთო აზრი გამოფენის შესახებ: ამაზე ამხ. ნ. ს. ხრუშოვმა უპასუხა:

— როგორც ყოველ გამოფენაზე, აქ წარმოდგენილია როგორც კარგი, ისე საშუალო და სუსტი ნამუშევრები. გამოფენის მომწყობნი ბევრ შემთხვევაში, ალბათ, აპყენენ იმათ, რომლებიც იცავენ სუსტსა და მიუღებელ ნაწარმოებებს, გამოავლინეს ლიბერალიზმი. ხელოვნების ხელმძღვანელობას სჭირდება დიდური თანმიმდევრობა და პრინციპულობა, გაგება, სიხუსტე და შეურიგებლობა ყოველგვარი მერყეობისადმი და უკანდახევისადმი ჩვენი ხელოვნების — კომუნისმის მშენებელი ხალხის ხელოვნების განვითარების მთავარი ხაზიდან.

მხატვრებმა და მოქანდაკეებმა მხურვალე მადლობა გადაუხადეს ამხანაგ ნ. ს. ხრუშოვს, პარტიისა და მთავრობის ხელმძღვანელებს, გამოფენის ნახვისათვის, მათი შემოქმედებითი შრომისადმი ყურადღებისათვის, ძვირისათვის რჩევებისათვის, კრიტიკულ შენიშვნებისათვის და სთქვეს, რომ ისინი გაითვალისწინებენ ამ რჩევებსა და შენიშვნებს თავიანთ შემოქმედებითს მუშაობაში.

საბჭოთა ხელოვნებისათვის „დოქტრინული“ და მთავრობის ხელმძღვანელებმა ინახულეს ზოგიერთი გრძელწლოვანი ასტრატციონისტების ნამუშევრები, რომლებიც ერთი შეხედვით კი გულისამრევე გრძნობას იწვევდა მაყურებელში. როცა ნ. ს. ხრუშოვი შეეცაბა ერთ-ერთი ასეთი სურათის ავტორს, რომ შეხანს ისასხეს, აზრს ატარებს იგი თავის სურათში, მხატვარი უწუწოდა ალუღლულად, აბანულად მიედ-მოედ, ვერც თავი დაანდებდა ვერც ბოლო მოაბა საკუთარ კონცეციას. ამიტომ იყო, რომ ამხ. ნ. ს. ხრუშოვმა სრულიად სამარულიანად და მწვავედ მიმართა ასეთ გაიმხატვარს:

— ასეთი „შემოქმედება“ უცხოა ჩვენი ხალხისათვის, იგი უარყოფს, მას. აი ამას უნდა დაუფიქრდნენ ადამიანები, რომლებიც თავიანთ თავს მხატვრებს უწოდებენ, თვითონ კი ისეთ „სურათებს“ ქმნიან, რომ ვერ გაიგებ — დახატულია ისინი ადამიანის ხელით თუ მოთხუხუნულია სახელოის კუთხით. მათ უნდა შევიწინ თავიანთი შექცობა და იმუშავონ ხალხისათვის.

ნ. ს. ხრუშოვის ამ მწვავე გამოთქმას მოწონებით შეხედნენ მხატვრები, ისინი, ვინც მართლაც სამსახურში დგანან და საზოგადოების კეთილდღეობა თავიანთი ცხოვრების მიზნად გაუხდიათ. მოიწონეს ნ. ს. ხრუშოვის სიტყვები ფართო მასებამაც.

„მე სამი შვილის დედა ვარ.— წერს შთაბეჭდილებების წიგნში მოსკოველი მ. ლ. სოლოვევა. ძალიან ხშირად, თითქმის ყოველდღე, ადვილად სკოლაში. მოსწავლეებთან ერთად ჩვენ — მშობლები — ვაწყობთ კონცერტებს საშვილისათვის, ცვდობით ვავადობთ მოზარდ თაობაში მშენებლების გრძნობა, ესთეტიკურად ადვარდით იცრ. ამიტომ მე სამომავლოთ წავედი დედაქალაქის ცენტრალურ საგამოფენო დარბაზში. ბევრმა გამახარა, ცოტა როდია ისეთი მაღალმხატვრული ნაწარმოები, რომლებსაც სამომავლოთ ვავადობდი ჩემს შვილებს,



მათ აზნაუგებს. მაგრამ არ დავფარავ; ბევრმა ძალიან მატკინა გული. დიდი უკმაყოფილება მომგვარა პოლოგოვას ქანდაკებამ „დედობა“. განა ასე უნდა დედა-შვილის ჩვენება? ჩვენს წინ ხომ აშკარა ნიშანია, კომპოზიციაში არ არის სულიერი ამაღლებულობა, ფსიქოლოგია. გაფუჭებულია დიდი, მე ვიტყვოდი, წმინდა თემა. მე ღრმად მჯერა, რომ არ უნდა ვაჩვენოთ ასეთი „ნაწარმოებები“ ჩვენს მაყურებელს“.

გამოფენაზე მოსული მაყურებლები წრფელი გულით ულოცავენ იმ მხატვრებს, რომლებიც იცავენ და ანვითარებენ რა ნამდვილი მხატვრობის ტრადიციებს, ქმნიან ამაღლებებელ, შთამაგონებელ სურათებს. მაგრამ ისინი დაუნდობლად აკრიტიკებენ იმათ, ვინც მოწყდა ხალხს, დაკარგა ხელოვნების აღზრდელისა და შთამაგონებლის ფუნქცია.

— მოაცილეთ ფალკის სურათი „გამიშვლებული“. უსიამოვნოა შესახედად. — წერს ვ. სმირნოვი.

— ფალკის სურათი „გამიშვლებული“ ხელოვნების დაცინვაა. — ეთანხმება ვ. მაქსიმოვი.

— რისთვის იქმნება ფალკისა და პოლოგოვას მაგვარი სურათები და ქანდაკებები? — გაკვირვებით კითხულობენ სტუდენტები.

ასეთი მხატვრები ბაძავენ დასავლეთისა და ამერიკის იმ ფორმალისტებს, რომლებიც თავიანთი ქმედებების პროგრესულად მოაზროვნე ადამიანთა გულსწარმომას ვერსად გაუბრძანა. აბსტრაქციონიზმმა თავი შეაპულა ადამიანებს. თანამედროვე პროგრესული ხელოვნება ვერ ითმენს, აბსტრაქციონისტების, ფორმალისტების „შემოქმედებას“, დაცინის და ჰკილაგს მას. მრავალრიცხოვანი მაყურებლისათვის უკვე ცნობილი გახდა, რომ უცხოური აბსტრაქციონისტები თავიანთ ხელოვნებას თითოდან წოვენ, რომ მათი ნაწარმოებები სხვა არაფერია, თუ არა სახედრის კუდით მოთხანული თვითვართობა. განა სამარცხვინო არ არის, რომ ამერიკის ერთ-ერთ ქალაქ — ცინცინატი ზოოპარკიდან გამოყვანილი მაიმუნი ბიუტი თანამედროვე აბსტრაქციონისტული მხატვრობის ეტალონად იქცა? მას აძლევენ საღებავებს, წინ უდებენ ტილოს და მაიმუნი ბიუტიც ფეხებით თოხუნის, რის შედეგად ამერიკელ მაყურებლებს სთავაზობენ აბსტრაქციულობის შედეგებს. და ასეთი ტილოები იყიდება უფრო მაღალ ფასებში, ვიდრე ნამდვილი მხატვრების, ბევრ შემთხვევაში კი თვით აბსტრაქციონისტების, ნამუშევრები. „ბიუტის სურათები იყიდება

ისეთ ფასად, რომელზედაც არ შემოქმედებულია იოცნების დამწყებმა მხატვარმა — 45 დოლარიდან 90 დოლარამდე ღირს ჩარჩოში ჩაუსმელი თითო ტილი“ — იუწყება ამერიკული გაზეთი „ნიუ-იორკ ჰერალდ ტრიბუნა“.

აბსტრაქტიზმი სამარცხვინო მოვლენაა, მით უფრო, მას არ უნდა ჰქონდეს ნიადაგი ჩვენს, საბჭოურ სინამდვილეში. საბჭოთა მხატვრებმა წერილობით მიამართეს ნ. ს. ხრუშჩოვს და მტკიცე დაპირება მისცეს, რომ იზრძოლებენ მაღალიაღიერი, დახვეწილი და ნათელი ფორმის სურათების შექმნელად, მრავალფეროვანი და მრავალსახოვანი სოციალისტური რეალიზმის მეთოდით შეიარაღებული სახვითი ხელოვნების ცხოვრებასთან მჭიდროდ დასაკავშირებლად, კომუნისმის დიდ მშენებლობაში მტკიცედ ჩასაბმელად.

ამ ამოცანების შესრულებაში თავიანთ სიტყვას იტყვიან საქართველოს მხატვრებიც. ამის თავდებია ქართველ მხატვართა მყარი, რეალისტური შემოქმედებითი გზა, რომელსაც ისინი ადგანან და რომელსაც შემდგომში კიდევ უფრო განავითარებენ.

ბ. მალუევი

„ოქტომბრის რევოლუცია“







# ნოვატორიზისა და ტრადიციის შესახებ საბჭოთა კინოხელოვნებაში

ლევან რონდელი



ოვატორობა ყველთვის იყო საბჭოთა კინო-ხელოვნების თვისება. ჩვენი კინოს თვალსაჩინო მხატვრულ გამარჯვებათა — ს. ეიზენ-შტეინის „კავშოსანი“, „პოტიომკინის“, ვ. პუდოვკინის „დღის“, ძმ. ვასილევების „ჩაპაევის“, ა. დოვენკოს „მოწის“ და სხვათა ნოვატორობა გამომდინარეობდა მათი ახალი შინაარსიდან, კინოხელოვნების ახალი გამომსახველი საშუალებებით თხრობიდან.

ქართულ კინოს მოგოვება მრავალი ფილმი, რომლებმაც თავიანთი სი ახლით გავლენა მოახდინეს მთელ საბჭოთა კინემატოგრაფიაზე, თანამედროვეთათვის ეს სურათები ნამდვილი აღმოჩენა იყო. საბჭოთა კინოს საუნჯეში დიდი მხატვრული წვლილი აქვს შეტანილი რეჟისორ ივანე პერესტიანის, რომელიც, სამწუხაროდ, ჯერ კიდევ ჯერონად არ არის შეფასებული. იგი არა მარტო ქართული, არამედ მთელი საბჭოთა კინემატოგრაფიის ერთ-ერთი ფუძემდებელია.

„არსენ ჯორჯიაშვილი“ (1921) ისტორიულ-რევოლუციური ჟანრის პირველი საბჭოთა სურათია, რომელიც შეიქმნა ჯერ კიდევ ს. ეიზენშტეინისა და ვ. პუდოვკინის სურათებამდე. ამ პირველ ქართულ საბჭოთა ფილმში, საბჭოთა კინოს ისტორიაში პირველად, იყო ნაჩვენები თვითმპყრობელობის წინააღმდეგ ამბოხებელი მუშა. ამასთან ამ სურათში პირველად მხატვრულად იყო გააზრებული კინემატოგრაფიული საშუალებებით ქართული სინამდვილის გუმონდელი დღე.

საბჭოთა რევოლუციურ-სათავადასავლო ჟანრს დასაბამი, აგრეთვე, პერესტიანის სურათმა „წითელმა ქმეკუნებმა“ (1923) მისცა. სურათი იმ წლების კინოსთვის ახალ წარმოდგენას იძლეოდა გმირბაზე. რევოლუციურ ხელოვნების შინაარსსა და ფორმაზე. რომანტიკა, რომელიც ასე ახასიათებდა პერესტიანის ხელოვნებას, შეესაბამებოდა ქართული ხელოვნებისა და ლიტერატურის ტრადიციებს.

როგორც ცნობილია, ი. პერესტიანის მიერვე გერანიზებულია ვ. ჯერეთელის „პირველმა ნაბიჯმა“, ფილმმა „სამმა სიცოცხლემ“ (1924) ალტაევებაში მოიყვანა ა. ვ. ლუნარსკი თავისი ღრმა სოციალური მნიშვნელობითა და მაღალი მხატვრული წყობით. კინორომანის შექმნის ამ ცდას, მის მეთოდოლოგიურ პრინციპებს ჯერაც არ დაუკარგავთ მნიშვნელობა იმ პროცესებისათვის, რომლებიც დღეს მიმდინარეობს თანამედროვე კინემატოგრაფიაში.

„ტარიელ მკლავადის მკვლელობის საქმე“, დადგმული 1926 წელს ი. პერესტიანის მიერ ე. ნინოშვილის „ჩვენი ქვეყნის რაინდის“ მიხედვით, ნამდვილი რეალისტური სურათი იყო, რომელიც გამოირჩეოდა აქტივობა შესანიშნავი, დამაჯერებელი თამაშით. შთამბეჭდავად იყო გადმოცემული გარემო, იმ დროის ატმოსფერო, ეროვნული კოლორიტი. სპირიდონ მცირი-როსის როლის შემსრულებლის კ. მიქაველიძის თამაში იმ დროის კინოსმსახიობებისაგან განსხვავებით, გამოირჩეოდა არათეატრალიზმით, ნამდვილი კინემატოგრაფიულობით, სინატიფით, თავგუწავებულობით. ეს კი იმ დროისათვის იყო ნამდვილი ნოვატორობა, თავისი სტილით ეს სურათი ძლიერ ახლოსაა იმ რეალიზმთან, რომელიც 20 წლის შემდეგ განჩნდა იტალიაში ნეორეალიზმის სახელით.

ნ. შენგელიას პოეტურ-ეპიკური „ელისო“ (1928) საბჭოთა კინოს ისტორიაში კლასიკური გახდა მუნჯი კინოს საშუალებათა ისტატური გამოყენებით, მთის პოეზიის ჭეშმარიტი გადმოცემით.

მ. ჭიაურელის „საბა“ (1929) გამოირჩეოდა იმ დროის ყოფის ტუტუარი და ნიჭიერი სცენებით. ფემქტურად გაკეთებული იყო ტრამეგის ღამის რეჟისის მონტაჟი. ეს ეპიზოდი დღესაც სამაგალითოდ რჩება.

დიდი შთამბეჭდილება მოახდინა 1930 წელს გამოშვებულმა მ. კალაგოშიშვილის სურათმა „კომთავანიემ“. მასში უკვე გამოყენებული იყო ის მეთოდი, რომელიც ახლა სულ უფრო იკიდებს ფეხს—დოკუმენტური და მხატვრული კინოს სინთეზით, სურათმა ნოვატორულად „აღმოაჩინა“ და ქვეყანას დაახსნავ სვანეთი, მისი ხალხი, ცხოვრების წყობა. ამ სურათისთვის ახლობელია ის ძიებანი, რომლებსაც ახლა ეწვევიან ფრანგი და იტალიელი კინემატოგრაფისტები.

ნოვატორობის ელემენტებს შეიცავდნენ 30-იანი წლების



თვალსაჩინო ქართული სურათები, მაგალითად, გ. მაკაროვის მიერ დადგმული „ნახვამისი“, ეს ერთადერთი შემთხვევაა ისტორიულ-რეკონსტრუქციური კომპლქსის საბჭოთა კინოში, ლ. ესაკას „მფინარე მღვდელი“, მ. ჭიკაბერიძის „უკანასკნელი მასკარადი“, ს. ლოდისი „დარიფი“ და სხვ.

მაგრამ შემდგომ, ე. წ. „მცირესურათიანობის“ პერიოდში ჩვენი კინო ერთგვარად თეატრალური გახდა, დაკარგა მარჯალი კინემატოგრაფიული თვისება, გამოისახელობითი საშუალება, თითქოს ჩაიკეტა. სანამ პარტიის XX ყრილობამ კვლავ ახალი სიციცხლარ არ შეაბრუნა მას.

საბჭოთა ფილმებში ნამდვილი ნოვატორობა თავს იჩენდა არა როგორც ფორმის უბრალო გაუმჯობესება, ან როგორც კინემატოგრაფიული რემინისცენცია, არამედ როგორც ახალი შინაარსის გამოსახატვის აუცილებლობის შედეგი. ჩვენი ისტატების ნოვატორობა საზოგადოებრივი ცხოვრების ძვრასთან იყო დაკავშირებული. ჩვენი საუკეთესო ტრადიციები მათი ნოვატორობის პათოსიდან წარმოშობენ. ეს ტრადიციები თავის ისტორიას იწყებს ფილმებიდან „ჯავშნისა“, „პოტიომკინის“, „დედა“, „ჩაპაევი“ და სხვ. საბჭოთა კინოს სხვადასხვა წლის და სხვადასხვა ისტატის მიღწევები ერთდებოდა და ყალიბდებოდა ერთ საერთო პროცესში სწორედ ამ ცოცხალი ტრადიციეებით, რომლის დამასახიანებელი ნიშნებია მასშტაბურობა, მოქალაქეობითობა, პათოსი, სიცხადე, მაღალი ჰუმანიზმი და დრამატუზმი.

ზოგჯერ ტრადიციებს უპირისპირებენ ნოვატორობას, თითქოს, ტრადიცია მხოლოდ დრომოჭმულის, ძველი ფორმის გადატანა იყოს ახალში, და თითქოს იგი წინააღმდეგობას უწევს ძიების თავისუფლებას, რასაკვირველია, ტრადიციის სქემები და შტამპები როდია. საბჭოთა კინოს ყველაზე საუკეთესო ტრადიციებში ნოვატორობის უკვდავი ელემენტებია ჩაქოლილი. უფრო მეტიც, ჩვენი კინოხელოვნების ეს დიდ ტრადიციები შეიცავენ ჯერ კიდევ გამოუვლინებელი ახალი შინაარსის აქამდე მიუცვლელი ძანრებისა და კინემატოგრაფიული გამოხატავლობითი ხერხების განუწყვეტელ ძიებას. ნამდვილი ნოვატორობა მხოლოდ ტრადიციების გაცრელებად როდია. ნამდვილი ნოვატორობა ტრადიციებს ეყრდნობა, ამოვე დროს თანდათანობით უარყოფს და ანგრევს ზოგიერთ მათგანს. ზოგი რამ იმ ტრადიციებისა, რომლებიც თავის დროზე სახელი მიუხევეჭებს ჩვენი კინოხელოვნებას და ნოვატორობის უკვდავი მწარო იყო, ახლა დავიწყებას ეძლევა, და ეს ხდება მაშინ, როცა ესა თუ ის კინემატოგრაფისტი, ღმერთმა უწყის, სათი უხვევს, ვარდება ვიწრო ყოფაცხოვრებით აღწერილობაში, ეტანება სიღრმეს მოკლებულ ფსიქოლოგიურ ეტიკედებს. ჩვენი ერთ-ერთი სინამდვილისაგან დასწორებულ თემებს. წევრი კინო-ერთი ტრადიცია, მაგალითად, მუდამ იყო მასშტაბურობა. და მას სწორედ მაშინ ვკარგავთ, როდესაც დევნით კონფლიქტსა და სიუჟეტს. ზოგიერთ შემთხვევაში ვხვდებით „დედგოროზიას“-ს სწორედ ამ დროს უნდა ვცადოთ, რომ ახალ გამოხატავლობითი საშუალება ძიებისას არ დაკვაროთ ის, რაც გვიანდერძა კლასიციკლი საბჭოთა კინემატოგრაფიაში, არ დაკვაროთ ტრადიციები.

უკანასკნელ ხანს ნოვატორობის ერთ-ერთი მაგალითია — მ. რომის „ერთი წლის 9 დღე“. ფილმს პირველად შევყავართ

თანამედროვე ფიზიკისა და მისი ადამიანების სამყაროში. ვეცნობით ჭკვიან, მოაზროვნე მეცნიერებს, ინჟინრებს, ტექნიკოსებს. თავისებურია სურათის აღნაგობაც და მისი სტილიც. მკვეთრი შუქრდილი, მკვეთრი მონტაჟი — საგანგებო ტლანქი გადასვლები — შეესაბამება ატრომური ფიზიკის მასალას.

ახლოს ძიებანი, ნოვატორობა ამ სურათში ავტობურ არ არის ტრადიციების აბსოლუტური, სრულ ნიჰილისტური უარყოფაზე, ისე, მაგალითად, როგორც ამას ცდილობს დასავლეთის ზოგიერთი კინემატოგრაფისტი. ახალაზრდა ფრანგ რეჟისორის არმან გატის, რომელიც თავის დეკლარაციებში სრულიად უარყოფს „მამეს“ და მათ ტრადიციებს, მოსწრებულად უპასუხა მიხმა ცნობილმა თანამემამულემ რენე კლერმა: არმან გატის დიდ-მამა რომ არ ყოფილიყო, ქვეყანაზე არმან გატიც აღარ იქნებოდაო.

ამგვად კინოხელოვნებაში წამყვანი ტენდენცია ახალი დრამატურობისა და ახალი ფორმის ძიება. კილი უფრო მეტად ისწრაფვის დიუჟურტურობისაკენ, უფრო დიდ სიზარათისაკენ, „სიუჟეტისაკენ, რომელიც შებოჭილი, მუხლუდული კი არ არის, არამედ ღიაა ვით ცხოვრება“. მიმდინარეობს ძველი დრამატურული ნორმების გადასინჯვა. გამოდგან ფილმები, ნოველების ჯაჭვის პრინციპზე აგებული. ეს აღნაგობა — როგორც ნოველების ჯაჭვი — განა წინათ არ არსებობდა? კინოს ისტორიული რამდენიმე მაგალითის მოყვანა. მაგრამ ამ ფორმებმა, რომლებიც უწინ არ განსაზღვრავდნენ კინოხელოვნების განვითარებას, ახლა წინაპლანზე გადმიანაცვლეს. მოთხოვნებზე იქცა უფრო ღრმად და სრულად გამოვსახათ ადამიანი. ვაჩვენებ საგანი დიდ ცხოვრებისეულ კავშირში, ავსახთ იგი უფრო ფართოდ და ღრმად. ვიდრე ეს ხდებოდა კანონიკური სიუჟეტში, სადაც შინაარსი ზოგჯერ თვით სიუჟეტით ამოიწურებოდა.

ამ ძიებებთან დაკავშირებით ბოლო დროს ყველაზე პოპულარული გახდა მ. კალიკის სურათი „ადამიანი მიხვეება მუსეს“. თუმცა აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ეს სურათი უფრო პოპულარულია კრიტიკოსთა ერთ ნაწილში, რომლებმაც იგი აღტაცებით გამოაცხადეს ნოვატორულად, მძიბეულ ფილმად.

მაგრამ ვნახთ უფრო დაწერილებით, რა არის აქ ნოვატორული?

პატარა სანდუმ გადაწყვიტა მზეს გაკაყვის და მათთან ერთად მიეღ დედამიწას შემოუაროს. იგი მისდევს მზეს და ფრად შემებში ჭჭრეტს ქალკას. და ირგვლივ ყველაფერი ისე საინტერესოა და უცნაური, რომ სანდუ ხშირად ჩერდება, რათა დააქცერდეს ადამიანთა სახეებს, მათ მოქმედებას. მაგრამ ეს სურათი მართლაც პატარა ბიჭუნაზე რჩება. ფაქტურად ბიჭუნა — სიუჟეტური სვლაა. ჩვენი ცხოვრების სიწმინდისა და ნათელი სინარსლის თავისებური დეტაქტობა. მთელი სურათი — მოკლე ნოველების სერიაა, სადაც სინამდვილეს გავაგენებთ პატარა ბავშვის აღქმით, თითქოს მისი თვალებით დანახულს.

რა აღმოაჩინა პატარა ადამიანმა, რომელიც მუსეს დაედგნა?

აი, ატრაქციონი „მოტორბოლა ვერტკალურ კედელზე“. ფრთასავით გამოილი ხელებით, თითქმის თავდაყირა, მიპქ-



რიან პროექტორების ფანტასტიკურ შუქში უშიშარი მოტო- მოტოლოკები. მოტოოკლი დავარ-ავერ ბარიერს... შედგე კი, მოტოოროლის ასაქრებს, სანდუმ დიანაზა მო- ტომსობოლელი ცოლთან ერთად ერთგვერცხან ტაფასთან, მათი არასაბუნებრივი საუბრიდან მვლანდნა, რომ წვანდელი „გმირის“ სისუსტეა თიხის ნაკეთობებისადმი სიყვარული. ამასთან დამატებით, ბავშვი ამწევს, რომ მოტომსობოლი მყოლთა. სანდუს გული გაუტყდა, როცა არანგვერცხანში დიანაზა ჩვეულებრივი, ყოველდღიური. მაგრამ საქმე მარტო ამში არაა. ხომ არ გვეჩინობი ჩვენ სანდულთან ერთად ძლიერ ზურეულად და მეტად ზედპარულად იმ ადამიანებს, რომლებიც სინამდვილეში უფრო რთული არიან. მართალია, ეს ყველაფერი გადაღებული და დამონტაჟებულია მართლაც დიდი პრო- ფესიული ოსტატებით, ნიჭიერად. რეჟისორი და ოპერატორი აღწევინებენ კადრების უწყნარ დინამიურობას და გამოხატველობ- იან. ამ მხრივ მთლიანად გამოყენებულია ატრაქციონის მომ- ცემიანი სანახაობრიობა. და ვიწყებთ იმის ფიქრს, რომ ხელო- ვანი გატაცებული არიან არა იმდენად ცხოვრებით შებერი, აზრებით და გრძნობების სიღრმითა და გულწრფელობით, რამ- დენადაც ყოველი კადრის მხატვრული, თვალწარმტაცი კომპო- ზიციით. ის, რასაც ისინი იღებენ, მათ ყველაზე მეტად გამოხ- აცხადებენ შესაძლებლობათა თვალსაზრისით აინტერესებთ.

აი, ახალგაზრდა შოფერი. ჩვენ შვიტყობთ, რომ მან ახი ათას კილომეტრზე მეტი გაიარა კაპიტალური რემონტის გარეშე. ერთი პატარა შემთხვევის მოწმენი გზედებით. მძღოლ მანქანის კაბინიდან ხედვას თავის არასრულწლოვან დას ვიღაც ახალგაზრდასთან ერთად და მას ეძვრება, გვერდზე გადატკ- რავს ყმაწვილს, ძალთ ჩავსვამს დას მანქანას და სახლში წაიყვანს. ეს არის და ეს, თუ არ ჩაივლით, გადაღების თვალ- საზრისით, ავტომობილის ქარსაფარი მინისა და ბიჭუნას ფე- რადე შუშების ისევ ძალიან მოხერხებულ გამოყენებასა და „გათამაშებას“, ავტომობილის ქარსაფარ მინის, რომლის იქით შოფერი და სანდუ სხედან, წყალს ასახმს ქუჩის სარწყავი მანქანა, შემდეგ კი ამ მინაში ეფვეტურად აირეკლება ქუჩა: ყველაფერი ეს ერთიანდება და ქმნის პოეტურ ატმოსფეროს.

ძალიან ზოგად წარმოდგენებას და ცნებებს იძლეობს პა- ტარა სანდუს შეხვედრები ახალგაზრდა მშენებელთან, პარკის დირექტორთანაც, სამხდრო მუსიკოსთანაც, და სხვა ადამიანებთან. ეს წარმოდგენები ძლიერ ზოგადია. არ შემოწ- ნევა მათი რაღაც ინდივიდუალური ხასიათი, თავისებური, საკუთარი ასპექტე სინამდვილურზე. დიას, ქვეყანაზე იყო იში, არიან უფრო ადამიანები, არსებობს სიკვდილი, სიმამაცე, სიმხალდე. მანქანის მძღოლს ეკითხებიან, ვის მარხავენ. შოფერი ყალიბი, უადგილო მრავალმნიშვნელობით უპასუხებს: „ადამიანს!“

ფილმის ძლიერი მხარე განსაკუთრებით მაღალი გამოხატ- ველობაა. მაგრამ მთელი უზედღურება იმაშია, რომ სურათის დრამატურგია შოანიტვა გამოხატველობაში, რეჟისორ-ოპერა- ტორის შემოქმედებაში. ისინი მიპყვებიან მხედველობით ეფვეტ- ტებს, რაკურსების, ფერის უცნაურ ცვლებს. და, როგორც იტყ- ვიან, ნიშნაწყალს ბავშვიც გადააყოფის. ფორმის შექმნისა სიუჟეტისა და ხასიათების ინტერესი და ძალა.

ბავშვის თვალთ სამყაროს ტერეტა, რა თქმა უნდა, სან-

ტურესოა, მაგრამ უფრო საინტერესოა გაგვევო, რას იძლევა ფილმი კინოოპერატორული მჭკრემეცყველების გარდა. ამი- ტომია, რომ სურათი გვაძლავს გადაღების ოსტატობით, მაგრამ ვერ აღვგზნებს ჩვენში მხურვალე გრძნობებსა და აზრებს.

ასე, რომ ჩვენი აზრით არაფერი ახალი ჩვენს ცხოვრებაზე სურათს არც უთქვამს. მიმა შემქმენებელმა ვერ ჩაიხედეს ავ- რეთვე ბავშვის სამყაროში ისე ღრმად, როგორც მაკოლითად, დანელიად და ტალანკიმა — „სერიოზო“. დიდი ხელოვნე- ბის თვალსაზრისით ფილმს ვერ ვუწოდებთ ნოვატორულს გა- მომსახველ ფორმის მხრივაც, რადგან ეფვეტური და უცნაური რაკურსები, კადრების აგება საინტერესო და თვალწარმტაც შესამებებზე ფერების, პირობისა და ფიგურის, ღრმა და სიბრტყითი პლანის, — თითქმის ყველაფერს ამას, თამყო- რილს აქ ერთად, ცალცალკე უკვე ვხედვობდით სხვადასხვა ფილმებში. „ადამიანი მიპყვება შუქს“ არ მიგვანჩია ნოვატო- რულ, მაიძებელ სურათად, უფრო სწორად ეს შეჯამებითი სა- სიათის ნიჭიერი ფილმი, რომელიც თითქმის აჯამებს გარკვეულ შემოქმედებით ძიებებს ფორმის დარგში.

ჩვენ გვეუბნებიან, რომ ეს არის პოეტური კინემატოგრაფი, რომ ვისაც სურათი არ მოსწონს, მას არ მოსწონს პოეზიაცო. აქვე ვთქვათ, რომ სიმბოლიკა, რომელიც აქ არსებობს, მეტად გულწრფელობა და მარტო: აი, ადამიანი, აი შუე; მიეღე კაცობრიობა, ვით ეს ბიჭუნა, მიილტვის შუისხვე; შუე — სიყ- თეა, ბედნიერება, შუქი, სითბო...

არ ვინაპარაკებთ ამ სურათის ცალკეულ ნაკლოვანებებზე, რადგან ისინი უკვე შემწეულია კრიტიკაში: ერთნელე ხასია- თის უქონლობაზე, მიელ რიგ გემოვნებას მოკლებულ ეპიზო- დებზე, სუსტ აქტიორულ სურათებზე. მაგრამ აღვნიშნავთ, რომ ეს ნაკლოვანებები სურათის პოეტურ შემოქმედებას ამა- ლებს. პოეტური, უპირველეს ყოვლისა, ამდღვეელება. მაგ- რამ ემოციურმა მყურებელს პირველ რიგში გადაეცემა მსა- ხიობების საშუალებით, და არა კინოოპერატორული ოსტატო- ბით. ფილმი მყურებელს ვერ აღუღებებს.

უკანასკნელ წლებში ქართულ კინოში ახალგაზრდაბა მო- ვიდა. ნუ ვუწოდებთ ამ, „ახალ ტალღას“. თანაც საქმე ამაში არაა. მოვაგრი ის არის, რომ გამოჩნდნენ საინტერესო ახალ- გაზრდა რეჟისორები, მხატვრები, ოპერატორები: თ. აბულაძე, რ. ჩხეიძე, ლ. ლომოტყორიძე, ლ. პაატაშვილი, გ. კალაშნიკო- შვილი, გ. ქლიძე, გ. გიგაური, გ. ხუციშვილი და სხვ. ისინი წარმატებით ებრტვიან შტამს, კომპიუტერობას, სტემატიზმს. მათ აამაღლეს ქართულ სურათების გამოხატველობითი სიმა- ტურა.

თავის პათოსად ახალგაზრდებმაც ნოვატორობა გამოაცხა- დეს. მაგრამ ნოვატორობისაყენ ერთადერთი გზა იწყება ახალი ცხოვრებისეული შინაარსიდან, ახალი ფსიქოლოგიიდან, გა- რემის ახალი აღქმიდან.

უფროსი თაობის კინემატოგრაფისტები? საეჭვო და უმარ- თებულო იქნებოდა, რომ ისინი დადევნონ ახალგაზრდებს სა- რისყო ცურვაში. უკავად ითქვა ამაზე ე. პირველმა ამას წინაა- „პრავდში“ გამოქვეყნებულ წერილში, რომ „მათ უნდა იარონ საკუთარი გზით... და უნდა განაგრძონ გამდიდრება და განახ- ლება საბჭოთა კინოხელოვნების დიდებული ტრადიციები- სა“.



ს. კირიჩენკო, ნ. კლეინი

მოსავალი (მოზაიკა)

საქართველო  
საბჭოთა

გარდა ამ მიმართებებისა, ადამიანს და გარე სამყაროს აკავშირებს აგრეთვე ემოციური ურთიერთობაც. გარე სამყარო იწვევს, ადამიანში გარკვეულ ემოციებს შიშის, ალტაცების უსიამოვნების და ა. შ.

ემოციური მიმართება გარე სამყაროსთან ადამიანს გააჩნდა იმთავითვე — ისევე როგორც პრაქტიკული და თეორიული მიმართებანი. მას შემდეგ, რაც ადამიანმა დაიწყო ბუნების გარდაქმნა თავის მოთხოვნილებების მიხედვით, შრომის იარაღების მეშვეობით, მას ჩამოუყალიბდა სპეციფიკური ცნობიერება, რომელიც შეიცავდა როგორც თეორიულ შემეცნებას გარე სამყაროსას, ისევე მის გარკვეულ ემოციურ შეფასებასაც.

ემოციური მიმართების დასაბამი უნდა ვეძებოთ ადამიანის პრაქტიკაში, შრომის პროცესში ადამიანი ხვდებოდა მრავალ საგანს, რომლის მიმართაც იგი არ იყო ინდიფერენტული, ვინაიდან ან ხელს უწყობდნენ ან ხელს უშლიდნენ ბუნებასთან ბრძოლაში. ამ ნიადაგზე ჩაისახა ის პირველადი ემოციური შეფასებები გარესამყაროსი, რომელთაც დასაბამი მისცეს სამყაროს იმ რთულ და მრავალმხრივ ემოციურ შეფასებას, რომელიც გააჩნია თანამედროვე ადამიანს.

ამდენად ემოციური მიმართება გარესამყაროსთან, ისევე როგორც თეორიული და პრაქტიკული, ისტორიულ ხასიათს ატარებს. ემოციური მიმართების ისტორიულობა მართო იმას კი არ ნიშნავს, რომ იგი დასაბამს იღებს პრაქტიკიდან, შრომის პროცესიდან, არამედ აგრეთვე იმასაც, რომ იგი თანდათანობით იხვეწება, მდიდრდებდა და ვითარდებდა ადამიანთა საზოგადოების ისტორიულ განვითარებასთან უმჭიდროეს კავშირში. იცვლება ემოციური შეფასება უკვე ცნობილი მოვლენებისა. ამავე დროს ადამიანთან ურთიერთობაში მოდიან ახალი, წინათ უცნობი საგნები, რომელნიც აგრეთვე იღებენ სათანადო ემოციურ შეფასებას.

ბუნების სტიქიური მოვლენები, რომლებიც თავზარსა სცემდნენ ჩვენს შორეულ წინაპრებს და იწვევდნენ მათში შიშის ემოციებს, სავსებით მშვიდად აღიქმებიან თანამედროვე, ცივილიზებული ადამიანების მიერ და აღიქმებენ მასში მხოლოდ ბუნების სიდიადის გრძობას და ა. შ.

მეორეს მხრივ, თანამედროვე ადამიანის ემოციური სამყარო შეიცავს ისეთი საგნების შეფასებას, რომელნიც უცნობი იყვნენ ჩვენი წინაპრებისათვის (ნელსაცხებლის ან ბუნინის სუნისა, გარკვეული ფორმების ავტომაქანება და ა.შ.).

ფართო და უაღრესად რთული საქმეა აღწერა იმ ფაქტორებისა, რომელნიც გავლენას ახდენენ ადამიანის ემოციურ შეფასებების ჩამოყალიბებაზე. ამიტომ ჩვენ ამ საკითხის კვლევას არ შევეცდებით, მიუთითებთ მხოლოდ შემდეგს: ზემოთქმული ცხადად ხდის იმ გარემოებას, რომ ისეთი ფაქტორები, როგორცაა მცენიერების პროგრესი, და მცენიერულ ცოდნათა გაფრცხვლების სიფართოვე, ადამიანთა საზოგადოების ტექნიკური აღჭურვილობა, ეთიკური ნორმები და ა. შ. უდავოდ დიდ გავლენას ახდენენ გარესამყაროს ემოციურ შეფასებაზე.

რომელსაც ვლადარაკოვმა გარესამყაროსთან ემოციური მიმართების ისტორიულ ხასიათზე, უნდა მიუთითოთ აგრეთვე იმ შეფასებებზე, რომელთაც იღებენ ადამიანთა საზოგადოებრივი და ინდივიდუალური ურთიერთობები. ეს შეფასებებიც ისტორიულ ხასიათს ატარებენ. ასე მაგალითად, მონობა, როგორც

## კომეტური სახე

ალექსანდრე ბეგიაშვილი



ადამიანის მიმართება გარე ბუნებასთან სამგვარია — თეორიული, პრაქტიკული და ემოციური. თეორიული მიმართება ხორციელდება შემეცნების პროცესში. ადამიანი შეიმეცნებს გარე სამყაროს — ამ მიმართებაში გარე სამყარო ადამიანისათვის არის თეორიული შემეცნების ობიექტი. პრაქტიკული მიმართება აღნიშნავს, რომ ადამიანი არა მარტო შეიმეცნებს გარე სამყაროს, არამედ გარდაქმნის კიდევ მას თავისი პრაქტიკული მოღვაწეობის პროცესში. ამ მიმართებაში ადამიანი არის მატერიალურად მოქმედი, რომელიც გარდაქმნის არსებულ საგანთა ბუნებას, ანდა ქმნის ახალ საგნებს.

სოციალური ურთიერთობა, არ იწვევდა არავითარ უარყოფით ემოციებს ძველი საბერძნეთის უგანაოლებულეს ხალხთა შორისაც კი, (გაეისვნეთ მონობის დადებითი შეფასება არისტოტელის მიერ), ხოლო თანამედროვე ადამიანების უმეტესობისათვის მონობას, როგორც ინსტიტუტს, თან ახლავს მკვეთრად უარყოფითი ემოციური შეფასება. შეიძლება გაეისვნეთ საპიროსპირო მავალითაც. ფიზიკურ შრომისადმი მონამფლობელებზედა სასოფაოდებამ გამოიმუშავა ზილნარევი დამოკიდებულება, ხოლო ჩვენს სოციალისტურ სასოფაოდებში შრომითი წარმატებები იწვევს საერთო აღტაცებას.

მარქსისტული ფილოსოფია გვაწვავს, რომ გარესამყაროს შემეცნება უსასრულო პროცესია; მატერია და მისი მოძრაობის ფორმები, მიმართებები მატერიალურ საგანთა შორის, საგანთა არსებობა და ა. შ. წარმოადგენენ ამოუწურავ ობიექტს ადამიანის შემეცნებისათვის.

ისევე როგორც თეორიული შემეცნება, გარესამყაროს ემოციური შემეცნებაც უსასრულო პროცესია. მატერიალურ საგანთა მრავალნაირი სახეობები, ისტორიულად ცვალებადი სასოფაოდებრივი ურთიერთობანი, ეთიკური ნორმები და ა. შ. შეადგენენ ემოციური შემეცნების ამოუწურავ ობიექტს.

მაგრამ როგორ ხორციელდება ამ უსასრულო სამყაროს შემეცნება? პრაქტიკულად ადამიანი ფლობს შემეცნების უაღრესად სასრულო საშუალებებს. იგივე ითქმის ემოციურ შემეცნებაზეც — ყოველი ადამიანი თავისი ცხოვრების განმავლობაში იყვლება ურთიერთობაში სასრულო რაოდენობის საგნებთან, და პირადად ახერხებს მხოლოდ მათ ემოციურ შემეცნებას.

მარქსისტული ფილოსოფია გვაწვავს, რომ ეს წინააღმდეგობა თეორიული შემეცნების ობიექტის უსასრულობისა და შემეცნებელი სუბიექტის სასრულობის შორის გადაჭრება განვითარების პროცესში. სახელდობრ, ამ წინააღმდეგობის გადაჭრის საშუალებაა მეცნიერება და მისი ფუნდამენტური განვითარება. ენგელსი სწერდა „ანტი-დუერიუნგი“-ში: „მასხადამე ადამიანები შემდეგი წინააღმდეგობის წინაშე დგანან: ერთი მხრივ ისინი ცდილობენ ამომწურავად შეიცნონ სამყაროს სისტემა მის საერთო კავშირში, ხოლო მეორე მხრივ, ისინი როგორც თავიანთი ბუნების, ისე სამყაროს სისტემის ბუნების მიხედვით ვერასოდეს ვერ შესძლებენ ეს ამოცანა სუბიექტით გადაჭრან. მაგრამ ეს წინააღმდეგობა მარტო ამ ორი ფაქტორის — სამყაროსა და ადამიანის ბუნებაში როდ იქვს: იგი წარმოადგენს აგრეთვე მთელი გონებრივი წინსვლის მთავარ ბერკეტს და ყოველდღე განუწყვეტელი იხსნება კაცობრიობის დაუსრულებელ პროგრესულ განვითარებაში, სრულიად ისევე, როგორც, მაგ., მათემატიკური ამოცანები — დაუსრულებელ რიგს ან უწყვეტ წილადებში იხსნება.“<sup>1</sup>

როგორცაა წყდდება ანალიტიკური წინააღმდეგობა გარესამყაროს ემოციური შემეცნების შემთხვევაში? ემოციური შემეცნების ობიექტის უსასრულობის და შემეცნებელი სუბიექტის სასრულობის წინააღმდეგობის გადაჭრის საშუალებაა ხელოვნება და კერძოდ — პოეტური სახეები, მათი უსასრულო განვითარების და დახვეწის პროცესი. ამრიგად, თუ დავისინი საკითხი პოეტური სახის ადგილის მოძებნისა ადამიანის ცნობიერების სისტემაში, შეიძლება ვუპასუხოთ, რომ პოეტური სახე არის ემოციური შემეცნება გარესამყაროს ობიექტებისა.

როდესაც ვლაპარაკობთ პოეტურ სახეზე, როგორც საგნების ემოციურ შემეცნებაზე, უნდა გავხსოვდეთ, რომ ემოციურ შემეცნებაში ჩვენ ვხვდებით იმავე უნას, რასაც თეორიულ შემეცნებაში — გზას ნაცნობიდან უცნობისაკენ. თეორიულ შემეცნებაში ჩვენ ვეძებთ ჩვენთვის ნაცნობ დებულებებს იმი-სათვის, რომ გაეოგებანოთ დასვენა ჩვენთვის უცნობი საგნის ან მოვლენის შესახებ.

ასევე ემოციურ შემეცნებაშიც — საგანს ან მოვლენას, რომელიც ჩვენთვის ემოციურად უცნობია, ე. ი. არ იწვევს ჩვენში არავითარ ემოციებს, ჩვენ შემეცნებით იმის შემეცნებით, რომ ვადარებთ მას მეორე საგანს ან მოვლენას, რომელიც თავის მხრივ ჩვენთვის ემოციურად ცნობილია, ე. ი. იწვევს ჩვენში გარკვეულ ემოციებს.

როდესაც რუსთაველი თინათინის ბავშვებს ადარებს ვარდს, მარჯანს და ა. შ., იგი ცდილობს მეტოხველისათვის ემოციურად ნაცნობი გასაღის თინათინის სილამაზე. პოეტს სურს თინათინის სილამაზეზე გაავრცელოს ის ემოციები სიჭაჭაოზისა, სინაზისა და სინატფისის, რომელიც თან ახლავს ვარდის აღქმას ადამიანთა უმეტესობისათვის.

ასევე, როდესაც ავთანდილის უწოდებს მსგავსს მზისა და მთვარისა, იგი ცდილობს, რომ მეტოხველისათვის ავთანდილის გარველობას დაუკავშირდეს განცდა ბრწყინვალეობისა და სრულყოფილებისა, რომელიც თან ახლავს მზის აღქმას.

ამრიგად, მოცემულ მაგალითებში მზე, ვარდი და ა. შ. რომელიც ადამიანთა უმეტესობისათვის ემოციურად ცნობილი არაა გამოუყვებელი იმისათვის, რომ ემოციურად უცნობი მოვლენები (ავთანდილის და თინათინის გარველობა) მეტოხველისათვის ნაცნობი გახადონ.

აქ უნდა შევიხილოთ ორი რამ: უპირველესად უნდა ითქვას, რომ ზემოდ მოყვანილი დებულება არ არის განსაზღვრება პოეტური სახისა, და რომ მას არა აქვს პრეტენზია რაიმედაც ვარად ამომწურავი პასუხი გაეცვს პოეტური სახის ბუნების რაიმეზე. ეს დებულება ისახავს ძლიერ ვიწრო მიზანს — გარაკვიის პოეტური სახის ბუნების ერთ-ერთი მხარე და ამხენად ხელი შეუწეოს პოეტური სახის ადგილის დადგენას ადამიანის ცნობიერების სისტემაში.

მეორე — აქამდე ჩვენ ხაზს ვუყავდით იმ ანალიტიკის, რომელიც არსებობს გარესამყაროს თეორიულ შემეცნებასა და ემოციურ შემეცნებას შორის. ეს არ ნიშნავს, რომ მათ შორის არ არსებობს განსხვავება. რა თქმა უნდა, თვითველ პროცესს ამ ორთაგან გააჩნია თავისი სპეციფიკა, რომელიც არ ახასიათებს მეორეს და — პირუკუ. ჩვენ ძირითადად ვაქცევდით ყურადღებას მხოლოდ ანალიტიკურ თვისებებს, რომელნიც საერთოა ორივე პროცესისათვის, ვინაიდან ეს ხელს უწყობს საკითხის გარკვევას. თვითველ მათგანის სპეციფიკის დადგენა და შესწავლა კი ჩვენი ამოცანის ფარგლებს სცილდება.

პოეტური სახის ზემოდ მოყვანილ გაგებიდან გამომდინარეობს რიგი დასკვნებისა, და მოთხოვნებისა პოეტური სახის მიმართ.

უპირველესი მოთხოვნა, რომელიც წაყვენება პოეტურ სახეს, მდგომარეობს შემდეგში: საგანი ან მოვლენა, რომლის

<sup>1</sup> ე. ენგელსი „ანტი-დუერიუნგი“, 1925, გვ. 45—46.

ემოციური შემეცნებაც გვსურს პოეტური სახის შემწეობით (ვეწოდით მას პოეტური სახის სუბიექტი) და მეორე საგანი ან მოვლენა (ვეწოდით მას გამომთქმელი), რომლის მეშვეობითაც ჩვენ გვსურს შევიმეცნოთ პირველი, ერთ მიმართებაში იგივეობრივნი ან მსგავსნი მაინც უნდა იყვნენ. მსგავსნი იმდენად, რომ ის საგანი, რომელსაც ჩვენ ვიყენებთ როგორც გამომთქმელს, უპირველესად ყოვლისა, უნდა იწვევდეს ასოციაციას იმ ემოციური განსაზღვრულობისა, რომელიც ჩვენ გვინდა მივაწეროთ პოეტური სახის სუბიექტს. ასე მაგალითად, ზემოდ განხილული მაგალითები რომ გავისხნოთ, გნახათ: როდესაც რუსთაველს სურდა გადმოეცა ავთანდილის სიღამაზის სისრულე და ბრწყინვალება, მან მიმართა ისეთ გამომთქმელ საგნებს, რომლებიც პირველ რიგში იწვევენ სიკაჟაშობსა და სისრულის ასოციაციებს — მუხა და მთვარეს. ასევე მკაფიო მაგალითის წარმოადგენს ბარათაშვილის „საყურე“:

„ვითა პეკელა  
არხვს ნელნელა  
სპეტაკს შროშანას, ლამაზად ახრილს,  
ასე საყურე,  
უცხო საყურე,  
ეთამაშება თავისსა აჩრდილს.“

პოეტს შეუძენვეია უაღრესად სათუთი და მისთვის უსასრულოდ ძვირფასი დეტალი, როდესაც საყურე ეთამაშება თავის ჩრდილს — ხან მიუახლოვდება ხან დაშორდება მას. იმისათვის, რომ ემოციურად გაეცნობიერებინა ეს ძვირფასი დეტალი, ბარათაშვილმა იხმარა ისეთი გამომთქმელი, რომელიც პირველ რიგში იწვევს ამგვარი ნაზი თამაშის ასოციაციას (ჰეპელას თამაში ყველითან).

ამრიგად, საგანს, რომელიც პოეტური სახის სუბიექტია, და მეორე საგანს, რომელიც გამომთქმელია როლს ასრულებს, ერთი მხარე გაანია იგივეობის ან იმეგობრის იქით უკვე იწყება განსხვავებები. საგანი გამომთქმელი ჩვენთვის ემოციურად ცნობილია, შედარების სუბიექტი ემოციურად უცნობია და იგი უნდა შევიმეცნოთ საგანი-გამომთქმელის მეშვეობით.

აქ უნდა აღინიშნოს ერთი უაღრესად საინტერესო კანონზომიერება, რომელსაც ადგილი აქვს პოეტური სახეების განვითარების ისტორიაში. წინა ეპოქების პოეზიაში პოეტური სახის სუბიექტის და გამომთქმელის კავშირი უაღრესად მჭიდრო იყო, უფრო მეტიც, გარკვეულ მიმართებაში პირველი ყოველთვის განსაზღვრავდა მეორეს.

ასე მაგალითად, თუ პოეტს სურდა მკითხველისათვის ემოციურად გაეცნობიერებინა მოქმედი პირის სიღამაზე, ჩვეულებრივ გამომთქმელ საგანად ხმარობდნენ ვარდს, ბროლს, ლალს, მზეს, მთვარეს და ა. შ.

თუ საქმე ეხებოდა მის სიამაყეს — მიმართავდნენ შედარებას არწივთან, ლომთან, ვეფხვთან და ა. შ. ერთი სიტყვით არსებობდა გარკვეულ საგანთა ჯგუფი, რომლიდანაც ჩვეულებრივ ირჩევდნენ გამომთქმელს პოეტური სახის სუბიექტსათვის, ვინაიდან სწორედ ეს საგნები იწვევდნენ უპირველესად იმ ემოციებს, რომელთა გადატანაც სურდათ პოეტურის სახის სუბიექტს. რა თქმა უნდა, საგანთა ეს ჯგუფები არა რჩებიდნენ უცვლელნი და უძრავნი. ყოველ ახალ პოეტს თავისი წვლილი შეატანდა ამ ჯგუფების გამდიდრებასა და განახლებაში და პოეტური სახის სუბიექტის პროცესის შინაარსიც სწორედ ეს იყო.

ლი შეატანდა ამ ჯგუფების გამდიდრებასა და განახლებაში და პოეტური სახის სუბიექტის პროცესის შინაარსიც სწორედ ეს იყო.

ჩვენ არ შევუდგებით კვლევას იმ კანონზომიერებისა, რომელიც მართლაც პოეტური სახეების განვითარების პროცესს. ჩვენი ამოცანისთვის საკმარისია მივაქციოთ ყურადღება იმ ფაქტს, რომ წინა ეპოქების პოეზიაში უფრო შეზღუდული იყო წიქ იმ საგნებისა, რომლებიც ჩვეულებრივ გამოიყენებოდნენ პოეტური სახის სუბიექტის ემოციურად დასასაიათებლად. მივიყვანოთ რამდენიმე მაგალითი ჩვენი აზრის დასადასტურებლად. გავიხსენოთ პოეზიის — აქილესის მისდევდა ჰექტორს „როგორც შავარდენი, ფრინველთა შორის უსწრაფესი, როდესაც იგი უთქმელი სიჩქარით შესაპყრობად მისდევს მძვრწინებულ მტრულს“.

ხლოდ როდესაც მოწინააღმდეგენი დაახლოვდნენ, ჰექტორი ეკვთა აქილესის როგორც „არწივი ცათამოვლობელი, როდესაც იგი ღრუბლებიდან გამოფრენილი დაეცემა მინდორს და მოიტაცებს კრავს ანდა მფრთხალ კურდღელს“.

საინტერესოა ამ თვალსაზრისით შექსპირის 130-ე სონეტი. შექსპირი აგვიწერს თავის სატრფოს და აცხადებს, რომ მას არ მიეწერება არცერთი იმ შედარებათაგანი, რომელნიც ჩვეულებრივ იხმარებოდნენ პოეზიაში სიღამაზის აღსაქვრად. იგი წერს: „ჩემი მზრძანებლის თვალები არ ჰგვანან მზეს, ხოლო ბაგენი ლალს... მე მინახავს ბევრი თეთრი და წიცილი ვარდი, მაგრამ ვერ ვპოულობ მის ლოყვებს; და არ დავდერება შეე ნაწინავეთს სურნელად ცნობილ ნელსაფრთხელთა სუნს“.

თანამედროვე პოეზიაში ეს კავშირი პოეტური სახის სუბიექტსა და გამომთქმელს შორის აღარ ატარებს ასეთ მჭიდრო და ერთდაგვარად შემზღუდავ ხასიათს. რა თქმა უნდა, ძალაში რჩება უძირთადესი მოთხოვნა, რომ პოეტური სახის სუბიექტი და გამომთქმელი იგივეობრივი ან მსგავსნი იყვნენ ერთ მიმართებაში, ისე რომ უპირველესი ასოციაცია, რომელსაც მკითხველი იწვევს საგანი-გამომთქმელი, უნდა იყოს ის ემოციური განსაზღვრება, რომელიც მივანჩნა საჭიროდ პოეტური სახის სუბიექტის დასასაიათებლად. მაგრამ ამ იგივეობის მომენტის იქით, თანამედროვე ლექსი უფრო მეტ თავისუფლებას ანიჭებს პოეტს, ვიდრე უწინ.

პოეტური საგნის გამომთქმელად შეიძლება ხმარებულ იქნეს ნებისმიერი საგანი, რომელიც ატარებს ჩვენითვის საჭირო ემოციურ შეფერვლობას.

მაგალითად ბლოკთან შეგვხვდებით ასეთ ადგილს მის პოემაში „თორმეტნი“:

«Стоит буржуй, как пес голодный.  
Стоит безмолвный, как вопрос.  
И старый мир, как пес безродный.  
Стоит за ним, поджавши хвост».

იმისათვის, რომ გაეცნობიერებინა ის განწირულობის და მიუსაფარობის ემოციები, რომელთაც ძველი სამყარო იწვევდა პოეტს, შლოკმა მიმართა ისეთ მოულოდნელ შედარებას როგორცაა „მუდარება მაწანწალა და ქქიანი ძაღლთან“.

ჩვენი აზრის ნათელსაყოფად უღებოდ საინტერესოა ბრიუსოვის ერთი ასეთი პოეტური სახე:

«Но миг этот не был желанным,  
 Мечты мой реяли прочь,  
 И всё мне казалось обманным,  
 Банальным как лунная ночь».

აქ ბრიუსოვი იყენებს იმ გაცვეთილობის და ბანალურობის განცდებს, რომელიც თან ახლავან მთავარიანი ღამის როგორც პოეტური სიმბოლოს ხმარებას, და ამ გამოთქმების საშუალებით ცდილობს გააცნობიეროს მკითხველისათვის ის მოწყვნილობა და დაღლილობა, რომლითაც შეფერილი იყო მისთვის ის საღამო. როგორც ვხედავთ, აქ უკვე გამოთქმების რაღაც ასრულებს არა რომელიმე რეალურად არსებული სავანი, არამედ პოეტური სიმბოლო, და იგი თავის ფუნქციებს ასრულებს კარგად.

ამრიგად, უახლოესი ხანის ლექსს უდავოდ გააჩნია ეს ტენდენცია — პოეტური სახის გამოთქმულად ხმარებულ იქნას ნებისმიერი სავანი (რეალური თუ იდეალური), თუ კი მას გააჩნია ის ემოციური შეფერილობა, რომელიც უნდა მიეწეროს პოეტური სახის სუბიექტს. ეს საშუალებას იძლევა უაღრესად სპეციფიური და ზუსტი ემოციური დახასიათებების მოსაძებნად იმ საგნებისათვის, რომელიც პოეტური სახის სუბიექტის როლში გამოდის. ამჟამად აღარავის დააკმაყოფილებს პოეტური სახე, რომელიც ქალის ბავჯ ლალს შეადარებს, ლოყას — ვარდს, თმის სიშავს — ყორინის ფრთას და ა. შ. უახლოეს ხანის ლექსში იგრძნობა მიდრეკილება, ყოველ საგანს მოეძებნოს თავისი, უაღრესად ინდივიდუალური ემოციური დახასიათება, რომელიც გამაჩრჩევს მას ყველა სხვა საგნიდან. ამ თვალსაზრისით შეიძლება ითქვას, რომ თანამედროვე ლექსის არის ნაბიჯი წინ გაყვანისკენ ემოციური შემეცნების და ზუსტებასა და სპეციფიკებაში. ეს მიდრეკილება ემოციური დახასიათების მასქინალურ სპეციფიკაციას იგრძნობა ყველა ხანის უახლეს პოეზიაში. ჩვენ შეგნებულად მოვიყვანთ მაგალითებს სხვადასხვა ლიტერატურებიდან იმისათვის, რომ ხაზი გაუვსვათ ამ მიდრეკილების ზოგად სასიას.

როლიც ცდილობს, თავისი შემოქმედების დახასიათებისას მკითხველისათვის გააცნობიეროს ის დაძაბულობის და მოუხვეწილობის გრძნობა, რომელიც მას მიაჩნია ძირითადად თავის შემოქმედებაში. ამ მიზნისთვის იგი მიმართავს უაღრესად სპეციფიკურ პოეტურ სახეს. სახელდობრ, ის გამოთქმულად იყენებს იმ ინტერვალს, რომელსაც ადგლი აქვს იგი ერთმანეთთან ინტერვალს ორ სხვადასხვაგვარად მძღერ ტონს შორის.

„მე ვარ შესვენება ორ ტონს შორის, რომელიც ერთმანეთს კარგად არ ერწყმიან, რადგან ტონს სიკვდილი აამაღლებს; მაგრამ ბნელ ინტერვალში შერიგებულნი ორივე თრთის, და სიმღერა მშვენიერა“.

როგორც ვხედავთ, როლიც თავის პოეტურ სახეში ლაპარაკობს არა უბრალოდ მუსიკალურ პაუსაზე, არამედ მიდის უფრო წინ, სპეციფიკაციის მიმართულებით და გამოთქმულად იყენებს იმ ინტერვალს, რომელსაც ადგლი აქვს იგი ერთმანეთთან შეუწყობელ ტონს შორის.

გავისხენით გალაკტიონ ტაბიძის შესანიშნავი „ატმის ყვავილები“

„ატმის ხე იდგა ვით ნაზი ქალი,  
 ვით დედოფალი უცხო მზარეში“...

აყვავებულ ატმის ხის სინარჩარის და სინატივის გადმოსაცემად აქ ნახშირის შედარება ნაზ ქალთან და დედოფალთან. მაგრამ აქ პოეტი უფრო ღრმად მიდის პოეტური სახის ინდივიდუალუზაციაში. ატმის ხე იდგა არა მხოლოდ როგორც დედოფალი, არამედ „ვით დედოფალი უცხო მზარეში“. ამ უკანასკნელი ამბავებით ხაზი ეხმება მის მარტობას, მის უცხოობას გარემოსთან.

დანტე გაბრიელ რუსეტის თავის ცნობილ „კურთხეულ ქალწულში“ აქვს:  
 „მისი ხმა მაგავად ვარსკვლავთა ხმას, ისინი რომ ერთად ამღერებულყვენ“.

როგორც ვხედავთ, აქაც ისეთივე ამბავს აქვს ადგლი, რაც წინა მაგალითებში — რუსეთი მიმართავს მოულოდნელ შედარებას ხმისა — ვარსკვლავთან, და ცდილობს სიწმინდისა და სიწარალიას ის განცდები, რომელიც თან ახლავს ჩვენს ცნობიერებაში ვარსკვლავს, გამოიყენოს ქალწულის ხმის ემოციური დახასიათებისათვის.

ყოველივე ზემოდ თქმულიდან შეგვიძლიან დავასკვნათ, რომ მეორე მოთხოვნა, რომელიც შეიძლება წაყენებულ იქნეს პოეტური სახისადმი, უნდა ეხებოდეს მის მასქინალურ სპეციფიკებას და ინდივიდუალუზებას. პოეტური სახის შექმნის გამოთქმულად უნდა მოძებნოს ისეთი სავანი (რეალური თუ იდეალური), რომელსაც თან ახლავს ემოციური შეფერილობა, ვარგისი მოცემული ინდივიდუალური, ემოციურად შესაცნობი საგნის — ე. ი. პოეტური სახის სუბიექტის დახასიათებად. ძალიან ხშირად პოეტური სახის სისუსტე მდგომარეობს სწორედ მის ამორფულობაში; ამორფული, არასათანადოდ სპეციფიკური პოეტური სახე არ იძლევა საშუალებას მოძებნილ „ქნეს მოცემული საგნის ინდივიდუალური ემოციური დახასიათება, რომელიც გამაჩრჩევს მას სხვა მსგავს საგნებიდან. ამიტომ ის არ გვემარება სამყაროს ემოციურ შემეცნებაში და არაფერს ეუნება მკითხველის სულს.

როდესაც ლაპარაკი გვაქვს სამყაროს ემოციურ შემეცნებაზე, ჩვენ უნდა გვახსოვდეს, რომ ემოციური შემეცნება და თეორიული შემეცნება უმჭიდროეს გაკვირბო იმყოფებიან. ის ემოციური შეფასებები, რომლებსაც ჩვენ ვაძლევთ „ტენებს, ჩვეულებრივ ყურდნობთან ამ საგანთა ცოდნას. საგანთა ცოდნა შეიძლება მოცემული გვერდნდეს ჩვენი ცხოვრების უშუალო გამოცდილების წყალობით, ანდა მოცნიერების მეშვეობით (მაგალითად მონობის, როგორც სიცოცხლე ინსტიტუტის ემოციური შეფასება ყურდნობა ისტორიული მცენიერების მონაცემებს).

ზემოდ თქმულიდან გამომდინარეობს, რომ პოეტურ სახეს შეიძლება ასეთი მოთხოვნაც წაყვეყნოთ. როდესაც ჩვენ ვაკვებთ პოეტური სახეს და ვეძებთ სათანადო საგნების ემოციურ დახასიათებას ჩვენ უნდა ვყურდნობოდეთ სათანადო საგნების ცოდნას — გარკვეულ სისოფლებდას, როდესაც საქმე ეხება ბუნების და საზოგადოების მოვლენებს, და აგრეთვე გარკვეულ ფსიქოლოგიურ დახასიათებებს, როდესაც ლაპარაკია ამა თუ იმ პიროვნებაზე. ეს მოთხოვნა საშუალებას გვაძლევს გაგარჩიოთ





პოეტური სახეები მათი სიღრმისა თუ ზედაპირულობის მიხედვით.

ზოგჯერ პოეტს არ გააჩნია საკუთარი მსოფლგაგება, იგი ჯერდება საგნების გარკვეულ, მხედველობით შემეცნებას და ცდლობს ამ საფუძველზე მოგვეცეს საგნების ემოციური დახასიათებები. ასეთი პოეტური სახეები უდავოდ ატარებენ ზედაპირულ ხასიათს.

ხოლო როდესაც პოეტი სამყაროს უყურებს თავისი სხედვით და ყოველი მოვლენა, რაც არ უნდა უწინაშელო იყოს იგი, გარდატყდება მისი მსოფლგაგების პრიზმაში, მაშინ მის მიერ მოცემული ემოციური დახასიათებებიც ღრმანი არიან.

საბჭოთა პოეზიამ მოგვცა ბრწყინვალე ნიმუშები იმდაგვარი პოეტური ქმნილებებისა, რომლებიც საგანთა არსების შემეცნებაზე არიან დაფუძნებული. გაეხსენოთ მაიაკოვსკის უკვდავი სტრიქონები პარტიაზე და მის ბელადზე ვ. ი. ლენინზე:

«Ленин и партия  
Близнецы  
братья.  
Кто матери истории  
более чужды?  
Мы говорим Ленин,  
подразумеваем — партия.  
Мы говорим партия,  
подразумеваем — Ленин».

მაიაკოვსკის მიერ შექმნილი ეს პოეტური სახე მეტყველებს, რომ პოეტს სწორად ჰქონდა შევნიშობილი ლენინის, როგორც პარტიის ორგანიზატორის და სულისჩამდგმელის, ისტორიული როლი. საქმის არსის სწორამ გაგებამ საშუალება მისცა მაიაკოვსკის, მოეძებნა ისეთი პოეტური სახე, რომელიც უაღრესად ზუსტად ახასიათებს ლენინის დამოკიდებულებას პარტიისადმი.

ღრმა ემოციური პოეტური სახეები შეიძლება აიგოს ამა თუ იმ პიროვნების ზუსტი ფსიქოლოგიური დახასიათების საფუძველზე. ბრიუსოვთან ჩვენ ვხვდებით:

«Я помню вечер бледно-скромный,  
Цветы усталых георгиин  
И детский взор — он мне напомнил  
Глаза египетских богинь».

ამ ძირითადი ფსიქოლოგიური შტრიხის ემოციურად გასაცნობიერებლად ბრიუსოვი იყენებს შედარებას ეგვიპტელი ქალღმერთების ქანდაკებასთან, და ცდილობს გამოიწვიოს მკითხველში განცდები ამ ქვეყანასთან უცხოობისა. ამგვარი ემოციური დახასიათება მას მიაჩნია მოცემული პიროვნებისათვის შესაფერისად.

პოლ ვერლენთან მისი დეკადენტური და ერთდაგვარად ავადმყოფური მსოფლგაგება დაედო საფუძვლად უაღრესად მწუხარ და უიმედო ემოციებით შეფერილ პოეტურ სახეებს, „მიღდრის უსაზღვრო სველამი, უიმედო თოვლი ბრწყინ-

ნავს ქვიშისებრ“ (ჩვენ აქამდე საკითხის ერთდაგვარად გამართკეებისათვის ვინილაგდით ისეთი პოეტურ სახეებს, რომლებიც ატარებენ გაშლილი შედარების ხასიათს, ე. ი. რომლებშიც ორი საგანი უკავშირდება ერთმანეთს ტერმინის „როგორ“ მეშვეობით. მაგრამ, ცხადია, პრინციპულად იგივე მდგომარეობა გვაქვს იმ შემთხვევაშიც, როდესაც ასეთი გაშლილი შედარების მაგიერ საგანს მიეწერება ამა თუ იმ ემოციის გამომოქმედი ეპითეტები).

როგორც ითქვამს, პოეტური სახეები გარკვეულ მსოფლგაგებას ეყრდნობიან, როდესაც საგნების ემოციურ დახასიათებას იძლევიან. ვინაიდან პოეტურ სახეებს გარკვეული ერთიანი მსოფლგაგება უდევთ საფუძვლად, ცხადია, რომ თვითონ პოეტური სახეების აგებაშიც გარკვეულ სისტემატურობას უნდა ჰქონდეს ადგილი. ეს ნიშნავს, რომ პოეტური ნაწარმოები ასეთ მოთხოვნას ემორჩილება: ლექსში არ შეიძლება ჩაყრილი იყოს უწესრიგოდ სხვადასხვა ემოციური ქვარადობის პოეტური სახეები. ჭეშმარიტ ფაქტს მაშინ აღწევს პოეტური ნაწარმოები, როდესაც მასში მოცემული პოეტური სახეები ერთმანეთს ეთანხმებიან და იძლევიან ერთიან ემოციურ სურათს, ერთიან ემოციურ სისტემას. ჩვენი აზრის განსამარტავად გაეხსენოთ გალაკტიონ ტაბიძის „თოვლი“.

დასაწყის სტროფივე ვხვდებით:

„...მაგრამ მე მუამდ მემასსოვრება  
შენი თოვლივით მერთალი ხელში“.

ამ პოეტური სახით იქმნება ნაზი ნალველის და სვედის წინაშე უძლურების ემოციები, რომლებითაც პოეტი ახასიათებს თავის სიყვარულს.

შემდეგი პოეტური სახე აძლიერებს ამ ემოციურ ქვარადობას...

„ძიროფასო! ვხედავ... ვხედავ შენს ხელებს,  
ულროდ დახრილი ოღოვთა დაფნაში...“


იმევე ემოციურ ტონალობაშია მოცემული პიროვნების სხვა მხარეების დახასიათებაც.

„...მე თოვლი მიყვარს, როგორც შენს ხმაში  
ერთ დროს ფარული დარდი მიყვარდა“

იგივე ლირიკული ნალველია დაღვრული ლექსში, როდესაც პოეტის სულიერი მდგომარეობაა აღწერილი:

„თოვ! ანაირ დღის ხარებამ ლურჯი  
და დაღალული ფიქრით დამთოვა...“

ამ ლექსის უღრმესი ეფექტის საიდუმლოება მდგომარეობს იმაში, რომ პოეტური სახეები ერთ ემოციურ ქვარადობაშია მოცემული, ისინი ერთმანეთს აძლიერებენ და ქმნიან ერთიან ემოციურ სურათს.



დ. ერისთავი

კლასობანა

მცნების გარეშე ადამიანი ვერ შექმნიდა ლეგენდას და უოცნებოდ ვერც ლეგენდას აქცევდა სინამდვილად. კაცობრიობას დასაბამად ბევრ რამეზე უოცნებოა. ბევრი ოცნება ახლითაა. ცვალებადი უოცნებობა და შეუქმნია ლეგენდები იმის რწმუნით, რომ ამ უოცნებო სინამდვილედ აქცევდა. მაგრამ კაცობრიობამ საუკუნეებს გამოატარა დიდი ოცნება იღუპავდნენ მოსილი ვარსკვლავითურ კრიმელიც კვლავ და კვლავ მიუწვდომლად რჩებოდა. ამახიდა ადამიანის სული, აენ-და ვი გონება... და აი, საბჭოთა ადამიანმა პირველმა დაარტოა კოსმოსის მეუფური სიზუფროვე, პირველმა აიტაცა ვარსკვლავითი კაცობრიობის ოცნება და დიდი ლეგენდა დაიღ სინამდვილედ აქცია.

## პირიან „პარსკვლავითის ძეგლი“

პირველმა კოსმონავტიკამ, საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის მოქალაქე იური გაგარინმა, ლეგენდა, რომელიც შემდეგმ განაგრძებს კვლავ საბჭოელმა ადამიანებმა გერმანულ კოლონა, ანდრის ნიკოლაევმა და პავლე პოპოვიჩმა — არ დასრულებულა. ეს ლეგენდა გრძელდება...

კაცობრიობის დაამეფებლეს საბჭოთა კინოოპერმენტალისტებმა. ისინი კინოფორმზე ახლებდავენ უკველ ეპოქის იმ დიდ ლეგენდას, რომელიც ჩვენს ეპოქაში შექმნა ადამიანის გონების სიღაძედ, გვირუკობა სულმა, არჩახებულა ნებისყოფამ... მსოფლიოს ციკლები შემოიარეს ფილმებმა — „პირველი რეისი ვარსკვლავებისაკენ“ და „კვლავ ვარსკვლავებისაკენ“. ახლა თავის ტრიუმფულ სვლას ეგრავებ იწყებს სურათი „ვარსკვლავითის ძეგლი“.

ეს ახალი ნაწარმოები კინემატოგრაფიის ხასრტა და საბოლოო ენით მოგვითარბოს თუ როგორ ცხოვრობდა და მუშავებდა „კოსმოსური ლეგენდას“ ორი გმირი, ორი უბრალო საბჭოელი ადამიანი — ნუვსი ანდრია ნიკოლაევი და ურკანელი პავლე პოპოვიჩი, როგორ გახდნენ ისინი კოსმონავტები, როგორ დამეგობრდნენ და ემზავლებოდნენ დაიდი მზის მისაღწევად, როგორ აიჭრნენ მშლივრი რაკეტებით კოსმოსში და ფრინავდნენ ერთად, მზარდმპარ, როგორც ნამდვილ „ვარსკვლავითის ძეგლი“ შეიქმნათ.

სურათი მოსკოვის სამეცნიერო-პეკულარული ფილმების სტუდიაში ე. რიახიკოვის რეჟისორის მიხედვით შექმნეს დამდგომლმარტინარმა დ. პოკლუპოვამ, რეჟისორმა ი. გოსტოვამ, მოთარგმნა იპერატორებმა დ. გასოლუმა და ი. კასატკინმა, ოპერატორებმა ვ. აფანასიევმა, მ. ბუჩინტონოვმა, ბ. გლოვინოვმა, ა. კაიროვმა, რ. ტრინინმა. სწორად ამ გადამღებ კოლექტივს ეკუთვნის პირველი ორი სურათიც იური გაგარინისა და გერმანე ტიტოვის კოსმოსური ფრენის შესახებ. შეიძლება ითქვას, რომ ამ კოლექტივის კოსმოსზე ფილმების გადაღება და სურათების დასრულება მათი ახალი კინოწარმოებით, „ვარსკვლავითის ძეგლი“ საგრძობლად განსხვავდება თავისი წინამორბედი ორი სურათისაგან. ფილმის შემქმნელებს დიდი რისკისაგან, ველმისი შეშინებით და გმირული ღონისძიებით, რომელიც უმეტესად მთელი გაბატებით, გზებით, ტემპერამენტით და შეიძლება ითქვას, საქმის ღრმა ცოდნით აქვთ გაუმეცემული კოსმონავტების მუშაობისა და წრათის ეპიზოდები, მათი უკველადური ცხოვრება და გმირული შრომა, კოსმოსური ზომადების სტატია და ცაში აქრა, კოსმონავტების მიწაზე მშვიდობიანად დაბრუნების გამოწვევის სახალხო ზეით მოსკოვში და სხვ.

ფილმის ავტორები ცდილობენ სურათის გმირთა პორტრეტულ დახასიათებასთან ერთად მოგვარდნენ თვითთულის ინდივიდუალური ნიშნებით და ისიც, რაც ორთავისათვის ნინამდებლივია. მაგალითად, იხვევ როგორც წინა ორ ფილმში, ამ სურათშიც ფართოდ არის ნაჩვენები კოსმონავტების წრათის — თხილამურებით სრიალი, ბურთით თამაში, ცურვა, ვარჯიში სპციალური იარაღებისა და ამბერებში, რომლებიც კოსმოსური ზომადების ცალკეულ დახასიათებას ებღენ ნინებს წარმოადგენენ. მაგრამ თუ კადრები იმის გარდა, რომ გვიხსნიან, თუ რა უნდნენ და ურთულესი ვარჯიშის გამოვლა უზღებამ კოსმონავტებს, რაოდენ ფიზიური დატვირთვისა და ნებისყოფის დაძაბვის შედეგად აღწევნენ ისინი ფრენის ნებაბრებს, აგრეთვე გვიხსნავენ ცურვის ძეგლის ამტანობას, მათ მიზანწარაფულ დაჯერებულ, მშვიდ ხასიათსაც, ისინი იმ ადამიანებად გვეხსნიან, რომლებიც მუშავებენ ახალი უკველადური სინდელთა დასამდვიდად, პავლე პოპოვიჩი საბურჯ კამერაშია. აქ ტემპერატურა უკვე გადასცდა სამეცნიერო გარეგნულს. კოსმონავტი კი მშვიდად იღიბებოდა... გაცობასა და ატაცებას იწყებს სცენარში, რომლებიც ნაჩვენებია კოსმონავტთა ვარჯიში უღიღისი სისწრაფით მზრუნავ ტერიტორიულაგაზე, ანდა როდესაც ათი დღე-ღამის განმავლობაში გერმანულად დაბურულ „მღუმეარე“ კამერაში უფრენს, ახილულტური სიჩუმის შემდეგ კოსმონავტი უეტარე ხვდება რაღაც ატანულ მზურველ და ის კი სრულად მშვიდად მორიგ ნანაწერს აკეთებს შექმნილი მდგომარეობის შესახებ. სიმშვიდეს, — რომელსაც ამ დროს ჩვენ ვკითხულობთ კოსმონავტის საბურჯი — მივყავართ ზღაძედ და გულგრალოდ იურიერ უგრძნობიარესი ამარბები და ფირზე აღ-

ბეჭდავენ მისი გულის ნორმალურ ცემა. შემდეგ ამ, და მის მსგავს სხვა ფირებს უტარდებენ სწავლებლებ მცენერი-მედიკოსები, რომლებიც სამწერ გადაწვევებ დაგროვს კოსმონავტის ფრენისათვის მუშავდნენ შესახებ.

შეულო კინოდაკვირვებთა გარდა, ფილმის ავტორები გავწყინან საინტერესო სამეცნიერო-შემეცნიერების ხასიათის მასალას. ბევრ ახალ ვიდეოთ საინტერესო ტექნიკის, კოსმოსური ზომადების მოწყობლობათა, კოსმოსური ფრენის მომზადების შესახებ. მჭირე საინტერესოა ფილმში ორგანიზებული ჩართული ნივთაა სტაფანდრე. აქამდე ჩვენ ბევრი რამ როდეს ვიცოდეთ კოსმონავტის ტანსაცმლის შესახებ. წინა ფილმებთან დაგვახსოვრება, რომ სტაფანდრა ლიანრიგის ფერია, რამდენადმე მოუხეზავია. მაგრამ ახლა შევითვით, რომ კოსმონავტის ტანსაცმელი — სტაფანდრა სინამდვილესი მეორე კაზინაა, რომ ავარიის შემთხვევაში იგი დღეღუბისაგან გადაარჩენს კოსმონავტს. სტაფანდრის შეიძლება ეწოდოს პატარა სახლიც, რადგან მასში არის უკველადი აუცილებელი — სუთთა პაერე, სინაილი, გათბობა, რაღო, კანალიზაცია. სტაფანდრა არ ატარებს არც სიბინის, არც ურენას, არც წყალს, არც გაზს... შეგინდია ასეთ „გუჯაშანს“ უზიზღად მიენდენ. ნაცალი. არ გიღაძებოდა...

და აი, უკვე კოსმოდროზე სწორედ ამ სტაფანდრებში ვხედავთ ჯერ ანდრია ნიკოლაევის, ხოლო შემდეგ პავლე პოპოვიჩის. ეგრანე ცოცხლებდა 1962 წლის 11 აგვისტოს ისტორიული დღე, კოსმოსური გრის ახალი დღე. ისმის პირველი კოსმონავტის იური გაგარინის სიტყვები: „გზა მშვიდობისა! გავსწრით!“ და იქვე ნიკოლაევის პასუხიც: „გავსწრით! გზა მშვიდობისა!“ ორი ბიჭი გადის კოსმოსური ზომადებ „აბოროსავლეთი“—ში. შემდეგ მას უეტრდება „აღმოსავლეთი“—ში. ხდება სასწაული. დაძლეულია კოსმოსის ათვისების ახალი უღუდ. „ვარსკვლავითის ძეგლი“ თავს დასტარდებენ ჩვენს მშენიერ პლანეტას... იწერება ლეგენდა სინამდვილედ ქცეული.

ლეგენდა არ დასრულდება. ლეგენდა გრძელდება. ახლა მისი ერთ-ერთი მშენიერი ეპიზოდია „მარსი-1“. იგი გზას განაგრძობს. ადამიანის ოცნება უსასრულობას იღბების. ოცნებას არ უღებს ზღვარი. არც ლეგენდას აქვს დასასრული.

მ კ მ რ ა




კომპოზიტორი ლეონ ჭავჭავაძის ფიგურა



მინდია — მ. ანჯიფარაძე

ხევისბერი — ი. შუმანია



# „მ ი ნ ლ ი ა“



ზია — თ. კუზნეცოვა



ჩალხია — პ. ამირანაშვილი

სვენა ლაგერი-  
დან „მინდია“



დირიჟორი  
ოლესე  
დიმიტრიადი




რეჟისორ  
დიმიტრი  
ალექსიძე



ლიბრეტოს  
ავტორი  
რევაზ  
თაბუკაშვილი



მხატვარი  
ფარნაოზ  
ლაბიაშვილი





ლ. გუდიაშვილი

ნამე მსახიობა ქალი

ქალის  
სიყვარული  
საქართველო

1963

საქართველოს  
საბავშვო  
საზოგადოებრივი  
სამსახური

# ფიქრები, ბებებნი

ახალი წლის წინ „საბჭოთა ხელოვნების“ თანამშრომელმა მოსკოვში მცხოვრებ ხელოვნების ქართველ მოღვაწეებს სთხოვა გაეზიარებინათ ჩვენი ჟურნალის მკითხველებისათვის თავიანთი მომავლის გეგმები, ვბეჭდავთ მათ პასუხებს.



კინდლერაპატურბი  
გიორგი  
მდივანი

კინოფილმ „კეთილი ადამიანების“ შემდეგ, რომელსაც — კარგად იცნობს ქართველი მაყურებე-

ლი, ჩემთვის მეტად მნიშვნელოვანი იყო მოგზაურობა რევოლუციურ კუბაში. იქ მიღებული შთაბეჭდილებების შედეგად დავწერე პიესა „ტერეზას დაბადების დღე“, რომლის პრემიერა შედგა მოსკოვის ბუშკინის სახელობის დრამატულ თეატრში. აღსანიშნავია, რომ ეს პიესა დადგა ჩვენი ქვეყნის მრავალმა თეატრმა, მათ შორის თბილისის შ. რუსთაველის სახელობის თეატრმაც (რეჟისორი დ. ალექსიძე).

„მოსფილმში“ წარმოებაში ჩაუშვეს ჩემი ახალი სცენარი „დიადი გზა“, რომელიც ეხება დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის საერთაშორისო მნიშვნელობას. იგი მოგვითხრობს იმ ინტერნაციონალურ ბრიგადებზე, რომლებიც სამოქალაქო ომის დროს წითელი არმიის მხარეზე იბრძოდნენ. ფილმის მთავარი მოქმედი გმირებია სახელგანთქმული ჩეხი მწერალი-სატირიკოსი იაროსლავ ჰა-

შვი და მისი ადიუტანტი პიოტრ შვიცი. ცნობილია, რომ ი. ჰაშემა 5 წელი დაჰყო საბჭოთა რუსეთში და ტქვე ეფრეიტორობიდან მე-5 წითელი არმიის პოლიტგანყოფილების უფროსობამდე მიაღწია. კინოსცენარში მე შვევცადე მეჩვენებინა თუ ანარქისტი ახალგაზრდა კაცი როგორ გახდა კომუნისტი და შემდეგ თვალსაჩინო პოლიტიკური მოღვაწე. ფილმის კანრი გმირული კომედიია. მას დგამს კინორეჟისორი ი. ოზეროვი. გადაღებაში მონაწილეობენ როგორც ჩეხი, ისე საბჭოთა კინოსახიობები.

წელსვე იტალიელ რეჟისორ რომალო მარჩელისათვის დავწერე სცენარი ხალხთა მეგობრობაზე, რომელიც დადგა „მოსფილმმა“ და იტალიურმა ფირმამ „ნაოლოენ ფილმი“. ნოემბერში ვიყავი იტალიაში და დავესწარი მის პრემიერას. ფილმს ეწოდება „სიახლე აღმოსავლეთში“. უახლოეს მომავალში განზრახული მაქვს დავწერო კინოსცენარი „ივანე ბროცკინი-დირექტორი“ და ამით დავამთავრო ტრილოგია ივანე ბროცკინზე.



## ბესტჰარი

ირაკლი

თოქიძე

შარშანდელი წელი ჩემთვის დაძაბული შემოქმედებითი შრომის წელიწადი იყო. ვმუშაობდი როგორც დიდ მხატვრულ ტილოებსა და გრაფიკაზე, ისე მრავალი ჟურნალ-გაზეთის-



თვის, რადგანაც ამგვარი სამუშაო მხატვრისათვის მეტად საინტერესოდ და აუცილებლადაც კი მიმაჩნია.

1963 წელი, ალბათ, არანაკლებ დასაბუღო იქნება. არ მინდა ბევრს დაგვირდეთ, მაგრამ ერთს კი ვიტყვი: წელს 60 წელი შემისრულდა. ჩემთვის ამ ღირსშესანიშნავ თარიღთან დაკავშირებით კი, ბუნებრივია, ძალა-სა და ენერჯიას არ დავიშურებ ღირსეულად წარვსდგე ჩემი ხალხის წინაშე. ერთი დიდი სურვილი მაქვს — საქართველოში მოეწყოს ჩე-

მი პერსონალური გამოფენა. ამით მინდა სრულად თუ არა ნაწილობრივ მაინც ვუჩვენო ქართველ ხალხს, რის გაკეთება შეეძლო ამ ხნის მანძილზე.

ვსარგებლობ შემთხვევით და მინდა ახალი წარმატებანი ვუსურვო ჩემს ქართველ კოლეგებს. ჩვენი სამშობლოს ყოველი დღე უდიდესი სიახლეებითაა სავსე და ამის მაღალი ოსტატობით, პოეტურად ასახვა ყოველი ქვეშაირი მხატვრის მოვალეობაა.



**მ**სახიობი  
ვლადიმერ  
ბანდუქაძე

მოსკოვის ოპერეტის თეატრში, სადაც სამხატვრო ხელმძღვანელად ვმუშაობ, წელს ვღვამ კომპოზიტორ ხრენიკოვის პირველ ოპერეტას

„100 ემპაი და ერთი გოგონა“. იგი ებება მეტად აქტუალურ საკითხს — სექტანტების მავნებლობას. თეატრში მიზნად დაისახა, საზოგადოების ფართო ფენებს მთელი სიხალადით უჩვენოს, თუ რაოდენ სისაძაღუს ჩადიან ეს გადაკვარებული ადამიანები, ვითომდა, ღმერთის სახელით.

წელს უკვე დავდგი კომპოზიტორ სანდლერის ოპერეტა „ვერიაკი“. იგი მოვეთხრობს საბჭოთა ბოლოვებზე, რომლებიც არა მარტო ოცნებობენ ბედნიერ მომავალზე, არამედ ქმნიან მას.

არტისტულ მუშაობას სტანისლავსკისა და ნემროვიჩი-დანჩენკოს სახელობის მოსკოვის სახელმწიფო მუსიკალურ თეატრში ვეწევი. უახლოეს მომავალში აქ აღადგენენ შოსტაკოვიჩის „კატრინა იზმაილოვას“, სადაც შეეასრულებ მთავარი გმირის, ბოროტი მოხუცის ბორის ტიმოფევიჩის როტულ პარტიას.

**მ**ოქანდაკე  
ბორბო  
თოძიძე

საბჭოთა კავშირის კულტურის სამინისტროს დადგენილებით, ქ.ჟუკოვსკი (მოსკოვის ოლქი) უნდა დაიდგას „ავიაციის მამის“ ნ. ე. ჟუკოვსკის 7 მეტრიანი ძეგლი. ბედნიერი ვარ, რომ ამ საბატიო ამოცანის შესრულება მე მხვდა წილად.

პარალელურად ვმუშაობ დიდი ლენინის ბიუსტზე, რომელმაც გაიმარჯვა კულტურის სამინისტროს მიერ გამოცხადებულ საკავშირო კონკურსში.

და ბოლოს ჩვენი ნონა. განა შეიძლებაოდა გულგრილად მექცირა მისთვის ე. ბიკოვასთან გამართულ „სამკედრო-სასიციოცხო“ ორთაბრძოლაში? ახლაც დიდი გატაცებით ვმუშაობ ნონას პორტრეტზე, რადგან ჩვენ წესად გვაქვს — პორტრეტი, მხოლოდ მაშინ შეიძლება ჩაითვალოს დამთავრებულად, როცა მას სახელოსნოდან აიტანენ.



**მ**სახიობი  
ვალერიან  
ბაკუტაძე

ბოლო ხანებში რეჟისურამ გამიტაცა. ეს ინტერესი კიდევ უფრო გამიღვივდა მას შემდეგ, რაც ჩემ მიერ დადგმული პირველი მცირემეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „ადამიანის მოკვლა“, ჯეკ ლონდონის ამავე სახელწოდების მოთხრობის მიხედვით, საკმაოდ დადებითად შეაფასა პრესამ და მაყურებელმა. ამჟამად სამხატვრო

თეატრში ვამზადებ იური დერჟავინის როლს ლ. ზორინის პიესაში „მეგობრობა და წლები“.

ლ. ზორინის პიესა თანამედროვეა, და მოვეითხრობს იმის შესახებ, თუ კომუნისტური საზოგადოების მშენებლობის წლებში როგორ ვაყვავდებთან და იწრთობიან საბჭოთა ადამიანები. მომავალ წლისათვის მინდა ავადგა სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმი.

# ბალეტმაისტერი

ალექსი

ბოჩინაძე

ბოლო ხანებში ხშირად მიხდება საგასტროლო მოგზაურობა სახელმწიფო გარეთ. განსაკუთრებით სასიამოვნო მოსაგონარია ჩემთვის პოლანდია, რადგან შარშანდელ საერთაშორისო თეატრალურ ფესტივალზე ადგილობრივი დასი ჩემი დადგმით წარსდგა და გაიმარჯვა. წელს მიმიწვიეს ბულგარეთში, სადაც განვაახლე „გედის ტბა“. აგრეთვე გაემართე 22 კონცერტი. სიხარულით შევიტყვე, რომ ახალ მხატვრულ ფილმში „რა ახალგაზრდები ვიყავით“ ბულგარულ მეგობრებს ჩემი ერთ-ერთი დადგმა გამოუყენებიათ დებიუსის მიხედვით. ამჟამად ვმუშაობ პროფიცივის მე-7



სიმფონიის გასასცენირებლად, დიდ თეატრში კი რეჟ. მ. თუმანოვთან ერთად ვდგამ ი. ევმიოვის მუსიკალურ პოემას „მოსკოვის ლავრადები“.

მაგრამ ყოველივე ეს გერაფრთი ვერ შეედრება ჩემ დიდი ხნის სურვილს — რაიმე დაედგა თბილისში. არავითარ დროსა და ენერჯის არ დავიშურებ, თუ ამის შესაძლებლობა მომეცემა...

## მხატვარი

სმრბო

შილკაძე

ლი ხელოვანის საბატო სახელი. უკანასკნელ ხანებში დეკორაციული ლარნაკებია და სპორტული თასებით დავინტერესდი.

აფხაზეთის კულტურის სამინისტროს დაკვეთით ვამზადებ სამხსოვრო სუენირებს საქართველოში სტუმრად ჩამოსული ტურისტებისათვის. საქართველოში საბჭოთა ხელი-სუფლების დამყარების 40 წლისთავს გუძღვნი რამდენიმე მხატვრული ლარნაკი. ამჟამად გატაცებით ვმუშაობ მონუმენტურ ლარნაკზე, რომელსაც ერქმევა „სოციალიზმიდან კომუნისმამდე“. მასში ასახული იქნება სამი დიდი თარიღი — 1917, 1961 და 1981...

შარშანდელი წელიწადი ჩემთვის როგორც კომპოზიტორისათვის, არც თუ ისე უხვ მოსავლიანი იყო, რადგან ძირითადად ვმუშაობ სახელმწიფო მუსიკალურ გამოცემლობაში და გადატვირთული ვარ. ჩემი რედაქციით გამოვიდა ქართველი მუსიკის-მცოდნის არ. მშველიძის შესანიშნავი მემცნიერული გამოკვლევა-კრებული „ქართული ქალაქური ხალხური სიმღერები“. დავწერე მესამე ნაწილი „ორი ძმისა“ და ამით დავამთავრე ეს სიმფონიური პოემა აფხაზურ თემაზე, აგრეთვე, რამდენიმე საბავშვო საუნდლო სიმღერა, საესტრადო მელოდია და საინსტრუმენტო პიესა ხალხური საკრავებიანი ორკესტრისათვის.

წელს, პიონერული ორგანიზაციის იუბილესთან დაკავშირებით, დავწერე პიესა პიონერებისათვის, აგრეთვე მე-4 სიმებიანი კვარტეტი და რამდენიმე რომანსი საბჭოთა თემებზე. ამავე დროს თავი მინდა ვცადო ახალ ჟანრში — ეს არის მუსიკალური კომედია. გ. სუხარევთან ერთად ვმუშაობ ლიბრეტოზე. გადაწყვეტილი მაქვს, ჩემი პირველი ოპერეტა მივუძღვა ქალთა საერთაშორისო დღეს — 8 მარტს.

## ქუმოვიტორი

ნიკოლოზ

ნარიშკინი



თითქმის ოთხი ათეული წელია, რაც ვცხოვრობ და ვმოდგაწვობ მოსკოვში. ამ ხნის განმავლობაში, ვინ მოთვლის, რამდენ გამოივენასა და კონკურსში მიმიღია მონაწილეობა. ყოველთვის ვცდილობდი ღირსეულად დამეცვა და არ შემერცხვინა ქართვე-



# მეშვილინი მარიამ იასვილი

ს. ცინცაძის, ი. გოციელის და სხვათა ნაწარმოებები. იანვარში მიწვეული ვარ გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში, სადაც გამოვალ როგორც სოლო-კონცერტებით, ისევე ქალბატონოში რომანსა (როიალი) და პრიმეჯისთან (ჩელო) ერთად.

1949 წ. მოყოლებული, როცა ჩეხოსლოვაკიაში 17 წლის გოგონამ პირველად მოვიბოვე საერთაშორისო ლურჯატის საბატოო წოდება, მუდამ ვუჩიოდი ჩემს რეპერტუარში ქართული ნაწარმოებების ნაკლებობას. წელს მთლიანად ამ მხრივ ვიმუშავე და თბილისში ჩავწერე ა. ბალანჩივაძის,

საკონცერტო-სამუსერულებლო მოღვაწეობასთან ერთად პედაგოგიურ მუშაობასაც ვეწევი მოსკოვის ჩაიკოვსკის სახელობის კონსერვატორიაში, ასევე შინაც. ვამეცადინებ ჩემს უფროს ქალიშვილს 7 წლის ლალის, როგორც დედასა და როგორც პედაგოგს მასარებს და მავიქრებს მისი ჯერაც უმნიშვნელო, მცირეოდენი წარმატებანი...

ახლანას გამოვიდა ჩემი წიგნი „ქართული ქალაქური ხალხური სიმღერები“, რომელშიც შეტანილია იპოლიტოვ-ივანოვის, დ. არაყიშვილის, ი. კარგარეთლისა და ჩემ მიერ შეგროვილი ცალბიანი და გუნდური სიმღერები. კრებულს ერთის ისტორიულ-მეცნიერული გამოკვლევა და კომენტარები. ბოლო ხანებში გამოირყვა, რომ როგორც ჩვენში, ისე რუსეთში ჯერ არ გამოცემულა ამ სახის წიგნი.

უახლოეს ხანში გამოცემულბა „საბჭოთა საქართველოს“ უნდა ჩავაბარო ნაშრომი „მუსიკალური განათლების ისტორია საქართველოში 1921 წლამდე“, რომლის ნაწყვეტები იბეჭდება ქურნალ „საბჭოთა ხელოვნებაში“. გამზადებ ნარკვევს პირველ ქართველ თერგდალეულზე მუსიკაში — პ. სავანელზე. ჩაიკოვსკისა და რუბინშტეინის მეგობარი პ. სავანელი იყო პირველი კავკასიელი, რომელიც შევიდა პეტერბურგის კონსერვატორიაში. პარალელურად ვმუშაობ რამდენიმე საინტერესო წერილზე, მათ შორის „დ. გურამიშვილი და სლავიანური ხალხური სიმღერა“.

## ბალეტის ტარი ალექსანდრე ლავსკრი



რო მუშაობზე და, უპირველეს ყოვლისა, დავდგა ისეთი სექტაკლები, რომლებშიც ნათლად იქნება ასახული ჩვენი ცხოვრების მჩქეფარე მჯახსცემა. ამ მიზნით უკვე კარგა ხანია ვმუშაობ ახალგაზრდა დრამატურგებთან და კომპოზიტორებთან. რა თქმა უნდა, ჯერ-ჯერობით არც ჩემს ძირითად პროფესიას — ცეკვას მინდა ვუღალატო.

## მუსიკისმცოდნე არჩილ

მშველიძე



მომავალი წლიდან გადავწყვიტე მთლიანად გადავიდე საბალეტმანისტ-

წელს ჩემთვის, როგორც მსახიობისათვის, მეტად სასიამოვნო და საპასუხისმგებლო იყო გამოსვლები თბილისის სახელგანთქმული სახალგაოტო დასის სექტაკლებში. მსგავს შესაძლებლობებს ყოველთვის უდიდესი პასუხისმგებლობითა და გულისხმიერებით მოვეციდები.

# ლიტერატორი, ხელოვანი

მაცყალა გაჩეჩილაძე



ვახტანგ კოტეტიშვილი. მხატ. ვ. სიღამონა-ერისთავის ნამუშევარი

კ

ახტანგ კოტეტიშვილი ცნობილია, როგორც ლიტერატურის კრიტიკოსი და ფოლკლორისტი, შედარებით უფრო ნაკლებად — როგორც ხელოვნებისმცოდნე და მოქანდაკე.

ჯერ კიდევ სტუდენტობის დროს დიდ მიდრეკილებას იჩენდა მხატვრობისადმი. ხატავდა, ძერწავდა და ზეერს კიბხულობდა სახვით ხელოვნებაზე. პეტერბურგის ფსიქონერვოლოგიურ ინსტიტუტში, სა-

დაც იგი 1911—14 წ.წ. სწავლობდა, ორი წლის განმავლობაში ხელოვნების ისტორიის კურსის მოსმენამ გაუღრმავა ცოდნა და სამხატვრო აკადემიაში სწავლა მის ოცნებად აქცია.

სწორედ ამ პერიოდში, 22 წლის ჰაბუკი იჩენს ხელოვანისათვის აუცილებლად საჭირო ალღოსა და ინტუიციას. „მხატვარმა — ამბობდა ვ. კოტეტიშვილი — თავის არსებაში უნდა გადმოიცნოს მთელი შინაგანი სტიქია გმირისა, გადაა-

დუღოს და ისე განიმსჭვალოს მისი გრძნობით. მხატვარმა უნდა შეისწავლოს გმირის აზრი, ვნება, ფორმა, სხეული, მაშინ შესძლებს მის დახატვას. (ქ. „თეატრი და ცხოვრება“, 1914 წ. № 27 — 9).

კ. კოტეტიშვილი ხელოვნებას აფასებდა კრიტიკული რეალიზმის პოზიციებიდან. ახალმა ეპოქამ მგრძნობიარე ბარომეტრივით შესცვალა იგი და თანამედროვე სინამდვილის იდეების ღრმად შესწავლით განჭვრიტა, რომ მომავალი ხალხისაა, რომ ცხოვრებამ მოითხოვა მოვლენების კრიტიკული შეფასება.



ვ. კოტეტიშვილი  
ოლა კოტეტიშვილის  
პორტრეტი

ვ. კოტეტიშვილი მუხლის პორტრეტი



ვ. კოტეტიშვილი მხატვრების, მოქანდაკეების, მწერლების მოღვაწეობას აფასებდა ახალი ცხოვრების მიერ წამოყენებული მოთხოვნის მიხედვით. მან სათანადოდ შეაფასა ცნობილი მხატვრის გიგო ვაბაშვილის სკოლის ღირსეული მემკვიდრის მისე თოიძის შემოქმედება. ყურადღება შეაჩერა მისი ხატვის მანერაზე, სტილზე. აღნიშნა, რომ მხატვრულად „ძლიერი ნაწარმოების შექმნისათვის არა კმარა ღრმა გრძნობა კომპოზიციისა, სრული სახის დასახატად არა კმარა ტექნიკური ხერხი. აქ მთავარ როლს თვით შემოქმედი თამაშობს, მისი ალღო, მისი ცეცხლი“ (ვ. კ. — „ქართული ხელოვანი“. 1915 წ. „თეატრ. და ცხოვრება“ 415 წ. № 25)... და შემდეგ: „ბევრი მისი სურათი ქართულ მუზეუმში მოძებნის ბიზანს და იქ დარჩება მეტყველ ხატად. მ. თოიძის შემოქმედება მტკიცე ჭვად დადებდა იმ საძირ-

ველს, რომელზედაც უნდა გაშენდეს ლამაზი ტაძარი ქართული ხელოვნებისა“ (იქვე).

1918 წ. დორბატის (ახლ. ტარტუ. ესტონეთი) უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ, ვ. კოტეტიშვილი საშუალება არ ჰქონდა ხელმეორედ განეგრძო სწავლა, ახლა უკვე ხელოვნების ხანით, მაგრამ უქმედ არ კარგავს დროს და იღრმავებს ცოდნას. როგორც მხატვარი და ხელოვნებისმცოდნე.

1922 წ. თბილისის სამხატვრო აკადემიის დაარსებისთანავე ვ. კოტეტიშვილი ქანდაკების ფაკულტეტზე შევიდა. ნიჭიერი მოქანდაკე აქტიურად ებმება მხატვართა ცხოვრებაში.

ქართული ლიტერატურის კარგი მცოდნე, ყაზბეგისა და ვ. ფშაველას მოტრფიალე, ბოზოქარი მონაწილე ლიტერატურული ცხოვრებისა, აღშფოთებული იყო იმ ვერსიით, თითქოს „მამის მკვლელი“, „მოძღვარი“, „ხევისბერი გოჩა“ და სხვა ნაწარმოებები არა აღუქმანდრე, არამედ დიმიტრი ყაზბეგს მკუთვნოდა.

თითქოს პროტესტის ნიშნად ვ. კოტეტიშვილმა გამოძეწა ალ. ყაზბეგის ბიუსტი, ჩააქსოვა მასში თავისი სიყვარული, მწერალი წარმოსახა ძლიერი სულითა და მკუნებარე ტემპერამენტით. მაშინ იგი სამხატვრო აკადემიის მეორე კურსზე იყო. იმ ხანებში ხელოვანთა სასახლეში მოეწყო სალიტერატურო საღამო თემაზე „ალექსანდრე ყაზბეგის ცხოვრება და მოღვაწეობა“. გამოფენილი იყო ვ. კოტეტიშვილის მიერ ახლახანს დამთავრებული ბიუსტი. ყაზბეგის შემოქმედებაზე მოხსენება წაიკითხა ქანდაკების ავტორმა. მეორე დღეს გაზეთი „ქართული სიტყვა“ (1924 წ. № 5) ამ ქანდაკების შესახებ წერდა: „დამსწრეთა შორის ორი აზრი არ არის, იგი ყველას მოსწონს, ყველა აღტაცებულია... რაღაც იდუმალი შარვანდელი აბრწყინებს ამ მართლაც „მთის ანრივის“ ჩაფიქრებულ სახეს, თითქო მოქანდაკეს ა. ყაზბეგის სულის ყველა

ხვეულები ერთად შეუსონავს და მისი სახის ნაკეთებზე გრძელ სხივებად დაუფრქვევია”.

შემდეგ წელს ქართველ მხატვართა ნაწარმოებების გამოფენაზე უკვე საზოგადოების ფართო წრემ იხილა იგი და კვლავ დიდი მოწონება ხვდა. ამავე გამოფენაზე გახტანგს გამოფენილი ჰქონდა „ავადმყოფი ბავშვი“ და „ქვის გენება“, რომელთაც ასევე მაღალი შეფასება დაიმსახურეს. რამდენიმე სტატია ეძღვნა ალ. ყაზბეგის ბიუსტს. „იგი ერთი კომპოზიციით იძლევა მრავალ სხვადასხვა განცდას... აქ ის წარმოდგენილია, როგორც მწყემსთა ბატონი და მთის სული, ბიუსტი ხან კიდევ თითქოს მთელი ტანი იყოს და ბართ ხელში მთებს თხრიდეს, საიდუმლოს დედამიწის სიღრმეში ეძიებდეს, სიყვარული იქ ეგულუბოდეს... უსტილობის დროს პირველი სწორი ნაბიჯი სიგნალია გამარჯვებისა და ეს სიგნალი ქართულ ქანდაკებაში მაღალი და პირველი სიხარულია ქართველი მხატვრის. ყაზბეგის ბიუსტი — პორტრეტი პირველი გამარჯვებაა ქართული სამხატვრო აკადემიის (ა. ბორჯომი — „ნამდვილი მარღვი“, — ქართ. სიტყვა“ 1924 წ. № 4). ამასთან დაკავშირებით მიხილ აბრამიშვილის მოსწრებულად და ლამაზად უთქვამს „გ. კოტეტიშვილი“ ყაზბეგის პიროვნებისა და შემოქმედების შესახებ დიდი ინტერესი აღძრა. იგი დარაჯად უღდას ყაზბეგს, როგორც მწერალი და მოქანდაკე“.

ჭურჭის გადაწყვეტილებით, განათლების სახალხო კომისარიატმა შეიძინა ყაზბეგის ბიუსტი. შემდეგ უკვე ქართველ მხატვართა გამოფენიდან გ. კოტეტიშვილის რამდენიმე ნამუშევარი იქნა შექმნილი. სამხატვრო აკადემიის ქანდაკების ფაკულტეტის მეორე კურსის სტუდენტს, ნიჭიერ ჟურნალისტს, საქ. მწერალთა კავშირის საბჭოს და საგაზეთო სექციის წევრს, სახალხო ლექტორს გ. კოტეტიშვილს 1924 წელს ქართველ მხატვართა საზოგადოების კრებაზე ირჩევნ

ვ. კოტეტიშვილი  
ბარელიეფი



მხატვართა გამგეობის თავმჯდომარედ, თავმჯდომარის მოადგილედ — ვლ. სიღამონ-ერისთავს.

1930 წლამდე იგი იყო მხატვართა საზოგადოების უცვლელი თავმჯდომარე, რომლის ხელმძღვანელობითა და უშუალო მონაწილეობით იმართებოდა ხოლმე ლექციამოხსენებები ხელოვნების საკითხებზე და სამხატვრო გამოფენები სპეციალურად მუშათა უბნებში.

1927 — 1929 წლებში ვ. კოტეტიშვილიმა ქართველ მხატვართა ნამუშევრების გამოფენებზე წარადგინა სამი ბარელიეფი — „ნატო ვანბაქე“, „ჩოპნები“ და „ქვის გენება“, რომლებსაც პრესაში კარგი შეფასება ხვდათ.

სამხატვრო აკადემიის დამოუკიდებლობისთანავე 1928 წ. ვ. კოტეტიშვილი დატოვებულ იქნა აკადემიაში სამუშაოდ. აქ იგი კითხულობს ლექციებს ქანდაკებისა და კერამიკის ისტორიაში.\*

\* ამჟამად გამოსაქველად მზადდება გ. კოტეტიშვილის „ქანდაკების ისტორიის კურსი“.

ლიტერატურული მოღვაწეობის პარალელურად ხელოვნების დარგშიც დაუღალავად შრომობს. დროდადრო პრესაში მონაწილეობს, აქვეყნებს სტატიებს: 1. „ხელოვნების წარსული და მომავალი“ (გაზ. „ლომონი“ 1922 № 12), „სახვითი ხელოვნება და ჩვენი მშრომელი მასა“ (ჭურ. „საბჭოთა ხელოვნება“ 1927 წ. № 11), „ნ. ფირსმანიშვილი“ („საბჭოთა ხელოვნება“ 1927 წ. № 5), „ქართული ხელოვნების მცოდნეობისათვის“ (ჭურ. „ქართული მწერლობა“ 1929 წ.), „ქანდაკება ცამეტი წლის მანძილზე“ („საბჭო. გაზეთი“ 1934 წ. № 30) და სხვ. მრავალი.

დიდი გულისყურით ადევნება იგი ფაქტს ქართული ხელოვნების განვითარებას. ვერ ითმენდა ნაკლს და დაუდევრობას, ქებას ასხამდა კარგ ნაბიჯს, ხალხისათვის სასარგებლო წამოწყებას. მისი უმაღლესი იდეალი იყო სამშობლოსა და ხალხის სამსახური.

ვ. კოტეტიშვილმა თავისი შეხე-

დღეობა გამოთქვა იმ ორი უკიდურესი აზრის საპასუხოდ, რომლის მიხედვით ნიკო ფიროსმანიშვილი გენიოსი იყო ან უბრალო მღვდელი. იგი არ იზიარებს ამ ორი-დან არცერთ მოსაზრებას, მიაჩნია, რომ ნიკო ფიროსმანიშვილის შემოქმედების შეფასება არ მოხდა იმ ასპექტში, რაც მის ნამდვილ ადგილს დღევანახვებდა. ამიტომაც, რომ ნ. ფიროსმანიშვილი „იდეოლოგიის“, „მიმართულების“, „მოედისა“ და სხვ. მსხვერპლი უფრო არის, ვიდრე შესწავლისა და აზროვნების თავისთავადი სავანო“ — ამბობს ვ. კოტეტიშვილი.

რეცენზიები ფიროსმანიშვილის შემოქმედებას ადარებს იმ შიორებს, რომელიც ხალხის წიაღში იქმნებოდა, საუკუნეების განმავლობაში იხვეწებოდა და სრულდებოდა, იმ განსხვავებით, რომ ფიროსმანიშვილის შემოქმედება პიროვნულია და ამ გაწმენდას მოკლებული. „საწყალი ნიკოლას“ შემოქმედების საწყისი ხალხურია (ისევე, როგორც იგივემ ბერძუკის, საიათნოვას და გიგიშვილის პოეზია). მისი თემატი სოფლიან გამოყოფილი მოგონებებია, თბილისი ყარაჩოხელებით, მათი ცხოვრების დეტალებით.

ვ. კოტეტიშვილი ნ. ფიროსმანიშვილის უთუოდ დიდ მოკვლევად თვლის. დაწერილებით იხილავს რა მის შემოქმედებას, აღნიშნავს, რომ მხატვარს აქვს დიდი საკომპოზიციო უნარი, პალიტრა მისი ღარიბია, პროზორციულობა ხშირად დარღვეული, პერსპექტივას არ იძლევა იმიტომ კი არა, რომ უარყოფს, არა, პირიქით, საკუროლდც მიაჩნია, მაგრამ ვერ ახერხებს, ეს შედეგია უტოლიანობისა. ამ უტოლიანობიდან მოდის ყველა მისი ნაკლი, რომლის გასწორებაც სკოლას, სწავლას შეეძლო. შემოქმედებ ბუნება, რაც ადამიანის ერთგვარ თანდაყოლილ მეობას წარმოადგენს, უნდა ითქვას, რომ ეს ბუნება ნ. ფიროსმანიშვილს აქვს და მიიღარც... საგნის ჩაწვდენა, ხასიათის შენიშვნა, გუნებაგანწყობილების

დაქერა, ყველაფერი ეს ჩვენ მხატვარს აქვს“.

რა არის ნ. ფიროსმანიშვილის შემოქმედებაში მიმოხილველი და რა შემოქმედებითი ამოცანები იმატება მის ტილოებს იქით? სვამს კითხვას იგი ად იქვე პასუხობს: ეს არის უპრეტენზიოება, რომელიც შემოქმედების დიდ სამეაულს წარმოადგენს, შემდეგ გულბრწყინობა, მეტისმეტი უშუალობა, ძალდაუტანებლობა. სხვანაირად რომ ვთქვათ, „ის აწყვეტილია, იმღერება და იმღერის ყოველგვარი ნოტური სისტემის გარეშე. ეს კი შემოქმედების ის ელემენტია, რომელიც უნდა ქონდეს ყველა მხატვარს, ვინც კი შემოქმედობს სიმართლით და არა გაკეთებული სულით“ (ვ. კ. — ნიკო ფიროსმანიშვილი — ჟურნალი „საბჭოთა ხელოვნება“, 1927 წ. № 5 აქვე შევიწინათ: არ უნდა დაგავიწყდეს, რომ ის სტატიები, რაც თანამოყრელია ამ წერილში, იწერებოდა 1914 — 33 წლებს შორის. ამ პერიოდისათვის ხელოვნებათმცოდნეობა, როგორც მეცნიერება საქართველოში მხოლოდ ყალიბდებოდა. ამიტომ ვ. კოტეტიშვილს მრავალ საკითხში გზის გაკლევა უხდებოდა).

ვ. კოტეტიშვილმა მოკლედ, მაგრამ ღრმად დაახასიათა 1933 წ. საქ. მხატვართა ნაწარმოებების გამოფენის მონაწილე შემოქმედნი: თ. აბაკელია მისი მიღწევებით და მოქანციურტი შესაძლებლობებით, კ. სანაძე მისთვის დამახასიათებელი სითამამით, ვლ. კეშელავა და სხვანი.

ბუნებისაგან უხვად მომადლებული ნიჭი მხატვრობისა, მისი ზრდა და ოსტატობის სრულყოფა — ამ სიტყვებით შეაფასა ვ. კოტეტიშვილმა ელენე ახვლედიანის შემოქმედება და თითქოს განვკრიბა მისი მომავალი ადგილი ქართულ ხელოვნებაში.

ვახტანგი დიდი თაყვანისმცემელი და შემფასებელი იყო ჭეშმარიტი ხელოვნებისა. ქართველ მხატვართა გამოფენისთან დაკავშირებით, 1924 წ. ი. ნიკოლაძის შესახებ

ვ. კოტეტიშვილი წერილს აქვეყნებს ჟურნალ „კავკასიონი“ (1924 წ. № 12).

...ჩვენი ქანდაკების დაცარიელებულ ლერწმი მხოლოდ სილუეტები დაღის და ექსტას მსახურებივით სამ მოვალეობას ასრულებს: იცავს თავის შემოქმედებით საქართველოს სიწმინდეს, კერაზე ცეცხლს უფარსილდება და მსხვერპლად შეიპყრება თავისი სული ანუ შემოქმედება. ეს ი. ნიკოლაძეა.

და ეს სილუეტი ჩვენში დაღის, როგორც ცოცხალი მხილება. საქართველოს ხელოვნება უნდა განსტკიცდეს. დროა, რომ ქვემო კვლავ აღსაზრადენ. ტფილისი მონუმენტებს ელის, მცხეთას, ბაგრატიის ტაძარს, ოშკს უნდა შეეტოვოს ახალი გამარჯვება მესხე“.

კითხვალბოთ ჩვენიხებს და გზილბოთ მეცნიერული ცოდნის შუხავება აზრის გადმოცემის სისაღებოსათ. პროფესორნადლისათვის ხომ მეტად საგულისმობა მისი რეკონიები, ხოლო მასისათვის ისეთი წიგნია, რომელიც მისაწვდომს და გასაგებს ხდის ხელოვნების „საიდუმლოს“.

მიუხედავად იმისა, რომ ვ. კოტეტიშვილი დაკავებული იყო ლექციებით უნივერსიტეტში, აკადემიაში, ქუთაისის პედინსტიტუტში და კოლოსალურ სამუშაოს ასრულებდა ფოლკლორისტიკაში, თავი არ დაუნებებია ძერწვისათვის, შექმნა მთელი რიგი ბიუსტები, ბარელიეფები. რამდენიმე მათგანი დაცული სათეატრო და ლიტერატურის მუზეუმებში. ქანდაკების უზრაველესობა — დამოკრებული თუ დაუშთაერებელი — სათუთად არის შენახული კოტეტიშვილის ოჯახში. „მწირო“ (ხე), „ვეფხვი“ (მარმარილო), „ქვის ვნება“ (ქვა), „მჯდომარე მამაკაცის ფიგურა“ (პორტლენი), თამარი ბაგრატიონის ბიუსტი, ვ. წერეთლის პორტრეტი-ბიუსტი, შუშის ბიუსტი, ლილი გვარამაძის (მოკლეკავი ფიგურა), ვ. გუნიას და ნაკოპ ვაჩანაძის ბარელიეფები და სხვ. ამ ქანდაკებებში გრძნობთ სიცოცხლეს, მოძ-

რაობას, აზრს. ვ. კოტეტიშვილი მოაზროვნე მოქანდაკეა. მისი ნამუშევარი არასოდეს არ არის ცივი და უტყვი.

განსაკუთრებით აღსანიშნავია ჩამოსხმული მუშის პორტრეტი. იგი ისე მეტყველია და სიცოცხლით აღსავსე, რომ, როცა ზევიდან დაცქერით, გგონიათ თავს ასწევს და თვალეშში შემოგხედავთ. მის მაღალ შუბლზე უხვად დაყრილა ნაოჭები. ისინი მოწმობენ, რომ შრომაში გაკაქდა მისი სხეული და სული, რომ შრომაში პპოვებს იგი სულიერ სიმშვილეს. მის სახეს აშკარად აზის ფიქრისა და ზრუნვის ბეჭედი.

„ჩოხნები“ დაბალი რელიეფია, რომელიც ყურადღებას იქცევს პერსპექტივის გადმოცემის ცდით. ერთი ჩოხანი და რამდენიმე ცხვარი წინა პლანზე მსხვილადა გამოკვეთილი, ხოლო სხვა დანარჩენი დეტალები პერსპექტი-



ალ. ყაზბეგის ბიუსტი ვ. კოტეტიშვილის ნამუშევარი

ული შემცირებითაა მოცემული. უფრო შორს, ზემოთ ჩანს მთაგრეხილების მოხაზულობები. ყოველივე გადაწყვეტილია ფერებში. შე-

საძლოა, ეს იყო ცდ-ფერწერისა და ქანდაკების სინთეზირებისა.

საინტერესოა აგრეთვე „მწირი“ (ხე), „მონანიება“ (მარმარილო), რომელზეც მონასტრის ერთი ბოძი და თაღის ნაწილია მოცემული. ამ თაღსავე მიბრუნებული შიშველი მამაკაცის ფიგურა ჩანს პროფილში, თავი თაღის სივრცეში იკარგება. იგი თითქოს ცოცხელია, რომელიც მისულა ეკლესიის კარებთან, შიგ შესვლა ვერ გაუბედავს და კართან მდგარი ინანიებს რაღაც დანაშაულს, რომელსაც სასოწარკვეთილებამ იჩაუგდია. მისი ფეხი თითქოს მოკრძალებით დგას დედამიწაზე, ყოველი ნაწილი მისი სხეულისა არის კრძალვა და მორიდება. მოხრილი მხრები, უჩინარი თავი და სახეზე აფარებული ხელი პატიებას და მიტევებას ღაღადებენ. მისი მემკვიდრეობა შესასწავლია.







დირიჟორი გივი აზმაიფარაშვილი

## დიდი გზის დასაწყისი

გურამ ცინცაძე



რიოდ წლის წინათ ქართული მუსიკალური კულტურის მოღვაწეთა რიგებში ჩადგა ახალგაზრდა დირიჟორი გივი აზმაიფარაშვილი.

1960 წლის 6 თებერვალს თბილისის სახელმწიფო სა-  
ოპერო თეატრში შედგა გივი აზმაიფარაშვილის დებიუტი.  
ამ დღეს მას მიჰყავდა ჩაიკოვსკის ოპერა „ევგენი ონეგინი“.  
თბილისის მუსიკალური საზოგადოება ალტაყებით  
შეხვდა გივი აზმაიფარაშვილის პირველ გამოსვლას და მაკ

ლალი შეფასება მისცა მის ნიჭსა და ხელოვნებას. მუსიკა-  
ლობა, მაღალი მხატვრული გემოვნება, მკვეთრი ხელი და  
სადირიჟორო ტექნიკა, ანსამბლის შესანიშნავი შეგროვნება,  
ჩინებული მუსიკალური მოზაღდება გამოამჟღავნა მან სა-  
დებიუტო სპექტაკლში „დიდი სიხარულისა და ალტაყების  
გრძნობის განიცდი ასეთი ნიჭიერი მუსიკოსის გამოჩენის  
გამო. გივი აზმაიფარაშვილი უახლოეს მომავალში ბერს  
გააკეთებს ჩაენი მშობლიური საბჭოთა კულტურის განვითა-  
რებისათვის“—წერდა გივი აზმაიფარაშვილის ხელოვნე-  
ბით მოხიზლული ცნობილი ქართველი კომპოზიტორი შალ-  
ვა მშველიძე. ქართული მუსიკალური საზოგადოებისათვის  
გივი აზმაიფარაშვილის წარმატება მით უფრო იყო სასი-  
ხარლო, რომ მისი დაოსტატება, როგორც დირიჟორისა  
მიმდინარეობდა რუსეთში და ქართველ საზოგადოებას არ  
ბქონდა საშუალება წინასწარი დასკვნები გაეტყუებინა მის  
ნიჭსა და შესაძლებლობაზე.

გივი აზმაიფარაშვილი თბილისის მკვიდრია. ხელოვნე-  
ბის სიყაროში იგი ბავშვობის ასაკში მივიდა. მისი დედა  
მუსიკისმცოდნე ნინო ნათელაძე დიდ გავლენას ახდენდა  
თავის ვაჟზე. აყვარებდა მუსიკას და უფიქრებდა მას მუ-  
სიკალურ გემოვნებას. იგივე შეიძლება ითქვას მამაზე —  
ვასილ აზმაიფარაშვილზე. თუმც იგი პროფესიით ინჟინე-  
რია, მაგრამ მუსიკის დიდი მოყვარული და მცოდნე. მისი  
ოჯახის ყველა წევრი გატაცებული ყოფილა მუსიკით.—  
ხალხურ საკრავზე დაკვირთა და სიმღერით, რასაც შესაბა-  
მისი გავლენა მოუხდენია გივიზე. ქართლის შუაგულში,  
მაჩისულ სოფელ მეტეხში ბატარა გივი ზახუნლობით  
ხშირად ისმენდა ხალხურ სიმღერებს, ესწრებოდა სოფლის  
ლხინსა და დღესასწაულებს და ყოველივეს აკვირდებო-  
და.

გივის მუსიკალური განათლება მისმა მშობლებმა თა-  
ვიდანვე სწორად წარმართეს. გამოცდილ და ნიჭიერ პე-  
დაგოვებს მიბარეს. ფორტეპიანოზე დაკრას იგი სწავ-  
ლობდა დამსახურებულ პედაგოგ ევგენი ჩერნიაკსკაის-  
თან — ზ. ფალიაშვილის სახელობის მუსიკალურ ათწლეუ-  
ში, სადაც იგი ფორტეპიანოსთან ერთად სადირიჟორო ხე-  
ლოვნებითაც დაინტერესდა. აქვე უნდა მოიხსენიოთ გივის  
ბიძა დირიჟორი და კომპოზიტორი შალვა აზმაიფარაშვი-  
ლი, რომელმაც დიდი ზეგავლენა მოახდინა ბატარა გივის  
მომავალზე. ქართული მუსიკალური კულტურის ამაგდარი  
ათვითცნობიერებდა ახალგაზრდა მუსიკოსს. დაჰყავდა  
მუსიკალურ წარმოდგენებზე. დიდი ინტერესით მოუთხ-  
რობდა გამოჩენილ დირიჟორთა ცხოვრებასა და შემოქმე-  
დებებზე, ამიტომ ბუნებრივია, რომ გ. აზმაიფარაშვილი სა-  
დირიჟორო ხელოვნების საწყისებს სწორედ ბიძის რე-  
პეტიციებსა და საოპერო სპექტაკლებზე გაეცნა.

აი, გივი ოცნებობს გახდეს დირიჟორი. მის მისწრაფე-  
ბას ფრთები შესახა მუსიკალური სკოლის ადმინისტრაცი-  
ამაც, როდესაც ნება დართო ედირიჟორა მუსიკალური  
სკოლის ორკესტრისათვის. აქ მან პირველი წარმატება მო-  
იპოვა. ამ პერიოდში ახალგაზრდა მუსიკოსი გატაცებულია  
მოკატრის, ბახის, ვაგნერის და სხვათა ნაწარმოებე-  
ბით.

მუსიკალური სკოლის დამთავრების შემდეგ იგი თბილისის ვ. სარაჯიშვილის სახელმწიფო კონსერვატორიაში შედის (დოცენტ გივი სვანიძის საფორტეპიანო კლასი). როგორც ათწლეულში, ასევე კონსერვატორიაში გივი წარჩინებით სწავლობდა და განსაკუთრებით გამოირჩეოდა თავისი მუსიკალობით და აბსოლუტური სმენით. ე. ი. იმ თვისებებით, რომლებმაც გააპირობეს შედგომი მისი წარმატება სათირიყორო დარგში.

1955 წელს იგი მიემგზავრება კიევი და შედის კიევის სახელმწიფო კონსერვატორიის სადირიყორო ფაკულტეტზე პროფ. კანერშტინის კლასში, ხოლო ერთი წლის შემდეგ გვი აზმაიფარაშვილი გადადის ლენინგრადის რიმსკი-კორსაკოვის სახელობის კონსერვატორიაში და მუშაობს ცნ-ბალი დირიჟორის, პროფესორ ნ. ს. რაზინოვიჩის კლასში, გივი აზმაიფარაშვილის ნაყოფიერ მუშაობას ლენინგრადის კონსერვატორიაში პირველ რიგში ხელი შეუწყო იმ გარემოებამ, რომ იგი ლენინგრადს მოეკლინა, როგორც უკვე განსწავლული მუსიკოსი, დასრულებული პიანისტი. უკვე მუშაობს, არა როგორც რიგითი სტუდენტი, არამედ ახალგაზრდა არტისტი, რომელიც თავის ცოდნას აღრმავებს სფეროში, რომელიც მას ყველაზე მეტად აინტერესებს.

ლენინგრადში გივი ბევრს მუშაობდა კონსერვატორიასთან არსებულ საოპერო სტუდიაში, სადაც პრაქტიკულად ეუფლებოდა ოპერის დირიჟორის მუშაობის რთულ სპეციფიკას. ლენინგრადის კონსერვატორიის საოპერო სტუდია ფაქტიურად მუდმივმოქმედი სტუდენტური საოპერო თეატრია, რომელსაც კარგად იცნობს ლენინგრადის მუსიკალური საზოგადოება. მართალია, სპექტაკლები სტუდენტების ძალეებით იდგებოდა, მაგრამ შესრულების დონე ყოველთვის მაღალაკადემიურია. სტუდიაში მუშაობამ გივი აზმაიფარაშვილს დიდი სარგებლობა მოუტანა. პირველად აქ წარმატებით დირიჟორობდა დარგომიქსკის „ალს“, აქვე შეისწავლა პრაქტიკულად ჩაიკოვსკის „ევგენი ონეგინი“, პუნოს „ფაუსტი“ და სხვა სპექტაკლები. ყველა მისი გამოსვლა ლენინგრადის საოპერო სტუდიაში წარმატებით აღინიშნა და საზოგადოების მოწონება დაიმსახურა.

ლენინგრადის კონსერვატორიის მეხუთე კურსზე ყოფნისას, ზამთრის არდადეგებზე, თბილისის საოპერო თეატრში, გივი აზმაიფარაშვილმა მიიღო დებიუტი და წარმატებით ჩაატარა იგი. ჩაიკოვსკის „ევგენი ონეგინის“ ბრწყინვალე შესრულებამ მსმენელს აგრძნობინა, რომ ახალგაზრდა დირიჟორი დაჯილდოებულია დიდი ნიჭით. ამიტომაც თბილისის თეატრის სამხატვრო საბჭომ გივი აზმაიფარაშვილს ოპერის დასში ჩარიცხვა შესთავაზა, ხოლო ლენინგრადის კონსერვატორიას სთხოვა, ნება დაერთო თბილისში მისი დატოვებაზე. კონსერვატორიის ადმინისტრაციამ დათანხმდა და გივის სადილომო წარმოდგენა ბიზეს ოპერა „კარმენი“ საშემოდგომოდ გადაუღო.

სადილომო წარმოდგენის ჩაბარებამდე გივი აზმაიფარაშვილი თბილისშია და თავისი მოვლადეობის დაწყების-

საოპერო სტუდიაში ოპერა „ტრაიკატას“ წარმოდგენის შემდეგ



თანავე ამდგანებს დიდ პროფესიულ მომზადებას. რამდენიმე თვეში თებერვლის თვიდან — მაისამდე მან იდირიჟორა პუნოს ოპერა „ფაუსტი“, დარგომიქსკის ოპერა „ალი“, მელიტონ ბალანჩივაძის „დარეჯან ცხიერი“ და, რაც მთავარია, აქვე მოამზადა თავისი სადილომო სპექტაკლი ბიზეს ოპერა „კარმენი“, რომლის შესრულებითაც გივიმ სრულიად სამართლიანად დიდი მოწონება დაიმსახურა. ოპერა „კარმენი“, ისევე როგორც „ევგენი ონეგინი“ და „ფაუსტი“ ახალგაზრდა დირიჟორმა თავისებურად, ახლებურად წაიკითხა. მის სპექტაკლებზე შეიგრძნობოდა ერისი მხრივ ამ სხვადასხვა სტილის, განსხვავებული ხასიათის ნაწარმოებებში სრული ჩაწვდომა, მეორეს მხრივ არაად არ იგრძნობოდა დადგენილი ტრადიციის ბრმა მიყვლა. ოპერის პარტიტურის გაშლისას გივი აზმაიფარაშვილი პირველ რიგში ნაწარმოების მუსიკალური დრამატურგიის დრამა წვდომას ახერხებს და, რაც მთავარია, ყველა ოპერაში ამდგანებს საკუთარ პოეტურ დამოკიდებულებას ავტორისეული მუსიკალური ტექსტისადმი. გივი აზმაიფარაშვილი ბუნებით ლირიკოსია. ამითაა თავისთავადი მისი ნიჭი და ამით აიხსნება ის მიმოზიდვლობა და

სპექტაკლის შესვენებისას. გ. აზმაიფარაშვილი ამერიკელ მომწერალ ღორთიო კირსტინთან (მარჯვენის მხარე)





მოქანდაკე მ. შერაბი-  
შვილი, დირიჟორ ვ. აზ-  
მაიფარაშვილის ბიუსტი

რომელშიც მონაწილეობა მიიღეს ახალგაზრდა მსახიობებ-  
მა: ნ. ქაჯაიამ (აიდა), რ. გორგიძემ (რადამისი), რ. კა-  
კაბაძემ (ამონასრი) და სხვ.

გივი აზმაიფარაშვილის შესანიშნავი გეგმა აქვს მომავა-  
ლი მუშაობისა. იგი ოპერის დასთან ამზადებს ვერდის  
„ტრუბაღურის“ ახალ დადგმას; მუშაობს რუსული საო-  
პერო კლასიკის ისეთ ნიმუშებზე, როგორცაა მუსორგსკის  
„ბორის გოდუნოვი“ და ჩაიკოვსკის „იკის ქალი“, ფიქ-  
რობს განახორციელოს ვაგნერის ოპერა „ლუნგონისი“  
დადგმა.

გივი აზმაიფარაშვილის შემოქმედება მართო ოპერის  
დირიჟორობით როდი შემოიფარგლება. იგი ასევე წარმა-  
ტებით გამოდის სიმფონიური მუსიკის კონცერტებზე. გივი  
აზმაიფარაშვილი რამდენჯერმე წარსდგა თბილისის საზო-  
გადოების წინაშე რთული და მრავალფეროვანი სიმფონი-  
ური მუსიკის პროგრამით. ამჟამად მის რეპერტუარს ამ-  
შვენებს დასავლეთ ევროპის კლასიკოსების, რუსი და საზ-  
ქოთა კომპოზიტორების სიმფონიური ნაწარმოებები.

ახალგაზრდა დირიჟორი ჩვეული ვატაკებთა და  
ენერგიით განაგრძობს ხელოვნების სფეროში დაოსტატე-  
ბას. იგი თბილისის კონსერვატორიის ასპირანტია (სსრკ  
სახალხო არტისტ ოდისეი დიმიტრიადის სადირიჟორო  
კლასი), ამავე დროს ეწევა ნაყოფიერ პედაგოგიურ მუ-  
შაობას თბილისის კონსერვატორიის საოპერო მომზადების  
კათედრაზე.

გივი აზმაიფარაშვილის სახით ქართულ ხელოვნებას  
ნიჭიერი და პერსპექტიული მუსიკოსი მოევლინა.


ჯერომ პაინსი (და გივი აზმაიფარაშვილი  
„ფაუსტში“)



სილამაზე, რაც ახალგაზრდა დირიჟორის შესრულებას  
ახასიათებს. იგი ისევე დამაჯერებელია პარტიტურის ყან-  
რული, ეპიკური და დრამატული ფურცლების გადმოცემის  
დროს:ც.

1961/62 წლის სეზონში, რესპუბლიკის სახალხო არ-  
ტისტი დიმიტრი მჭედლიძესთან ერთად, გივი აზმაიფარა-  
შვილმა განახორციელა ვერდის „ტრაჯიკა“. საკმაოდ დი-  
ლია და მრავალფეროვანი მისი რეპერტუარი: ასაფიევის  
ბალეტი „ბახჩისარაის შადრევანი“, ვერდის „რიგოლე-  
ტო“, პუჩინის „ჩიო-ჩიო-სანი“, ლეონკავალოს „ჯამბაზე-  
ბი“, მასკანის „სოფლის პატოსნება“, ფალიაშვილის  
„აბესალომ და ეთერი“.

ცხადია, ყოველივე ეს დიდი მიღწევაა ასეთი მოკლე  
შემოქმედებითი ბიოგრაფიისათვის. საინტერესო და სასი-  
ხარულო მოგონება იქცა თეატრის ცხოვრებაში ვერდის  
ურთულესი ოპერის „აიდას“ ახალგაზრდული სპექტაკლი.



კრემლის ყრილობათა სასახლე, მანუჩებელთა დარბაზი, ავტორები: არქიტექტორები შ. პოსოხინი, ა. მდიანსტი, ე. სტამო, პ. შტეფერი, ს. შებეტილნიკოვი.

# ხ უ რ ო თ მ ო ძ ღ ვ ა რ თ ა ს ვ ა ვ ლ ე ბ ის შ ე ს ა ხ ე ბ



## ვახტანგ დავითაია

ხალი არქიტექტურის აღიარება ჩვენში არ წარმოადგენს შემთხვევითობის აქტს, იგი ობიექტურმა კანონზომიერებამ მოიყვანა დღემდე და ვერავითარი დროებითი წინააღმდეგობა ვერ შესცვლის მის საბოლოო შედეგს.

რეაქციამ „კონსტრუქტივიზმის“ წინააღმდეგ თანამედროვე არქიტექტურის განვითარება ჩვენში საგრძნობლად შე-

აჩერა. დაკარგული დროის მობრუნება დიხავე შეუძლებელია. ცხადია, საჭირო იყო „კონსტრუქტივიზმის“ პროექტირებითი გამოცდილების, არქიტექტურის ფუნქციის, შენობის ორგანიზაციის, ეკონომიური საკითხების, ტექნიკის მიღწევათა დანერგვის, უცხოეთის არქიტექტურის დადებითი მომენტების ათვისებისა და მისი მრავალი ჯანსაღი საფუძვლების შემოქმედებითი ათვისება, „კონსტრუქ-

ტივიზმის“ ესთეტიკური უფერულობის დაძლევა. დღეს, უკვე სავსებით აღიარებული ამ აზრის სისწორის კიდევ ერთი დამამტკიცებელია „ყრილობათა დარბაზი“, სასტუმრო „იუნოსტი“, კინოთეატრი „როსია“ მოსკოვში, საერთაშორისო პიონერთა ბანაკი „მორსკოი“ შავი ზღვის სანაპიროზე, სპორტის სასახლე თბილისში და სხვა მრავალი.

აქვე უნდა აღინიშნოს: მიზმაძველობა და სტილიზატორობა არასდროს ყოფილა ხელოვნების არც ერთი დარგის დიდი ნაწარმოების საწინდარი. ბერძნული და რომაული, რენესანსისა თუ ქართული საეკლესიო არქიტექტურის დეტალებისა და კომპოზიციური პრინციპების კომპირების ფაქტების წახალისებამ, რომელსაც 30-ანი წლებიდან ერთიანი არქიტექტურული ფორმის სამოქმედო პროგრამაც ასე აშკარად თანავურძნობდა, საოცრად მალე გამოიღო თავისი ნაყოფი და ჩვენი არქიტექტურა დაადგა ყოველად გაუმართლებელი, ცალმხრივი, მოჩვენებითი ესთეტიკის ტენდენციებს. არქიტექტურთა შემოქმედებითი ძიება და აზროვნება წარიმართა შენობის პასიური „შემოსისაკენ“, როლი არქიტექტურისა, როგორც სასიცოცხლო პირობების, ყოფის, დასვენების და საწარმოო



იუნესკოს კომპლექსი  
„ბარჯში“  
„იპონური პარკი“  
(ფრაგმენტი)  
ავტორი ისაი ნაგაი



საქართველოს  
საქართველოს  
საქართველოს  
საქართველოს  
საქართველოს  
საქართველოს  
საქართველოს  
საქართველოს  
საქართველოს  
საქართველოს

არქიტექტურული აზროვნება და ამ შემობრუნებას მოჰყვა სიასხელი არქიტექტურის სწავლებამაც, ხოლო განონმა სკოლის ცხოვრებასთან მიახლოებისა და სახალხო განათლების შემდგომი განვითარების შესახებ უდიდესი ეფემტები მოგვეცა.

უკანასკნელ თაობას ახალგაზრდა არქიტექტორების არქაულ ორნამენტთა და ათსკვარი პოლინომიების კომპირებაში (რომელსაც ვათავაზობდნენ ინსტიტუტში) საოცრად გართულთ, ზედსტუდენტთა მერხებზე მოვიდნენ 1954 წლის არქიტექტურულმა სიასხლებმა, ხოლო ძალიან მალე 3-4 წელიწადში ჩვენ ვიხილეთ ამ სიასხლეთა დედებით შედეგები.

წარმოდგენილად დიდაც ამ პროგრესული ნახტომი, რომელიც ჩვენმა არქიტექტურულმა სკოლებმა — საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის და თბილისის სამხატვრო აკადემიის არქიტექტურულმა სპეციალობებმა განიცადეს ამ დროიდან. ამაზე მეტყველებენ ის კონკურსები და დიპლომირებები, რომლებშიც ქართველმა სტუდენტებმა სასახლო გამარჯვებები მოიპოვეს და ჩვენი არქიტექტურული სასწავლებლების სახელი, ერთ დროს უკანასკნელი პლანიდან იქამდის აიყვანეს, რომ მათთან სათანადო „კონკურენციას“ დღეს პატივის და სახელის აქტად მიიჩნევენ სხვადასხვა დიდი ქალაქების არქიტექტურული სასწავლებლები.

1958 წელს მოსკოვში არქიტექტორთა V საერთაშორისო კონგრესთან გამართული სტუდენტთა საერთაშორისო კონკურსის ორი დიპლომი „კონკურსის საუკეთესო პროექტისათვის“ (ლ. კეჭუშვილი, ვ. დავითია) დიპლომები და სიგელთა 1960 და 1961 წლების სტუდენტთა საკავშირო კონკურსებზე გამარჯვებისათვის (ე. ქუთათიშვილი, რ. კიკნაძე, ვ. ექსანიშვილი, ვ. ავსაჯანიშვილი, ლ. ჟამბურაშვილი, ვ. გიგავილი, თ. ბოჭორიშვილი) და ბოლოს წარმატებულ ახალგაზრდა არქიტექტორებისა 1962 წლის საკავშირო დიპლომირებაზე ქ. მოსკოვში იყო ფაქტური დადასტურება იმ წარმატებებისა ხუროთმოძღვრათა აღზრდაში, რომელზედაც ზემოთ მოგახსენეთ. მგრამ მცდარი იქნებოდა მოპოვებული წარმატებები მხოლოდ რეფორმებზე და

პროცესების მარეგულირებელისა, საოცრად დაეცა.

ნაციონალური არქიტექტურის შექმნის თავისთავად სწორი დებულების არასწორად გაგებაში, ძიების პრაქტიკულად არასწორმა გზებმა, თანამედროვე შენობის უძველეს პირებთან მაქსიმალურად მიახლოების, არქაულ ორნამენტთა სიჭარბით გამოწვეული ნევრასტენიის „გენიალურად“ აღიარებამ არქიტექტურული აზროვნება და ტექნიკური პროგრესი მიიყვანეს ანტაგონიზმამდე. ხოლო ტექნიკის პრინციპების გამომოგონებლობით პრინციპებით შევცვალა, კონსტრუქციის პასიურად გამოყენების (კონსტრუქცია, როგორც „დამხმარე საშუალება“, კონსტრუქცია, როგორც „ჯანსაღი სხეული შემოსვისათვის“) ტენდენცია საოცრად მასობრივ მოვლენად იქცა და არქიტექტურის ჭეშმარიტი არსი მაქსიმალურად დააშორა თავის მიზანს. ეს პერიოდი (1930—1954 წლები) საბჭოთა არქიტექტურის ისტორიაში ჩაიწერა, საკმაოდ მოკრძალებულ ზედმეტბრათა პერიოდად.

ყველაფერი ეს უკვე იყო.

დღეს ჩვენ სამართლიანად ვაღიარებ ახალი არქიტექტურის პრინციპები. დიდი ცვლილებები მოხდა პრაქტიკულ საქმიანობაშიც, მაგრამ ყოველივე ეს დასაწყისია იმ დიდი საქმისა, რომელსაც თანამედროვე, ლამაზი და ჯანსაღი არქიტექტურა უნდა ეწოდოს. საჭირო იქნება ჩვენი შემოქმედებითი პოზიციებისა და არქიტექტორთა აღზრდის მეთოდების განუწყვეტელი ძიება-განახლება.

ყოველ ერსა და ეპოქას მუდამ აქვს საკუთარი ახალგაზრდობის პრობლემები სწავლისა, შრომისა თუ დასვენებისა, რადგან ახალგაზრდობა, რომელიც არის პროგრესის, სიამლისა და ჯანსაღი აზრის მატარებელი საერთოდ, დიდად განსაზღვრავს ერის პოტენციალსა და წინსვლას.

სწავლების სწორი ორგანიზაცია ახალგაზრდობის წლებში პირდაპირ განაპირობებს ჩვენს პროფესიონალურ ხარისხს შემდგომში.


1954 წლის დეკემბრის თათბირმა სასეგიტო სამართლიანად შემოაბრუნა



„მთის სოფელი“ (სპი. ალილოშო გვემარება) სტუდენტი ვ. გიგავილი, კონსულტანტი ბ. მამინაშვილი

დადგენილებებზე მიგვეწერა და უფროსი თაობის გამოცდილ პროფესორ-მასწავლებელთა გვერდით ქებითა და პატივით არ აღგვენიშნა ახალგაზრდა არქიტექტორთა დიდი ჯგუფი, რომელმაც თავისი ენერგიითა და მონღლომებით ბევრი რამ გააკეთა მომავალ ხუროთმოძღვართა აღზრდის საქმეში.

„სასტუმრო თბილისში“ (სპი. სადღოლომ გიგმაჩაია) სტუდენტთა გასაჯანიშვილო, კონსულტანტი მ. კვლია



მე საშუალება მქონდა გავცნობოდი ევროპის ერთ-ერთი უდიდესი სამხატვრო სასწავლებლის პარიზის „ეკოლ დე ბოზარის“ სწავლების მეთოდებსა და სტუდენტთა ნამუშევრებს, აგრეთვე ვარშავისა და კრაკოვის, ბრატისლავისა და ათენის არქიტექტურული სკოლების მუშაობის მეთოდებს იმ მცირედენი თავისუფალი დროის მანძილზე, რომელიც ჩვეულებრივ ტურისტს აღმოაჩნდება ხოლმე.

გარდა ამისა, ლიტერატურაში არსებობს ცნობები ციურისის, ბუდაპეშტის და სხვა ქვეყნების თუ ქალაქების არქიტექტურული სასწავლებლების სწავლების მეთოდებზე ზოგადად.

საინტერესოა, რომ ეს სკოლები თავიანთი ადმინისტრაციული წყობით, სწავლების მეთოდებით, პედაგოგებისა და სტუდენტების დამოკიდებულებით, მიმართულებით, თითქმის არ ჰგვანან ერთმანეთს, თუ არ მივიღებთ მხედველობაში ზოგიერთ საგანს, რომელიც ყველასათვის საერთო და აუცილებლად არის მიზნული, რაც უდავოდ უკრადლებისა და კრიტიკული შესწავლა-შეფასების საგანი უნდა გასდეს.

საბჭოთა კავშირის არქიტექტურული სასწავლებლები არ იყო ერთადერთი, რომელიც არ თანაუგრძობდა მოდერნისტულ არქიტექტურას. მას ოპოზიციაში ედგა პარიზის „ეკოლ დე ბოზარი“, აგრეთვე ევროპისა და აზიის სხვა სასწავლებლებიც. „ეკოლ დე ბოზარმა“ ამ უკანასკნელ წლებამდე შეაკავა მოდერნიზმის გავლენა, ყველაფერი მიბრუნდა აწ განსვენებული პროფესორის ავეუსტ პერეს<sup>1</sup>

გარდაცვალების შემდეგ, რომელიც პრინციპულად ვერ ეგუებოდა „კორპეზისეულ მოდერნიზმს“.

ბედნიერებაა რომ ადამიანი, რომელმაც ეგვომ ბევრი გააკეთა საერთოდ არქიტექტურისათვის, და რომელიც აგრედ დაუტყობრმოდ ეძებდა გზებს წარსული და თანამედროვე არქიტექტურის „შერიგებისათვის“, სიცოცხლეში ვერ შექსწროს საწუვარი მიზნის დამარცხებას... მას რომ თავისი სტუდენტების უკანასკნელი წლების ნამუშევრები ენახა, ეგვს გარეშეა სიცოცხლეს მოუსწარაფავდა ხანდაზმულ პროფესორს.

„ეკოლ დე ბოზარმა“ განვითარების ახლებური გზა აირჩია.

ეს მოხდა პერეს გარდაცვალებიდან ძალიან მალე.

მაგრამ, პროექტები „ეკოლ დე ბოზარისა“, როგორც თვით ხასიათი ამ მეტად ტრადიციული სასწავლებლისა, განსვენე-


დებია საფრანგეთის სხვა სასწავლებლებისა და ევროპის არქიტექტურული სკოლებისაგან. „ეკოლ დე ბოზარს“ უდიდესი ტრადიციები გააჩნია და სათუთად უფრთხილდება თავის მართლწერას (აქ ფერწერის, ქანდაკების და სხვა ფაკულტეტების გამოყენაზე ვერ შეგვგვებთ აბსტრაქციული ხელოვნების ნიმუშებს. სწავლების წლებში ყოველივე განყენებული აკრძალულია).


საგმოდ თავისებურია „ეკოლ დე ბოზარში“ მიღებისა და აღზრდის მეთოდები. აქ ყველაფერი დამყარებულია თვით სტუდენტთა ტალანტობრივ მონაცემებზე და მიმართულია იმ აუცილებელი ჩვევების განვითარებისაკენ, რომელიც შემდგომ უშველად დასჭირდებათ მომავალ ხუროთმოძღვრებს პრაქტიკულ მუშაობაში.

პირველი პერიოდი, მოსაზრადებელი, ანუ „ნერვების გამოცდისა“ და არქიტექ-

<sup>1</sup> ავეუსტ პერეს — ფრანგი არქიტექტორი (1874-1954 წ. წ.). ერთ-ერთი პირველთაგანი არქიტექტორთა შორის, რომელმაც გამოაქვინა რკინა-ბეტონი არქიტექტურული ხასის გადამყვეტისათვის.

„საკოლმეურნეო სოფელი“ (სპი. სადღოლომ გიგმაჩაია). სტუდენტთა ბოლორევილო, კონსულტანტი მ. მამინაიშვილი





„სანატორიუმ-ლითში“ (სპი. საღობ-ლომო გეგმობა). სტუ-დენტის ც. ჩაჩანიძე, კონსულტანტი შ. ყავ-ლაშვილი

ტურისადმი თავდადების დამტკიცების სავალდებულო პერიოდი. ამ დროს სტუდენტებს ცდიან როგორც სპეციალო-ბისადმი მიდრეკილებაში, ასევე დისციპ-ლინასა და ამტანობაში, თვით უკიდურე-სად „დამამცირებელი“ და „აუტანე-ლი“ ნორმების გამოყენებითაც კი (მაგ. ახალგაზრდას დაავადებენ რამდენი-მე საკლასო ოთახის მოსუფთავება-მორე-ცხვას, 2-3 საათის განმავლობაში ცვევა-სიმღერას და სხვა).

საერთოდ, ეს პერიოდი საკმაოდ რთუ-ლია და „მოუთვინიერებელ“ ახალგაზრ-დათა დიდი ნაწილი კარგავს სწავლის გაგრძელების საპატიო უფლებას.

მოსამზადებელ პერიოდში მოსწავლე-ებთან პროფესორ-მასწავლებლები არ მუშაობენ, თუმცა ისინი სტუდენტებს უკვე არჩეული ჰყავთ (პროფესორის თან-ხმობით). ამ პერიოდში მათ შეგობას უწვიან უფროსკურსელები და ესმარტიბი-ან ბერძნულ-რომაული ორდერების აგე-

ბა-ამორეცხვანი და მცირე მოცულობის პროექტის გაკეთებაში, კლასიკური კომპოზიციური პრინციპების, პრო-პორციებისა და დეტალების გამოყენე-ბით.

ზავულობით კი მოსწავლეები „ავ-ტოსტოპით“ გადადიან ფლორენციაში (და არა რომში და არა სხვა ქალაქში) — რენესანსის არქიტექტურის ქალაქ-მუზეუმში და აკეთებენ ანაზომებს, ჩანა-ხატებსა და აქვარულს პალაცო ვეჯიოსი და სანტა მარია დელ ფორსი, სინიო-რიის მოედნისა და კაპელა მედიჩისა. ბრუნდებიან ლუერში და ხატავენ ანტი-კურ ქანდაკებებს.

ამის შემდეგ იწყება გამოცდა — კონ-კურსების „სერია“ 20 ბალანი სისტე-მით, თითოეული 5-7 დღის გამომშვებით სპეციალობაში, სატვაში, მათემატიკაში, მხაზველობით გეომეტრიაში, ალგებრაში, არქიტექტურის ისტორიაში, თუმცა ამ უაღრესად რთულ კონკურსში გამარჯვე-

ბაც არ იძლევა გარანტიას I კურსზე გა-დასვლისა, ვინაიდან ყველაფერი დამო-კიდებულია მისაღებ კონტინენტზე, რო-მელიც არცთუ ისე დიდი ციფრით განი-საზღვრება.


ხოლო, ბედნიერ ჩარიცხულთა ნაც-რისფერი წინაგები იცვლება I კურსის სტუდენტის ვარნისფერი წინაგაითა და მრავალფეროვანი უფლებების მინიჭებით, რომელსაც მოკლებული არიან მოსამზა-დებელი კურსის ახალგაზრდები.

პირველ კურსზე სტუდენტები ვალ-დებული არიან გააკეთონ ოთხი საკურსო პროექტი. ამთგან 3 საკონკურსოა და საინჰერესოა ის ფაქტივ, რომ ამ პრო-ექტებში სტუდენტთა მიერ ჯერ კიდევ მოსამზადებელ პერიოდში არჩეული პროფესორები არ ერევიან. ეს პროექ-ტირებაც ძირითადად უფროსკურსელებ-ის შეფოთით მიმდინარეობს.

ამ კონკურსის შემდეგ იწყება პრო-ფესორების მუშაობა სტუდენტებთან, ვი-ნაიდან, როგორც ამბობენ, სტუდენტებს უკვე გაანიათ საკმაო ცოდნა და საკუთარ-ი ხედვა არქიტექტურისა, ხოლო პრო-ფესორი ვალდებულია დაეხმაროს სტუ-დენტს ამ საკუთარი ხედვისა და გაგე-ბის, ინდივიდუალური მონაცემების გან-ვითარებ-ში. ამ პერიოდშიან პროფე-სორ მასწავლებლები გამოდიან თავისი აღმასრულებლის მფარველად თუ დამცველად გამოყენებას და კონკურსებ-ში.

მეორე კურსზე სწავლება იწყება სა-კურსო პროექტის დამუშავების მეჩად ორგინალური მეთოდით. სტუდენტები საპროექტო მოცემულობის მიღების შემ-დეგ 2 საათით იკეტებიან ცალკეულ ოთა-ხებში, ისინი ვალდებული არიან ქა-ლალზე გამოსასონ ფორმა (წრე, მრ-ა ხეცკუთხედი, განყენებული მონახაზი და სხვა), რომელსაც მიზანშეუინოლად და საინტერესოდ მიიჩნევენ მოცემული პრო-ექტის ამ ფორმის ფარგლებში დასამუ-შავებლად. როგორც ფიქრობენ ეს მეთო-დი უნეითარებს სტუდენტებს სწრაფი ორიენტირების ჩვევებს და ყოფილი კონ-კრეტული სამშენებლო ნაკვეთის ათვი-სების ალღოს.

ორი თვის შემდგომ კი ეწყობა ზე-მით სხენებული პროექტების გამოფენა, რომელსაც განიხილავს სპეციალური ჟი-



„გლანის მიკრორაიონი“ (სპი. საღობლომო გეგმობა). სტუდენტის ც. ორაგველიძე, კონსულტანტი შ. ყავლაშვილი


ური და რომელიც გამოფენამდე დაადგენს თავის საერთო აზრს, თუ რომელი ფორმა შეიძლება იყოს ყველაზე მიზანშეწონილი ზემოთ ხსენებული პროექტისათვის. ამ აზრის შემდეგ გამოფენიდან მექანიკურად იხსნება ყველა დანარჩენი პროექტი, რომელიც არ ეთანხმება ჟიურის აზრს.

ორიგინალური, საინტერესო, მაგრამ საკმაოდ პირობითი ფორმაა გამოცდისა!

... ბოლოს ისევ კონკურსი, ყველაზე დიდი, ტრადიციული და მნიშვნელოვანი კონკურსებს შორის. კონკურსი „დიდ პრემიაზე“, სადაც ბელს ციანა საფრანგეთის ყველა სამხატვრო სასწავლებლის სტუდენტები. გამარჯვებულის გზა მოსულია დიდებითა და მრავალი წლის ოცნების ასრულებით — სამწლიანი უფასლო მივლინებით სხვადასხვა ქვეყნებში და გარანტირებული სამუშაო ადგილით.

ცხადია, რომ „ეკოლ დე ბოზარის“

ნეაპოლის ვიკელის პროექტი. ავტორები: ბონჯილივანი, კასტილინი, სინაზეტი სურ. 1.



კურსდამთავრებულები საერთაშორისო არქიტექტურულ არენაზე ხოლმე.

განსხვავებით \* \* \* დე ბოზარისაგან ათენის არქიტექტურულ სასწავლებელში სწავლების ვადები განსაზღვრულია და ამ ვადების დაცვა ყველასათვის სავალდებულოა, მაგრამ პირობები, სწავლების მეთოდები და მისგან გამომდინარე შედეგებიც საკმაოდ განსხვავებულია „ეკოლ დე ბოზარისაგან“.

ანტიკური და კლასიკური ეპოქების ბერძნული არქიტექტურა წარმოადგენს წარსული მხატვრული აზროვნების უბადლო მკვალით, მაგრამ წარსული და დღევანდელი სინამდვილე საბერძნეთისა დიამეტრალურად განსხვავდებიან ერთმანეთისაგან.

იტიკინისა და კალიკრატეს, ფიდაისის, პერკოლეს და მნესიკელის, მირონისა და აგელასის, პითაგორ რეგიელისა და პრაქსიტელის აზრი და გონება გასაქანს პოულობდა ანტიკური ეპოქის ჰუმანიზმსა და დემოკრატიზმში.


ჩვენს დროში მოვლენები ვითარდებიან არასახული სისწრაფით. დროებითი შეჩერება — შეყოვნება ნიშნავს პოზიციების დაკარგვას საერთაშორისო პოლიტიკურ, ეკონომიურ, თუ მხატვრული აზროვნების სფეროში.

კარამანლისის მრავალწლიანმა, უყარაო დიქტატორულმა რეჟიმმა დასცა ქვეყნის ცხოვრების ტემპები და მოადუნა ბერძენთა შემოქმედებითი აზრი.

ფრანგთა სასახლოდ უნდა აღინიშნოს, რომ მარტო პარიზში, 365-მდე მუდმივი სამხატვრო გამოფენა გახსნილი თუ არ ჩავთვლით მრ. ვალრიცხოვან მხატვრებს, რომლებიც თავის შემოქმედებას უჩვენებენ სან-მიულზე, მონ-მარტრზე თუ პარიზის მრავალ ქუჩასა და მოედანზე.

სამხატვრო გამოფენ თა რიცხვი 2-3-თ განისაზღვრება დღევანდელ ათენში. ფიდაისისა და პრაქსიტელის ცოცხალი მემკვიდრეები უსუსურად მოხიზნან საერთაშორისო სარბიულზე. კაპიტალისტურმა ურთიერთობამ ათენის ცენტრალური სამშენებლო ნაკვეთები დაუთმო უცხოელ არქიტექტორებს.

ბერძნებს ჯერჯერობით ისდა დარჩენიათ, რომ სტუმართმოყვარულად გაუძღვენ აურაცხელ უცხოელ ტურისტებს წინაპართა დიდებული ნაკვალევსკენ, აკროპოლისსა და ელგესისის, დელფოსისა და სპარტას, ტირიმფისა და ოლიმპის, მიკენისა და პოსიდონის მთელმად ნანგრევებისაკენ და სინანულით მოუთხრონ მათ გარდასულ დიდებაზე. მოგონონ ყველას დისტომონში გერმანელ ფა-




ბელაპეშტის არქიტექტურული სასწავლებელი. კომპოზიციური საეარჯიშო. სურ. 2.


სწავლების ყოველი დეტალის გადმოცემა საყურნალო წერილით შეუძლებელია, მაგრამ ზემოთქმულიდანაც, ალბათ, ცხადუნდა იყოს სული და განწყობილება ამ უდიდესი და უძველესი სასწავლებლისა.

მეთოდი კონკურსებისა, რომელსაც განსაზღვრავს მეტად კვალიფიცირებული ჟიური, პრინციპში არ სცილდება სამართლიანობის ფარგლებს და განაპირობებს იმ წარმატებებს, რომელსაც აღწევენ ამ ავტორიტეტული სასწავლებლის

სიდნეის ოპერის თეატრის პროექტი. არქ. დ. უტსონი სურ. 3.








გელვისა. რონანში.  
არქ. ლე კობრუზი  
სურ. 4.

შისტა მიერ დატრიალებული ამბავი, ალბათ თვით ანტიკურ ტრადიციას ფონზედ საზარელი, თანამედროვე ტრადიციის შესახებ, რომელმაც ამ კოპონის სოფლის ნათელი ფერები წლების მანძილზე შეცვალა შავი ფერი.

ათვის არქიტექტურულ სასწავლებელში უდიდეს ყურადღებას აქცევენ ხატვას. მართო ის ფაქტი, რომ დღეში ყოველი სტუდენტი 5-6 საათს ხატვას უთმობს, მრავლისმთქმელია.

არქიტექტურის ისტორია, ბერძნული და ბიზანტიური ხელოვნება, არქიტექტურული კომპოზიცია, არქიტექტურული სტილები, რიტმი, სკულპტურა — სავალდებულო საინჟინრო დარგებთან ერთად წამყვან საგნებს წარმოადგენენ ათვის არქიტექტურულ სასწავლებელში.

ცოტრიხის ფელაუსი ტემეიკური სასწავლებელი. კომპოზიციური სავარჯიშო. სურ. 5.



თანამედროვე არქიტექტურასთან დამოკიდებულების, ნაციონალური არქიტექტურის პრობლემების გაგების სხვადასხვაობა, ფაქტი პროფესორ-მასწავლებელთა ერთი ნაწილის კლასიკური არქიტექტურისადმი ფარული სიმპატიებისა, ხელს არ უშლის სასწავლებელს საკუთარი სახის ჩამოყალიბებაში.

რევოლუცია, რევოლუციური აზრი ძნელად იგუება თავის წინაპარს საერთოდ.

სიახლენი არქიტექტურაშიც დაიწყო ძველთან შეურიგებლობით, არქიტექტურული აზროვნების მკაფიო გაჯანსაღებითა და საუცხოო პათოსით.

ახლებურმა გარემომ და თვით სიმართლემ თანამედროვე არქიტექტურისა, ბიჭი მისცა სტუდენტ არქიტექტორებს პრინციპულად უკუგდოთ ანტიკური ორდრების, საბერძნეთის, აღორძინების, ამპირის, კლასიციზმის თუ ცუდად გაგებული ნაციონალური არქიტექტურის ბლოკდასასული დოქტრინები და თეორიული კონცეპციები.

დღევანდელი არქიტექტურა უადრესად ინტუიციური, ინტელექტუალური, ემოციურ-შეგრძნობადი და მიხვედრივითა, ვიდრე აკადემიურად კანონზომიერი და კლასიკურ თეორიებზე დამყარებული.

ანტიკური საბერძნეთის, რომანულ, გოთურ თუ რენესანსის არქიტექტურას გააჩნდა საუკუნეების მანძილზე ჩამოყა-

ლიბებული კანონები თუ პრინციპები პირველი და შეორეხარისხოვანი დერქებისა, პროპორციებისა, რიტმისა და მგაფიოდ გამოკვეთილი ხერხები მსატრული გამოსახვისა და ვინაიდან ეს ჩამოყალიბებული კანონები და პრინციპები არსებობდნენ, შესაძლებელი იყო ლაპარაკი არქიტექტურის იმ სწავლებაზე ნაწილობრივ, რითაც საშუალო ტალანტები შეტანავენად სასურველ ეფექტებს აღწევენ ხოლმე.

დღევანდელია არქიტექტორისაგან მოითხოვს უდიდეს შეთანხმებას ყველა იმ თვისებისა, რომელსაც დიდი ინტელექტი შეიძლება ეწოდოს.

დავა თანამედროვე არქიტექტურის „სწავლაზე“ ისეთივე უაზრობად შეიძლება ჩაითვალოს, როგორც დავა მფლოდის წერის სწავლაზე, კომპოზიციის შემწნის სწავლაზე ან პოეტობის სწავლაზე. ამ შემთხვევაში „სწავლა“ უფრო ტრადიციას უნდა მივუთვინოს, ვიდრე მის ფაქტურ შინაარსს.

სულ სხვაა ხერხთომოდერის აღზრდის მეთოდი.

ფრანკ ლიოდ რაიტის კონცეპცია ასეთია: არქიტექტორი დაუცნომელი დამკვირვებელია. იგი ყოველთვის ენერგიულად და ქმედითად იკვლევ ბუნებას. არქიტექტორი ხედავს, რომ ბუნების კანონებით ყველა მისი ფორმა ურთიერთდამოკიდებულია და ერთმანეთისაგან გამომდინარეობს. ყოველი მისი პროექტი შენარჩუნს უნდა შევიდეს ნაწილაკი ბუნებისა.

მასში უნდა ცოცხლობდეს პოეტი, რაც მის აუცილებელ ნიშანს უნდა წარმოადგენდეს.

არქიტექტორის ინტუიცია უნდა მტკიცდებოდეს მცენიერებით, უნდა ველოდეთ მისგან მოლოან ფილოსოფიურ და მორალურ სისტემას, რომელიც საზოგადოებისა და ცივილიზაციის სინთეტურ პროდუქტს წარმოადგენს.

ლეკობრუზი განმარტავს არქიტექტორი ფორმების კარნახით ქმნის წესრიგს, რომელიც მხოლოდ მისი საკუთარი გონების ქმნილებაა. ფორმების საშუალებით იგი ინტენსიურად გამობტავს შინაარსს და იწვევს პლასტიკურ ემოციებს. იმის შესაბამისად, რაც მან შექმნა, იგი აღვიძებს ჩვენში ღრმა რესონანსებს.



არქიტექტორმა უნდა გამოიმუშავოს და უნდა შესძლოს განსაკუთრებული ფორმის მეტყველება, რათა მისი შემოქმედება უფრო სარწმუნო გახდეს, ამბობს ვ. გერბოვსკი.

ზემოთ გამოთქმული მოსაზრებები არქიტექტორის მოვალეობისა და თვისებების გამო, ინტუიციის, პოეტურობის, პლასტიკური ემოციებისა და განსაკუთრებული ფორმის მეტყველების შესახებ მეტად საყურადღებოა არქიტექტორთა აღზრდის საკითხისათვის.

დღევანდელი არქიტექტურა მოითხოვს პლასტიკური გამოსახვის მრავალფეროვან ფინს ცოდნას. სწორი და მრუდი ხაზების, კონტრასტული ფორმისა და ფერის, სხვადასხვა თვისებისა და ფაქტურის მასალების ერთ მთლიანობაში და პარმონიაში მოყვანას ე. ი. ყველა იმ თვისების ფლობას, რომელსაც მშენებლობა, კონსტრუქცია აწყავს ხუროთმოძღვრებამდე, ხელოვნებამდე; ცხადია, რომ პირველყოფილი ადამიანის ქვაბული ან 5 ქვისაგან შექმნილი სათავისი, რომელიც გარკვეულ ფუნქციას ასრულებდა, არ იყო ხელოვნების ნაწარმოები. მშენებლობა ხელოვნება იქცა მხატვრული აზრის განვითარების გარკვეულ ეტაპზე, როდესაც ადამიანში იბადება სილამაზის, მშვენიერების მოთხოვნილებების აუცილებლობა.

წინათ თეორიული და სავარჯიშოებს „არქიტექტურული მასის“, „არქიტექტურული ორგანიზმის“, „რიტმის“ და სხვადასხვა შესახებ, როგორც აუცილებელ საგნებს არქიტექტურის ინტუიციის, ინტელექტის და ფანტაზიის განვითარებისათვის, დიდი ყურადღება ექცეოდა ჩვენს არქიტექტურულ სასწავლებლებში.

არქიტექტურის „ზედმეტობათა პერიოდის“ უკანასკნელ წლებში ზემოთ ხსენებული და მსგავსი კომპოზიციური საგნების შემოღებამ მივიწყებას მიეცა, რადგან ამ პერიოდის არქიტექტურა ძნელად ეგუებოდა სიახლესა და აზროვნების პლასტიკურ მეთოდებს.




არქიტექტურის კომპოზიციის სწავლების საკითხებს უაღრესად შემოქმედებითად ხელმძღვანელობენ ვარშაგის სამხატვრო აკადემიის პროფესორები ტომასეფსკი (პლაკატი), მრასაჟი (სივრცობრივი გრაფიკა), ხანსენი (არქიტექტურისა და საუბლტურის კოორდინაცია);

სოლტანი (სიბრტყეების დაყოფის ლოგოკა და კულტურა), კრაკოვის სამხატვრო აკადემიის ინტერიერის არქიტექტურის სტუდია ხასკის ხელმძღვანელობით. ციურბის უმაღლეს ტექნიკურ სასწავლებელში პროფესორები ესის და პოესლი და სხვა.

„წარმოდგენითი (ფანტაზიის) სავარჯიშოების საინტერესო პროგრამას ანხორციელებს კრაკოვის სამხატვრო აკადემიის ინტერიერის არქიტექტურის სტუდია, რომელსაც ანტონი ხასკი ხელმძღვანელობს. ის გამოიხატება ფორმის, მოძრაობის, განათების და სივრცის სწავლებაში ხელოვნებისა და ბუნების მიჯნაზე, საეგზეთი მოულოდნელი მასალების ქაღალდის, ხის, თაბაშირის, ლითონის, შუშის, ფიფუგისა და სხვა სამშენებლო მასალებისა და სუბსტანციების გამოყენებით. ამდგავარი კომპოზიციების ძირითად სამშენებლო მასალას წარმოადგენს შემოქმედებითი ფანტაზია, რომელიც არ არის შუჭუდული არც ფორმით, არც ტექნიკით, არც მასალით. ხასკის თავისი სტუდენტები შეჰყავს სივრცობრივი გაერთიანების განუსაზღვრელ შესაძლებლობათა სამყაროში, ექსპერიმენტების საშუალებით ასწავლის წარმოსახვის მიზანშეუწონელ წესებს და ასე ამზადებს ჭეშმარიტ ხელოვნებას X X საუკუნისა, რომლებიც უნდა შექმნან თანამედროვე ცივილიზაციის გაბედული ჩარჩოები“. წერს პოლონური ჟურნალი „პროექტი“.

ფიფირობით, ზემოთქმული კომენტარს არ საჭიროებს, აქ ნათლად და დასაბუთებულნი არქიტექტურული კომპოზიციური ისა-


მარჯვენა: მუსულმანთა საცხოვრებელი კომპლექსი ალქირში. არქ. ცილინოსი, დონი, იოსები, ველსი. სურ. 6. ქვევით: კრაკოვის სამხატვრო აკადემია (ინტერიერის სტუდია). კომპოზიციური სავარჯიშო, „ელემენტების კონცენტრაცია სივრცულში“ სურ. 9.




ზევით: საცხოვრებელი სახლი კასპლანკაშა (ფსალის ფრაგმენტი). არქ. ჯაბერტი, მ. კოლდუფი. სურ. 6. ქვევით: ციურბის უმაღლესი ტექნიკური სასწავლებელი. კომპოზიციური სავარჯიშო. აკადემიატული ხელების ორგანიზაცია“. სურ. 7.

ვარჯიშოებისა სწავლებების აუცილებლობა.

კიდევ მეტი: სწორსაზოვანი და მრუდსაზოვანი ფორმებისა და ხაზების, თანამედროვე ტექნიკის, მხატვრული აზროვნებისა და ფუნქციის, ფერწერის, ქანდაკებისა და არქიტექტურის სინთეზის კარგ მაგალითს წარმოადგენს „იუნესკოს“ კომპლექსი პარიზში. ფორმათა და მასალათა ენაქტური კონტრასტები თუ ძარმონია განსაზღვრავს „იაპონური პარკის“ მშენებლას და დახვეწილობას. მას თავისუფლად შეიძლება წყოდოს თანამედროვე პლასტიკური აზროვნების დიდი სიმფონია. ასეთი პრაქტიკული მაგალითების მოყვანა მრავლად შეიძლება. სურ.






საცხოვრებელი სახლი რიო დე ჟანერიოში (ფსალის ფრაგმენტი). არქ. ა. ე. რეილი სურ. 10.

1, 2, 3, 4, 5, 6, 7, 8, 9, 10, 11, 12. არჩნათელი მგალითი ამ მრავალფეროვანი კომპოზიციური სავარჯიშოების პირდაპირ და მოკიდებულებისათანამედროვე არქიტექტურასთან.

სტუდენტობის წლები ეს მთელი პროცესია შემოქმედებითი ზრდისა და განუწყვეტელი „გარდაქმნისა“, ყოველი ახალი საკურსო პროექტიდან პროექტამდე, კურსიდან კურსამდე. ჩამოყალიბების ამ სტადიაში სტუდენტებს ბევრი რამ ევატებიან — უცხოური ეურნალების თუ რომელიმე დიდი ისტატისადმი მიმამდელობიდან საკუთარ კაპრიზებამდე. ეს

ვარშავის სამატკრო აკადემია კომპოზიციური სავარჯიშო „აღმანიის მამობის პრობლემა“. სურ. 11.



თითქმის აუცილებელი პროცესია იმ შემოქმედებითი ამაღლებისათვის, რომელიც უფრო გვიან ირებს თავს ამგვარ მამიებელ სტუდენტებში, განსხვავებით სტუდენტთა იმ კატეგორიისაგან, რომლებსაც ადრედაწვე ყველაფერი თავის ადგილზე აქვთ.

ხელოვნების ჭეშმარიტ ნაწარმოებს ერთი საერთოდ აღიარებული თვისება გააჩნია. მისადმი მიბაძვა შეარცხვენს ყველას, ხელოვნათა რა კატეგორიისაც არ უნდა ეკუთვნოდეს ის. ლეკორბუზიესა და ლალო გუდიაშვილის, იამასაკისა და დავით კაკაბაძის მხატვრული გამოსახვის ხერხების მისაკუთრება არ ჩათვლება არცერთ ხელოვანს შემოქმედებითი გამარჯვების აქტად.

ასევე წარმოუდგენელია არსებობდეს „ყრილობათა სასახლის“ ან ერო საარჩინების „ხოკების სტადიონის“ ორეული სადები.

ამ შემთხვევაში გამონაკლისი ისევე სტუდენტები შეიძლება იყვნენ. აზრიახი და გულწრფელი მიმამდელობა დიანაც საპატიო და შესაძლებელია სასურველიც იყოს განვითარების ამ ეტაპზე. თვით ხელოვნების ტიტანებმა დიონარდო და ვინჩმა, მიქელანჯელომ, რაფაელმა და თითქმის ყველა დიდისტატმა მოწაფე-სტუდენტს, ეპოხების, მიმამდელობისა და გავლების ეტაპიდან უკვდავებამდე განვლეს გზა.

არქიტექტურა და დილტანტობა ცუდად ეგუებიან ერთმანეთს, ამიტომაც არა მარტო სტუდენტების 5-6 წელი, არამედ არსებობის მთელი პერიოდი ხურთო მოძღვრისა უნდა იყოს გამუდმებული შემოქმედებითი წვისა და ძიებისა, თავის გამოცდისა და შეუნელებელი კონტროლის წლები. მხოლოდ ამანარად შეიძლება ჩამოყალიბდეს აუცილებელი თვისებები არქიტექტორის იმ მრავალმხრივი მოღვაწეობისა, რომელიც მოიცავს ხელოვანს, ინჟინერს, ეკონომისტს, სოციოლოგსა და ფიქილოგს.

ჩვენის აზრით, განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს სტუდენტებისათვის საინჟინრო საგნების ეფექტურად და საინტერესო ფორმით მიწოდებას. „სამშენებლო მასალების“, „მასალათა გამძლეობის“, „რკინა-ბეტონის კონსტრუქციების“ და სხვათა საერთო სამშენებლო ფაკულტეტისათვის გათვალისწინებული ნორმებით არქიტექტორისთვის მიწოდება შესაძლოა მითანად მრავალმხრივ-წინილი არ იყოს. საკითხის შემოქმედებითი გადაწყვეტისათვის მთავარია ძირითადი პრინციპების ორგანიული ცოდნა. დღეს არავის სჭირდება დაზუსტებისაგან თავგატეხილი და პრაქტიკულად არაფრის გამკეთებელი დილტანტობები.

„არქიტექტორისათვის მასალა იგივეა რაც ფერი მხატვრისათვის“. სამართლიანად აღმნიშავს არქ. შმიდტი: სამშენებლო მასალების სწორი და შემოქმედებითი გამოყენება ერთ-ერთი ძირითადი განმარტვრელი ფაქტორია თანამედროვე არქიტექტურის ავტარგანაობისას.

სტუდენტებს ინსტიტუტის ლაბორატორიებში საშუალება უნდა ჰქონდეთ გაეცნონ არა მარტო თეორიებს სამშენებლო მასალებზე, არამედ ფაქტურ ნიმუშებზე უნდა სწავლობდნენ მათ თვისებებს, ფაქტურას, ფერსა და სხვა თვისებებს თვით იქამდისაც კი, თუ რომელიც ქარხანა აშაადებს ამა თუ იმ მასალას, რათა შეეძლომ უფრო მოქნილი იყვნენ თავიანთ პრაქტიკულ საქმიანობაში.

თანამედროვე არქიტექტურის განვითარების ამ ეტაპზე, როდესაც საპოთა არქიტექტურა ძირითადად მაინც ძიებისა და ჩამოყალიბების პროცესშია, დიდა გასაქანი უნდა მიექცეს ცალკეული არქიტექტურული სასწავლებლების გათვრერებს სწავლების პროგრამის, მეთოდისა და საინტერესო ფორმის ძიების უფრო მიზანშეწინილი და ეფექტური გზების გამოსახავად. მით უმეტეს, რომ თანამედროვე არქიტექტურა ახლებურად აყენებს ნაციონალური არქიტექტურის საკითხებს. ამ შემთხვევაში სადილობო მანრომების ყოველწიური საკავშირო გამოფენა უადრესად მრავალფეროვანი, საინტერესო და მიმოიღველი იქნება. ყოველივე ეს კი განაპირობებს ჭეშმარიტების უფრო სრულყოფილად და დროულად დადგენას.

არქიტექტურულ სპეცილობაზე მიღება არ უნდა წარმოადგინოს შექმნის შედეგს მხოლოდ მუშაობის ორი წლის ხანგრძლივობის, ხატვის, ხაზვის, და სხვა საავალდებულო საგამოცდო საგნების მეტ-ნაკლებად კარგად ჩაზარებისა. ქულათა რაოდენობა და ახალგაზრდის სურვილი მხოლოდ ერთადერთი ფაქ-

ტორია და არა განმსაზღვრელი ნიშანი იმ ტალანტობრივი, ინტელექტუალური თუ პროფესიონალური გულწრფელობისა, რომელიც ყოველ ხუროთმოძღვარს უნდა გააჩნდეს.

სასურველია ჩვენი საპროექტო ინსტიტუტებთან შეიქმნას მოსამზადებელი „ბაზები“, სადაც ახალგაზრდები 2 წლის მუშაობის სტაჟთან ერთად მიიღებენ აუცილებელ მომზადებას, არქიტექტორებთან უშუალო კონტაქტში შეიძენენ პირველ ჩვევებს, კიდევ ერთხელ შეამოწმებენ პროფესიის არჩევის სისწორეს.

ამ მხრივ პარიზის „ეკოლ დე ბოზარის“ მოსამზადებელი პერიოდის მეთოდების კრიტიკული შესწავლა შესაძლოა გარკვეულ ეფექტებს მოგვცემს.

და ბოლოს სტუდენტთა წახალისება-დაკრძობების შესახებ.


პრინციპი კონსერვაციისა განაპირობებს კაპიტალისტური სამყაროს საარსებო ინტერესებს. სოციალისტური შეჯიბრი თუ კომუნისტური შრომის ბრიგადების ნაყოფიერი შემოქმედებითი მოძრაობა განსაზღვრავს ჩვენი ქვეყნის პროგრესისა და წინსვლის მაღალ ტემპებს.

კონკურსებმა, შემოქმედებითმა შეჯიბრებებმა სტუდენტ-არქიტექტორთა შორის შესაძლებელია გარკვეულ ეფექტებს მოგვცეს. მართკონსერვაციული სტუდენტთა

დიპლომების სააფხირო მათგალირიბე არ არის საკმარისი სტუდენტთა საქმიანობის სწორი შეფასებისათვის. საჭიროა თვითელმა არქიტექტურულმა სკოლამ გამომიშვას დამატებითი ფორმები სტუდენტთა წახალისება-დაჯილდოებისა, მათი დიპლომებით, სპეციალური სამეკრდე ნიშნებითა და შემოქმედებითი მივლინების უზრუნველყოფით.

ახალი ეპოქის აჩქარებული ტემპები ქმნიან ახალ თვისებებსა და ახალ ფსიქოლოგიას, რაც ნებით თუ უნებლიეთ გავლენას ახდენს მხატვრული გაგებისა და მხატვრული იდეალების სფეროზე, ხდება „კარგის“ და „ცუდის“ ფასულობათა ახლებური გადაფასება. წარმოდგენილია თანამედროვე ადამიანი ცხოვრობდეს მხოლოდ თავისი ქვეყნის, თავისი პროფესიისა და საკუთარი ინტერესების ვიწრო ჩარჩოებში.

დღეს უკვე შესაძლებელია, ჩვენი სტუდენტები წინასააღიპლომ პრაქტიკებს გადიოდნენ სოციალისტურ და სახალხო დემოკრატიის ქვეყნებში, ეცნობოდნენ მათ მიღწევებს ტექნიკისა და მხატვრული აზროვნების სფეროში, ხელში ფუნჯში უჯვებულნი ხატავდნენ პრაქსისა და ვარშავის, კრაკოვისა და ბრატისლავის, პეკინისა და სოფიის ქუჩებსა და მოედნებს.



ჩანდიგარის უმაღლესი სასამართლოს შენობის ფრამენტები. არქ. ლე კორბუზიე სურ. 12.


კონსტანტინე გამსახურდიამ ჩინებულად აღნიშნა:

„თანამედროვეობისადაც სიყვარული, თანამედროვე ადამიანისადაც ყურადღებაში უნდა გამოისახოს უპირატესად“.

შეიძლება გვეპოვდეს, რომ ხუროთმოძღვრები თანამედროვე ადამიანისადაც სიყვარულს დამატებენ მათი ჭეშმარიტი შემოქმედებითა და პროფესიული სიხდისით.

ვ. კაიადარაშვილი

მეტეხის ხიდი





რაბათის საერთო ხედი

## კონტრასტების

### ქვეყანაში

მარია ლორთქიფანიძე



აროკოს კონტრასტების ქვეყანას უწოდებენ.

და ეს კონტრასტები აშკარადა გამოხატული როგორც მის ბუნებრივ პირობებში, ისე ისტორიასა და თანამედროვეობაში.

მაროკო, როგორც თვითონ მაროკოელები ამბობენ, გრილი ქვეყანა ძლიერ ცხელი მზით. ეს ჩვენ თვითონაც განიცადეთ. მზე მაროკოში მართლაც ძლიერ მცხუნვარება, ხოლო როგორც კი ჩრდილში გასვალთ, და მით უმეტეს, როგორც კი მზე ჩავა, სასიამოვნოდ გრილავ.

მაროკო აფრიკის მატერიკის უკიდურეს ჩრდილო-დასავლეთ სანაპიროზე მდებარეობს. მას 411 ათასი კვ. მეტრი ფართობი უჭირავს (ორჯერ მეტია დიდ ბრიტანეთზე), მოსახლეობა დაახლოებით 12 მილიონამდე აღწევს. მოსახლეობის ოთხი პროცენტი ევროპელებია (ძირითადად ფრანგები), რომელნიც მილიანად ქალაქებში არიან თავმოყრილი.

მაროკოს მოსახლეობა შედგება ორი ძირითადი ეთნიკური ჯგუფისაგან: ბერბერებისა და არაბებისაგან. უძველესი აბორიგენები ბერბერები არიან. ამჟამად, საუკუნეთა მანძილზე შერევის გამო, მათი ერთმანეთისაგან გარჩევა ძნელია. ისინი მაღალი და შავფერგემანი არიან, სახის სწორი ნაკეთები აქვთ.

სახელმწიფო წყობილების თვალსაზრისით, მაროკო აბსოლუტური მონარქიაა. უმაღლესი სამოქალაქო და სამხედრო ხელისუფლება სულთანს ეკუთვნის. 1956 წლიდან სულთანთან არსებობს უმაღლესი საკანონმდებლო ასამბლეა 76 კაცის შემადგენლობით.

მაროკოს დედაქალაქია რაბათი. დედაქალაქებად იწოდებიან აგრეთვე ქალაქები ფესი, მარაკეში და მკენესი, ხოლო სავაჭრო-ეკონომიური ცენტრია კასაბლანკა. ეკონომიურად მაროკო დღემდე მჭიდროდა დაკავშირებული საფრანგეთთან. ფაქტიურად ქვეყნის მთელი ეკონომიკა ფრანგების ხელთაა. ინტენსიურად იჭრება მაროკოში ამერიკული და დასავლეთ გერმანული კაპიტალი. განთავისუფლების შემდეგ ხელისუფლება ცდილობს თანდათან თავი დააღწიოს ევროპული კაპიტალის ბატონობას, მაგრამ საკმაოდ დიდ სიძნელეებს აწყდება. ყველაზე მძიმე ის არის, რომ თითქმის მთელი წარმოება მაროკოში ევროპელების ხელთაა და როგორც ადგილობრივი პოლიტიკური მოღვაწენი აღნიშნავენ, ფრანგებმა ისინი აზროვნებასაც კი ფრანგულად შეაჩვიეს. ისე რომ, მიწისკრების თათბირებს მაროკოში ახლაც კი ფრანგულ ენაზე ატარებენ. ქვეყანა განიცდის სპეციალისტების ნაკლებობას. ძლიერ ცოტაა მაროკოელი ექიმები, ინჟინრები, აგრონომები, პედაგოგები ძირითადად ფრანგები არიან, უმაღლეს სასწავლებელში სწავლება ძირითადად ფრანგულ ენაზე წარმოებს (ნაწილობრივ ინგლისურ ენაზე), ახლა თანდათან ხდება სწავლების ძირითადად არაბულ ენაზე გადაყვანა.

ჩვენი მოგზაურობა მაროკოში ქალაქ რაბათით დაიწყო. როგორც ყველა ქალაქი მაროკოში, რაბათიც ორი ნაწილისაგან შედგება — ევროპული და მამამადიანური (ე. წ. მედინა). რაბათს უშუალოდ ეკვრის ძველი ქალაქი სალე (დაარსებული XI საუკუნეში). როგორც წესი, მედინები კედლებითაა გარშემოვლებული და მათში რაღაცნაირ თაღიანი შესასვლელი კარია მოზაიკითა და ორნამენტებით შემკული. ქალაქების ევროპული ნაწილები ახალი გაშენებულია

(XIX — XX ს. ს.) არქიტექტურა თანამედროვე ევროპული საამშენებლო ხელოვნების მოთხოვნებს პასუხობს. აქ უახლესი მარკის უცხოური ავტომანქანების გვერდით, ველოსიპედებზე მსხდომ პირბადიან ქალებსაც ნახავთ.

ქალაქების ევროპული ნაწილების მოსახლეობას ძირითადად ფრანგები შეადგენენ. ახლა თანდათან ევროპულ კვარტალებში იწყებს გადმოსახლებას ადგილობრივი ინტელიგენციის ნაწილი.

რაბათი, ისევე როგორც მაროკოს ყველა ქალაქი, მთლიანად ბაღებშია ჩაფლული. ქალაქის დათვალიერება სულთნის სასახლით დაიწყეთ. სასახლე მრავალ ნაგებობათა რთულ კომპლექსს წარმოადგენს, რომლის ცენტრშია დიდი მოედანი და საკუთრივ სულთნის სასახლე. მის შესასვლელში ზანგი მცველები დგანან. სულთნის სასახლე და ადმინისტრაციული დანიშნულების შენობები ე. წ. მაჯრიტანულ სტილშია გადაწყვეტილი; კოშკებით, მოზაიკითა და გეომეტრიული ორნამენტებით შემკული ფასადებითა და კედლებზე ორნამენტად გამოყენებული, ყურანიდან ამოღებული სტილიზებული წარწერებით. ხოლო სასახლის გარშემო დიდ ფართობზე მოფენილი სულთნის მრავალრიცხოვანი ნათესავების, მსლებლების და ახლობლების სახლები ევროპული კორტეჟებისა და აღმოსავლური ბანიანი სახლების ნარევს წარმოადგენენ. სახლები მთლიანად ხეებში და ფერად ყვავილებშია ჩაფლული და სასახლის მთელი კომპლექსი დიდი პარკის შობამკვიდრებას ახდენს.

რაბათი ცნობილია თავისი ისტორიული ძეგლებით, მუზეუმებით, უნივერსიტეტით, რომელსაც 1100 წლის ისტორია აქვს. ამაჰმად რაბათის უნივერსიტეტში 5000 სტუდენტი სწავლობს, რამდენიმე ფაკულტეტი (ისტორიის, ლიტერატურის, ხელოვნების, სამედიცინო და სხვ.). სწავლება ძირითადად ფრანგულ ენაზე წარმოებს, ნაწილობრივ ინგლისურსა და არაბულზე. მაროკოს განათავსულების შემდეგ სწავლებით უფასოა, ხოლო ღარიბ სტუდენტებს სტიპენდიაც ეძლევათ. უნივერსიტეტი განათლების სამინისტროს უწყებაში იმყოფება. მაროკოს სასწავლებელში არ არსებობს არც სქესობრივი და არც რასობრივი დისკრიმინაცია.

ქალაქგარეთ, სანაპიროზე შემორჩენილია XII საუკუნის ხელოვნების შესანიშნავი ნიმუში, დიდი მეჩეთის ნაშთი, ოთხკუთხა მინარეთი, რომელიც „ჰასანის კოშკის“ სახელწოდებით არის ცნობილი. „ჰასანის კოშკი“ ფაჩიზად და გემოვნებით შესრულებული ორნამენტითაა შემკული და წარმოადგენს მაჯრიტანული ხელოვნების ერთ-ერთ საუკეთესო ნიმუშს მსოფლიოში.

აქვეა ე. წ. შელა, რომელიც კოლინია, რომელიც 1930 წლამდე ცნობილი იყო როგორც მერინიდების დროინდელი ძეგლი. გათხრების შედეგად აღმოჩნდა მერინიდების დროინდელი ნაგებობანიც და რომელიც ნაქალაქარი: ფორუმი, თალიანი შესასვლელი, აბანოები და სხვ.

მაროკოს ქალაქების მშენებლობაში იგრძნობა ადგილობრივი ხელოსნების მიერ ძველი ტრადიციების გადმონერგვა-შენარჩუნების ტენდენცია ხელოვნებასა და არქიტექტურაში. 1931 წ. რაბათში აშენებული უმაღლესი სასამართლოს შენობა, რომელსაც „სამართლიანობის სასახლე“ ეწოდება,

აღმოსავლური ყაიდისაა. ფასადი მთლიანად ორნამენტებითაა შემკული. შიგნით დახურული ეზოებია სვეტებით, შადრევნებითა და ბაღებით. კედლები, სვეტები, ჭერი მოზაიკითა და ყურანიდან ამოღებული ციტატების სტილიზებული წარწერებითაა შემკული. იატაკი ქვის ფერადი ფილებითაა დაბეჭეული, ხოლო ფანჯრებისათვის ფერადი შუშაა გამოყენებული. ამავე დროს ევროპული კვარტალების მშენებლები თანამედროვე ევროპულ არქიტექტურას მიმართავენ.

დღეობრივი ხელოვნების შესანიშნავ ნიმუშს წარმოადგენს რაბათიდან მეკნესისაკენ მიმავალ გზაზე მდებარე ბაღი, რომელიც რომელიღაც მდიდარ ფრანგს გაუშენებია. მშენებლის ანდერძის თანახმად, ბაღის მთელი შემოსავალი მაროკოს წითელი ჯვრის საზოგადოებას ეძლევა. ბაღი ტრანსპა-

ჰასანის კოშკი (მაროკო)





რაბათის  
საერთო ხელი

და შეფენილი. მასში მრავალი მცენარეა. ყვავილების ფერებს ლაშაზად ეხამება დობებისა და ქოთნების თხისა და ფერადი კენჭები, რომელთაც აგრეთვე დეკორაციული დანიშნულებაც აქვთ. ბაღში მრავალი ხელოვნური ჩანჩქერი და ტბაა. აქვეა კაფე-რესტორნები, საჩრდილობლები. ერთ-ერთი საჩრდილობლიდან სვედიანი მუსიკისა და სიმღერის პანგები შემოგვხვება, ოთხი ახალგაზრდა ისვენებდა. ვვადით გამოსაუბრება, კლიერ სიტყვაჟმუწი აღმოჩნდნენ. ჩავკითხეთ და მხოლოდ ეს გვითხრეს, რომ აღიერიელი ხალხის განწაპავისუფლებელი ზრბოლების მონაწილენი ყოფილან. ხმაურის გაგონება აღარ შეუძლიათ. მხოლოდ სიმშვიდე და ომების დამთავრება სურთ, რაც, მათი სიტყვით, მხოლოდ რუსების ჩარევით შეიძლება განხორციელდეს. ამ შორეულ ქვეყანაშიც ტრაპიკული მცენარეების ჩრდილში, ომგადახდილ ახალგაზრდებთან საუბარში ვიგრძენით ჩვენი სამშობლოს მშვიდობისმოყვარე პოლიტიკის დიადი ძალა.

თორმეტი დღის განმავლობაში, რომელიც მაროკოში დავყავით, ბევრი ქალაქი და სოფელი დავათვალიერეთ, ვცდილობდით შექლებისდაგვარად გავცნობოდით ხალხის ყოფასა და ცხოვრებას.

მაროკო მდლარია ხელოვნებისა და არქიტექტურის ის-



ელ-ჯაღლო

ტორული ძეგლებით. ამ ერთ ქვეყანაში შესვდებით როგორც რომის ისტორიის ნაშთებს, ასევე მაჰმადიანური შუასაუკუნეების თანამედროვე აღმოსავლეთისა და დასავლეთის ნიმუშებს. ერთდამევე ქალაქში ნახავთ როგორც გოთური სტილის ტრადიციები აგებულ კათოლიკურ ეკლესიებს, მკაცრი ფორმების პროტესტანტულ სამლოცველოებს, ბეტონისა და შუშის გამოყენებით აშენებულ საცხოვრებელ სახლებს, ცელესიებს და იქვე შუასაუკუნოვან მწვეთებს, სასახლეებს, აგრეთვე მაგრიტანულ სტილში ახალაგებულ სასახლეებს.

გაიარეთ ქალაქ მკენსზე, რომელსაც ლუდვიკი XIV თანამედროვე სულის მულენი ისმაილის (1672 — 1727) დროს „მაროკოს ვერსალს“ უწოდებდნენ და ვინახულეთ მაჰმადიანთა წმიდა ქალაქი მულეიიდრისი. იგი გორაკზეა გაშენებული. ქალაქი დაარსებულია მაროკოს პირველი მაჰმადიანი მეფის მიერ და მის სახელსაც ატარებს. მულეიიდრისი დასავლავებულია ქალაქის ცენტრში. აქ ყოველწლიურად რელიგიურ დღესასწაულზე დიდძალი ხალხი იკრიბება და სარწმუნოებრივ ცერემონიათან ერთად ახალბო გართობაც ეწყობა. არამაჰმადიანებს ამ ქალაქში მხოლოდ მზის ამოსვლიდან მზის ჩასვლამდე შეუძლიათ დარჩენა.

მულეიიდრისიდან მაროკოს ძველი ისტორიის მოწმე რომაული ქალაქის კოლონიუსის ნანგრევების დასათვალიერებლად გავემართეთ. ეს ნაქალაქი 1874 წელს აღმოუჩენიათ. ნაქალაქარის ნანგრევები მჭერმეტყველურად მოგოთხრობენ მის მდიდარ წარსულზე. ქალაქის სქელ და მაღალ ქვის კედელში ეჭები კარია დატანებული სხვადასხვა მხრიდან მომავალი გზებისათვის. ქალაქის სიგრძე ერთნახევარ მილს უდრის. მის ცენტრში კაპიტოლიუმისა და ფორუმის ნაშენებია. მშენებარდაა შემორჩენილი რომაული აბანოები, როგორც პატრიციებისათვის განკუთვნილი მდიდრულად შეშკული დასახლებული ოთახები და მარამალოთი მთიარეობებში აბაზანები, ისე შედარებით უბრალოდ გამართული სახალხო აბანოები. ქალაქის მშენებელს წარმოადგენს იმპერატორ კარაკალს (მარკ ავრელიუს ანტონინი 211—217 წწ.) ტერიუმული თალი. საცხოვრებელ სახლებში მრავალადა შემორჩენილი მოზაიკის იატაკები. ამ მოზაიკებში წარმოდგენილია მთელი ანტიკური მითოლოგია. ქალაქში განიერი ქუჩებია, რომლის ორივე მხარეზე შეეკებია ამართული, მათ ვარსკვლავი სახელისწოდები და საფაქროებია.

ვეწვიეთ ქალაქ ფესს. იგი მაროკოს უძველესი დიდქალაქია, რომელაც დაუარსებია 808 წ. იდრის II. მათე საუკუნის დასაწყისიდან ფესი თანდათან მაროკოს ინტელექტური ცხოვრების ცენტრად გადაიქცა. მისი მშენებება IX ს. დაარსებული კარაუნის უნივერსიტეტი. მაჰმადიანური კულტურის ერთ-ერთი უდიდესი კერა. ქალაქში სხვადასხვა დროს აშენებული 120 მეჩეთია. კარაუნის უნივერსიტეტის დიდ მეჩეთში ერთდროულად რამდენიმე ათასი მლოცველი ეტევა. ფესში ჩვენ პარაკვე დღეს მოხვდით და უნივერსიტეტის სტუდენტთა საერთო საცხოვრებლის სახურავიდან ვუყურებდით რელიგიურ ექსტაზში შესულ მლოცველებს, რომელნიც ქვის ობაქს თავს ახეთქებდნენ და საშინელი გამიანავი ხმით გაჰტიოდნენ.

ფესის შემდეგ დავათვალიერეთ ტიბური ბერბერული სო-



დელი - იმუხური. მთელი სოფელი მიწაში ცხოვრობს, საცხოვრებელი სახლები მიწაშია ჩაობილი (ე. წ. ტრილიტი). მიწის ზემოდან მხოლოდ მუკამედ V დროს აგებული მწიფი და აბანო დგას. აქ შევნიშნეთ პირველად ქალები შებლასა და ხელეზზე დასაჩული ჯარებით. ეს ჯარები თურმე მათ ქრისტიანულ წარმომავალ მტყეველებს. მაიივე სიტყვით, ისინი პორტუგალიდან ტყვედ წამოყვანილი ქრისტიანების ჩამომავალი არიან. ეს ქალები მამაკაცებს თავისუფლად ელაპარაკებიან, პირბაღეს არ ატარებენ. მაროკოს განთავისუფლების შემდეგ, ადგილობრივი ხელისუფლების ხელშეწყობით, ხალხი ნელნელა ამოიხსნა ამ ტრილიტიდან და მიწისზედა სახლებს იხსენებს.

ბევრი ვიარეთ მაროკოში და მრავალი რამ ვნახეთ, მაგრამ ნამდვილი აფრიკული პეიზაჟი პირველად მარაკეში ვიხილეთ. მარაკეში მაროკოს ერთ-ერთი დედაქალაქია. დაარსებულია XI ს. დასასრულს ალმორავიდების მიერ. მას ახლაც „წითელ ქალაქს“ უწოდებენ სამშენებლოდ გამოყენებული წითელი მასალის გამო, ხოლო ძველად „სამხრეთის მარგალიტს“ ეძახდნენ.

ქალაქის მშენებება ალმოხადების მიერ აგებული კურუბიას მწიფი და ქალაქის მოედანი, სადაც იკრიბებიან სამხრეთის პროვინციებიდან და ატლასის მთებიდან ჩამოსული ბერბერები, არაბები და სხვადასხვა ტომების წარმომადგენლები. ამ მოედანზე ჩვენი სალაყბო გავაგზავნა. აქ ვნახეთ მოხუცი მონაბრძოლების ირგვლივ ჯგუფ-ჯგუფად შეკრებილი ხალხი, რომელთაც ექსტაზში შესული მოთხოვნილები მაროკოს გვირუკე წარსულზე. იქვე თეირ ტანისასოში გამოწყობილი თმაგვარი მოხუცები გვეუბნებიან ათამაშებდნენ, ხოლო ცოტა მოშორებით მავრები ეროვნული საკრავების თანხლებით ასრულებენ თავის ცეცხლოვან ცეკვებს.

მაროკო განთქმულია თავისი ხელოსნური ნაწარმით. განვითარებულია ლითონის წარმოება, ხის, თიხის დამუშავება, ხალიჩების ქსოვა. პატარა სახელოსნოები ქალაქის ბაზრებზეა ჩამწკრივებული, ხოლო შედარებით უფრო ფართო წარმოების სახელოსნოები, რომელნიც კოოპერატიულ გაერთიანებებს წარმოადგენენ, ცალკეა გამართული. ჩვენ მრავალი ასეთი წვრილი და კოოპერატიული სახელოსნო დავათვალიერეთ და ყველაზე მძიმე შთაბეჭდილება დასტოვა ხალიჩების ქსოვაზე მცირეწლოვანი ბავშვების შრომის გამოყენებამ. ერთ ხალიჩას მოზრდილ ქალთან ერთად 7 — 8 გოგონა ქსოვს 3 — 4 წლიდან 6 — 7 წლის ასაკამდე. მათ პატარა ხელებს მარდად გამოყავთ ფერად-ფერადი სახეები ხალიჩებზე.

აქლანტის ოკეანის სანაპიროზე ჩავუარეთ 1960 წ. 28 თებერვალს მიწისძვრისაგან მთლიანად დაზარალებულ ქალაქ აგ დირს, დაათვალიერეთ რამდენიმე იეროპული კურორტი და კიდევ ერთი ნაშთი უცხოელთა ბატონობისა მაროკოს მიწაწყალზე; ელ-ჯაიდიდა, ჯერ რომაელების, ხოლო შემდეგ პორტუგალელების რეზიდენცია. მებრძოლი მაროკოელების შიშით პორტუგალელ მებრძოლებს სასახლის მცველი გვარდიის სამყოფელი მიწის ქვეშ აუშენებიათ, რომელიც შემდეგ, ალკაშემორჩყმულ პორტუგალელებს წყალსაცავად გადაქციეს. საგანგებოდ გაყვანილი მიწებით ამ წყალსაცავში

გროვდებოდა წვიმის წყალი, რომელსაც შემდეგ მოსახლეობისათვის მოწყვეტილი ოკუპანტები ხმარობდნენ. მაროკოელებმა პორტუგალელები გენდევნეს თავისი ქვეყნიდან, მათი ციხე-სიმაგრეებიც დაანგრეს, ხოლო მიწისქვეშა რეზიდენცია დევიწყას მიეცა, და დიდი ხნის შემდეგ, ერთმა ებრაელმა შემთხვევით აღმოაჩინა იგი თავის პატარა სახელსნოს გასაფართოებლად წარმოებული სამუშაოების დროს.

ჩვენი მოგზავრობა მაროკოში კასაბლანცით მთავრდებოდა. კასაბლანცა — გრანდიოზული და ლამაზი „თეთრი ქალაქი“, ამართული ოკეანის ლაქვარ ნაპირზე, მაროკოს ეკონომიკის გული, მსოფლიო მწამენებლობის ნავსადგურია. 1907 წელს იგი პატარა ქალაქი იყო 25.000 მცხოვრებით (დღევანდელი ძველი მედინის ტერიტორიაზე), დღეს კი პარიზის სიდიდისაა.

მაროკო, მართლაც, კონსტრასტების ქვეყანაა. დაახლოებით 3000 კილომეტრი გავიარეთ მაროკოს ტერიტორიაზე ფრანგების მიერ გაყვანილი სამაქნაო გზებით. გზების ორივე მხარეს ხელოვნურად გაშენებული ზეთისხილის, კორპის მუხის პლანტაციები და ვენახებია. ევროპელი მიწისმფლობელების უზარმაზარ მამულებში თანამედროვე სასოფლო-სამეურნეო მანქანებით მუშაობენ, ხოლო გზის მეორე მხარეს მაროკოელი გლეხი თავისი მიწის პატარა ნაკვეთს კავით ამუშავებს.


კასაბლანციდან პარიზზე გამოვლით სამშობლოში დაბრუნდით.

ასეთია მაროკო დღეს. მაგრამ მაროკოს ხალხს სჯერა, რომ მალე თავს დაადევნებს ჩამორჩენას და ხელში აიღებს თავისი ქვეყნის ეკონომიკასა და სრულ მმართველობას.



მიწის დამუშავება მაროკოში





## ე რ თ ი წიგნის გამო

დავით მელუხა



ართველი ხალხის ბედუკუღმართმა რე-ვოლუციამ დღემ აწარსულმა ჩვენი ერის მრავალი სახელოვანი შვილი მშობელ მიწას ძალით მოსწყვიტა, სამყაროს კიდით კიდემდე, როგორც ქარმა გამხმარი ფოთოლი, ისე ატრიალა და უცხოეთში სამუდამოდ გადაკარგა. არსებობისთვის დღენიდავ ფიქრი, ბრძოლა იყო მათი ხვედრი, და ვინ მოთვლის, მუხთლმა ბედმა რამ-

დენს არ გაუღიმა, უნარის, ძალის გამოჩენის საშუალება არ მისცა და ტანჯული სული ისე მიაბარა უცხო მიწას, რომ თან მხოლოდ განუხორციელებელი ოცნებანი ჩაპყვა. მაგრამ ბევრის თანდაყოლილ ხალას ნიჭს ქამთა სიაგემ, ისტორიის ქარტეზილმა ვერა დააკლო რა და მაინც გზა გაიკაფა, სახელიც გაითქვა და შორეულ ქვეყნებში მამულიც ასახელა. ადრე მხოლოდ კანტიკუნტად, შემთხვევით თუ შე-

გიტკობდით ხოლმე უცხოეთში მცხოვრებ ქართველ ინტელიგენტთა ამბებს, მაგრამ უკანასკნელ წლებში გაცხოველებულმა კულტურულმა ურთიერთობამ, მოგზაურობამ თუ მიმოწერამ ხელოვნების დარგში მოღვაწეთა ცხოვრებას თანდათან ნათელი მოჰფინა, საკმაოდ ბევრი მასალა შეგვძინა და უკვე შესაძლებელი ხდება მათი მეტნაკლებად სისტემაში მოყვანა.

ამ მხრივ ფრიალ სანაქებო და ყოველმხრივ წასახალისებელ მუშაობას ეწევა ამირან ცამციშვილი. პირდაპირ საოცარია მისი ერთუზი-აზმი და მოუღლელობა. უკვე რამდენი წელიწადია იგი შესაშური მონდომებით აგროვებს ცნობებს უცხოეთში მოღვაწე ქართველ ხელოვანთა შესახებ, ქექავს არქივებს, ძველ პერიოდიკას, მიმოწერით იღებს მასალებს, ეცნობა მოგონებებს, ყველაფერს აჯერებს, აზუსტებს, არკვევს და უტყუარ ამბებს დრო და დრო გვაწვდის. სწორედ მისი წყალობით გაეცნო ფართო საზოგადოებრიობა ბევრ უცნობ ხელოვანს, რომელთა არათუ მოღვაწეობა, სახელიც კი არ ვიცოდით. ახლა კი შევიტყუეთ მათი ღირსეული საქმეები და ჯეროვნადაც ვიხსენებთ. არა ერთი მაგალითი ვიცით იმისა, რომ ოდნავ მისანიშნ რაღაც საბუთებსა თუ პატარა ფაქტს ჩასჭიდებია და ბოლოს ყველაფერი ამოუხსნია. ასეთი მრავალმხრივი ინტერესი, ჩვენდა სასიხარულოდ, წარმატებით დაგვირგვინდა. ამის საბუთია ჯერ კიდევ 1959 წელს გამოცემული პატარა ბროშურა „ხელოვნების ქართველი მოღვაწენი უცხოეთში“, რომელმაც გამოხმაურება და საერთო კამყაფილება გამოიწვია, ხოლო ახლა საკმაოდ სქელტანიან წიგნი „უცხოეთში მოღვაწე ქართველი ხელოვანი“ (გამომცემლობა „ხელოვნება“, 1962 წ.). ამ წერილით სულაც არ გვინდა იმის თქმა, რომ ავტორმა „ამერიკა აღმოაჩინა“ და ყველაფერი, რაც ჩვენში კეთდება ამ დარგში, მხოლოდ მისი დამსახურებაა. უკანას-



კნელი წლების ქართულ პრესაში, განსაკუთრებით კი პერიოდიკაში ცოტა საყურადღებო წერილი როდესაც გამოქვეყნდა იმ ადამიანებზე, რომელთა ოსტატობამაც უცხოეთი სამართლიანად ალაპარაკა. მაგრამ ა. ცამციშვილის დახმარებამდე მიგვაჩნია ამ მასალების არა მარტო თავმოყრა და გადრეკვა, ახალი ფაქტებითა და მონაცემებით გამდიდრება, არამედ სრულიად უცნობი სახელებისა და საქმეების გამოშვებებზე, ბოლოს, მათი შეკვრა და მთლიანად წარმოადგენა.

ჩვენდა სავალალოდ, ცოტა როდესაც გამოდის აი ასეთი წიგნი: შეიქმნა, ეთხოვლობ, გადასცემს; რამდენიმე დღის შემდეგ გაგახსენდება, ერთ-ორ ფურცელს კიდევ გაეცნობი და ასე წყვეტილად, ინერციით უფრო ფურცლავ; ვიდრე გატაცებით, და ბოლოში გასვლისას თავში წაიკითხული აღარ გახსოვს. ა. ცამციშვილის წიგნს კი უფლომუთქმელად ჩაათავებ და მაღლიერების გრძობით დაეკეცა, თან სიხანწულიც ებიჯრობს — აღბთა, ზოგიერთი ადამიანის მიმართ ფაქტიური მასალის სიმწირე მხრების დაშლის, ფართო თხრობის საშუალებას არ აძლევდა და ამ ხარვეზის შევსება დროისა და მომავლის საქება. ასეა თუ ისე, შეიქმნა წიგნი, რომელშიც წარმტაცად, ფერადოვნად არის გამოცემული უცხოეთში ხელოვნების ქართველ მოღვაწეთა სასახელო საქმეები, რომელთაგან ნაწილი უფრო ღრმა კვლევისა და ცალკე წიგნის ღირსიც შეიძლება იყოს.

ვეცნობით მიხეილ ნანობაშვილის (ნიმულ დართაოდ), კლარა გურამიშვილის, ელენე თარხნიშვილის, ელენე ჩერქეზიშვილის (ელი ჩეროვა), თამარ თუმანიშვილის, ერეკლე ჯაბადარის, სხვათა და სხვათა სასახელო მოღვაწეობას, მათი შემოქმედების ცალკეულ პერიოდს და თვალწინ წარმოგიდგებიან ადამიანები, რომლებმაც გაიკვლიეს ხელოვნების ნარ-კვლიათი, ძნელბედითი გზა და უცხოეთის

სცენებსა თუ საკონცერტო ესტრადებს მიველინენ, უცხო მსმენელებს ატყობდნენ, ხიზლავდნენ თავიანთი შთაგონებულნი მდერით, შესანიშნავი ხმით, სამხრეთული ტემპერაციონტის თამაშით, ცვეთით, მუსიკით, დაკვირვით, ფერწერის, ქანდაკების ნიმუშებით. ყოველივე ამას მკითხველი წიგნში დაწერილმათი გაეცნობა, ავტორის შრომას ღირსეულს მიუზღავს და ამიტომ ზედმეტადაც მიგვაჩნია ამაზე გავრცობით ლაპარაკი.

ვიდრე სხვა საკითხებზე გადავიდეთ, მსურს რამდენიმე უმნიშვნელო შენიშვნა გამოთქვა. ავტორი რატომღაც ხმარობს არაქართულ სიტყვებს: ტრუბა, ბასი, სულ-ბტურა, ტიპოგრაფიული, თუმცა არის მათი ზუსტი შესატყვისები: დასი, ბანი, ქანდაკება, სასტამბო; „ფაუსტის“ ავტორია გუნო და არა ჰუნო, როგორც წიგნში ბევრჯერ წერია, ასევე პუჩინის ინიციალია ჯ. და არა ტ. (გვ. 52), სწორია ლეონკავალი და არა ლეონკოვალი (გვ. 50), მანუელ დე ფალია — მანუელ დე ფელას ნაცვლად (გვ. 65); თუ „აფრიკანკას“ ვთარგმნით „აფრიკელ ძალად“, „ფევირიტკამ“ რაღა მასშავ? კვლეგან უადგილოდ ნახმარია სიტყვა „რითმი“ „რიტმის“ ნაცვლად (მაგალითად, „ქართული ცეცვის თავაწყვეტილი რითმი“? (გვ. 94), დაუკვირვებლობის შედეგია ასეთი ადგილი: „ვალერიანმა (ქაშაკავილი — დ. შ.) შეასრულა კომპოზიტორ ქ. მასნეს ოპერისად არიოზოს პარტია და ჯ. ვერდის ოპერა „რიგოლეტოს“ — აქტიდან დუეტითა და იანოვკასთან ერთად“ (გვ. 49). მასნეს რომელ ოპერაზეა ლაპარაკი? არიოზოს პარტია რაღას ნიშნავს? „რიგოლეტოს“ რომელი აქტი იგულისხმება? ან რას ნიშნავს „მომენტალური დუმილი“? (გვ. 152) გულუბრყვილო განცხადება, თითქმის აკაკი წერეთლის მიერ მიძღვნილი „შვენიერი კლით გახალისებულმა ელენემ (თარხნიშვილი — დ. შ.) მამის წინააღმდეგობის მიუხედავად: „წიგნს პეტერბურგს მიაშურა“ (გვ. 65). ძნელი დასაჯერებელია, რომ ის, თუნდაც აკაკისგან მიძღვნილი, გამხდარიყო მომღერლის პროფესიის არჩევის მიზეზი.

გაუგებარია, საიდან და რა მიზნით მოხვედრით უცხო სიტყვა წინადადებაში: „მშობლიურ სცენაზე იგი (ლაპარაკია ვინო ფალიაშვილზე) „ხტოაგებრივი ცეცხლით“ (თუ „ღვთაებრივი“?) იწოვდა და სხვასაც გადასცემდა ან ანათებდა“ (გვ. 174). ანათება ხომ შერისხვას, წყევლას ნიშნავს!

გარბად, თამამ განცხადებად მიგვაჩნია ის აზმავი, რომ „შინაგანი აზრით მოქმედებდათან დაუკავშირებელი ცეცხვი მხოლოდ უპროვირტუოზობაა და არა შეიძლება ჩაითვალოს ხელოვნების ნიმუშად“ (გვ. 180). ასე რომ იყოს, მამის ბალეტში დივერტისმენტული ნომრები უპროვირტუოდ უნდა მივიჩნიოთ. ვანა ხელოვნების ნიმუშები არ არის, ვთქვათ, „გედის ტბის“ ბევრი ცეცვა (პირველი, მესამე მოქმედება და ა. შ.) ან „გორდას“ მესამე მოქმედება? ავტორი რატომღაც რეალიზმს ქანდად მიჩნევს („რეალისტური ფანრა“ გვ. 181). გაუგებარია გამოთქმა „ცოცხალი ქორეოგრაფიული სტილი“ (იქვე).

საერთოდ, უხეში კორექტურული შეცდომის სიუხვე ბევრგან აზრს ცვლის ან გაუგებარსადაც ხდის. ვფიქრობ, ავტორი ზოგჯერ ფაქტიური მასალის სიღარიბეს ლამაზსიტყვაობით ავსებს და ამა თუ იმ მოქმედების ან პიროვნების შეფასებაში აუნარებს.

ა. ცამციშვილის წიგნს ადამიანი სასხვათაშორისოდ, გულგრილად ვერ წაიკითხავს. წაიკითხავს და ადვირება ბევრი ფიქრი, რომელთაგან ზოგიერთი ახალი არც არის, თუმცა საქმე ლაპარაკსა და კეთილსინჯივლემას აქამდე არ გასცილებია.

სასიხარულოა, რომ გვეყავს საქმისათვის თავდადებული ასეთი



ადამიანი-ენტუზიასტი, რომელიც პირადი თაოსნობით და საშუალებით აკეთებს ყველაფერს, მარტამ როდემდე უნდა გაგრძელდეს ასე? მებრჯერ დაიწერა და უფრო მეტჯერ ითქვა, რომ საპიროა მთელი გულსყურით მოვეციდით უცხოეთთან დაკავშირებული ქართველი მოღვაწეების ცხოვრების აღმსახველი ფაქტების შეროვნებას. მაგრამ შედეგი? ვანა სამარცხვინო არ არის, რომ ვერ იქნა და ვერ მოხერხდა თუნდაც ერთი ადამიანის სპეციალური მივლინება იტალიაში და სხვა ქვეყნებში იქ არსებული საარტიკო მასალების თავმოყვარულად, ჩვენთვის საინტერესო პერიოდის პრესის შესასწავლად. ვინ იცის, რამდენი დღემდე უცხოში საყურადღებო მასალა შე-

იძლება აღმოჩნდეს! ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, მარტო ის რად ღირს, რომ ვანო სარაჯიშვილის ქებისას „საკუთარ წვეწმი ვიხარებოთ“ და საშუალება არა გვაქვს ნათქვამი რეცეპიებით ვიჩანაწერებოთ გავამაგროთ. სადღეც ხომ არსებობს ყოველივე ეს, რომელთა მიგნებაზე ზრუნვა მიმორწმუნებს ან რომელიმე დინატრესებული პირის ღონისძიებებს არ გასცილება. დასკვნა მარტო ერთი შეიძლება იყოს: ასე საქმეს თავი ვერ მოვევლება. საპიროა კულტურის სამინისტროს ქმედით ჩარევა უცხოეთთან საქართველოს კულტურული ურთიერთობის საზოგადოებასთან ერთად. დრო არის არსებობის რამ გიღონოთ და ყველაფერს

ენტუზიასტებს ნუ გადავულოცავთ!

ა. ცამცივილის სარეცენზიო წიგნს მაღაზიის თარო ხეირიანად ავსო ღირსებათა, ისე დიატაცის მკითხველებმა. ასეთი დიტირამატურის საშაოსაიანი ტირაჟით გამოცემა წვეთია ზღაპრი და გამოცემილია მოვალე იყო, რასან მაღლს აკეთებდა, მარლიც მოეყარა.

ასეა თუ ისე, მაღლობის მეტრა გვეთქმის ავტორისა და გამომცემლობის მიმართ. კარგი წიგნი მხოლოდ ამას იმსახურებს და ისიც სათქმელია, რომ ა. ცამცივილი კლავ ჩვეული ენერჯით ვანგარტობს მასალების ძიება-შეროვნებას და, იმედია, მაღლ შეესხმული ფაქტებით გამდიდრებული ახალი წიგნით გავკასარებულს.

## მხატვარი დიმიტრი მარისტავი

ქართულ სახეთ ზელოვნებაში აქვამად ბევრი ნიჭიერი შემოქმედია, რომლებიც ახალგაზრდალი ასაკის მუხეხდავად, ჩვენი მხატვრობის ახალგაზრდობაში აჩიან. მათგან საზოგადოებრიობა მუდამ ელის ჩვენი თანამედროვეობის ღირსეულად ამსახველ ნაწარმოებებს. ამ ახალგაზრდების რიცხვშია დიმიტრი ერისთავი.

საბარა იყო დიმა, როცა ომი მშვიდვარებად. მისი პირველი ნახატების თემატიკა თითქმის მთლიანად ომს უკავშირდება. ბავშვის მიღრეცეობას მხატვრობისადმი უკველიზიარად ხელს უწყობდა და წარმართვებად მამობისი — გრაფიკოსის ვახანგ ერისთავი.

1947 წელს დიმიტრი ერისთავი თბილისის სამხატვრო აკადემიის გრაფიკის ფაკულტეტზე შეიღეს. აკადემიაში სწავლის წლებში განვითარდა, დაბეჭდა მისი ნიჭი, გამოკვეთა შემოქმედებითი ხელწერა. მხატვრების განძობით იკონებს დიმიტრი პროფესორ იოსებ შარტლემანს, რომელმაც გრაფიკული ხელწერების ბევრი საიდუმლო გააცნა.

ახალგაზრდა მხატვარმა წარმატებით დაამთავრა აკადემია. გუანათა და მასხალეთი შესრულებულმა თანერულმა ნახატებმა მას იმთავითვე დაამხებურებული ადიარება მოუპოვა.

მხატვრებს იზიავს დიმიტრი ერისთავის ნაწარმოებების ორიგინალური ფორმა, მათზე აღმედლი მერების რთული ფსიქოლოგიური საწყაროს თავისებური ანალიზი, ახალგაზრდა მხატვარი რობო ზოლავს მათურებლის ფანტაზიას, თითქმის ყოველთვის სთავაზობს მას ფსიქოლოგიური ქვეტექსტებით მდიდარ ნაწარმოებებს.

პოეტური სიმთვითა საესე დიმიტრის შესანიშნავი გრაფიკული ნახატი — „პირველი იები“. ორი თვალბრუნება მოსწავლი გოგონა სოთოლი მისივანად (ოცხალ იებს ყოულობს). შოამბეჭავთა გოგონათა ონიმადიურ, ფიჯიკური, რომლებიც სიორებისა და სილამაზეს ამბობენ. როგორც სართოდ ბავშვები, ისინი ეტრფიან ყოველთვე ღამას, კულში იბუბიან ათრითი გაჯახხულის პირველ მოიქეულობის. ეს ხალხია გრანძობის, განსაჯორებით აბელი ამოსაცნობა უკავთობის გამაოილი ზიქის ფონზე, რომლის სახეც ერთვარი გულგრილობის გამოხატება.

ბრუნვანადე არის შესრულებული ნახატი „ქლასიანა“. ცარციო

დახაზულ კვადრატებთან სამი გოგონა დგას. ერთ-ერთი მათგანს განსაკუთრებით დამახილი სახე აქვს: წამიბ და მის მიერ ნასროლი ქვარომელით უჯრედში მოხვდება. მნახველს ისეთი განცდა იპყრობს, თითქმის გოგონა ეს-ესნა გაცოცხლებდა და ასეიქლით შემოურბენს „ქლასის“. სურათი შესრულებულია იმ ძალდაუტანებელი და მსუბუქი მანერით, რომელიც მხოლოდ შრომატევადი მუშაობით შეიძლება.

მათალა ოსტატობით არის აღბედილი, აგრეთვე თანრული ნახატი „გაციონებები“. ამ სურათში კარვად არის გამოვლენილი განუმეორებელი ეროვნული კოლორითი.

„ქლასიანასა“ და „გაციონებას“ დიდი წარმატება ხვდა წილად. მათი რეპროდუქციები დაბეჭდა ურნალმა „კულტურა ი ეროვნება“, რომელიც უცხოურ ენებზე გამოდის. დიდი უარადღებო სარკულობდენდ იმინი ადგილონთში ქართული ლიტერატურისა და ხელოვნების დეკლავა. პედილორბივა ვაჭურები მოწრებობ აღწინადადენდ ქართული მხატვრის ნამუშევრებს. დიმიტრი ერისთავის რამდენიმე ნამუშევარი ახალგაზრდული იყო ინგლისში საბჭოთა გრაფიკის გამოფენაზეც.

დიმიტრი ერისთავის ნამუშაო მაგაღაზე მიმობნულ ფურცლებსა და ესკიზებში მოცირი ფოტოკურასი ვანწინდ. მასზე გამოსხებობა ტანეწანარი გოგონა, ფართოდ გახეილი მეოცნებე თვალბინი, გრემილი წამწამებითა და სიკრად ღამასი დიმიტობი.

ეს მანაა ახალაქა. მერის როლს შესრულებს თენგიზ აბულაძის მომავალ ფილმი „მე, ბებია, ილიკო და ილარიონი“. მე და გიგი გიჯარა ამ სურათის მხატვრებად ვართ მიწვევლები, საინტერესო სამუშაოში — ამბობს ახალგაზრდა მხატვარი.

როცა დიმიტრი ერისთავს ვეშვილობობობობობი, კარებთან მიდგულ მაგაღაზე სუფთა ქაჯალი და ფანქარი შეენწიე, იგი სმობილურად ვეცინება: კიდე რამდენი ვაგმბილილი თება აწავლეს ახალგაზრდა ხელოვანს. კიდე რამდენჯერ ვაგაბარებს იგი მისი ხალხის ნიქის თუქანისმცემლებს.

შამილ მიხარბიშვილი  
რედაქტორი



დ. ერისთავი

გასვლა

# სამნი TNP-დან — ჟან ვილარი, ჟერარ ფილიპი, მარია კაზარესი

ბ. ზინგერმანი



ოსკოვში პირველი ჩამოსვლისას TNP სამი სპექტაკლი წარმოადგინა: მოლიერის „დონ-ჟუანი“, ვ. ჰიუგოს „მარია ტიუდორი“ და მა-რიოს „სიყვარულის ზეიმი“, წელს ჩვენ ვნახეთ ლესაჟის „ტი-ურკარე“ და ბალზაკისეული „საქმოსანი“.

ყველა ამ სპექტაკლმა გამოავლინა ჟან ვილარის მიერ შექმნილი თეატრალური სანახაობის საერთო ნიშანი: იგი მიმართულია მასობრივი აუდიტორიისაკენ, გყრდნობა კლასიკურ ტრადიციებს და ამავე დროს უახლესი მხატვრული მოტივების სფეროში რჩება.

საზოგადოებრივი ცხოვრების ამინდის ქროლვა, რომელიც TNP-ს ხელოვნებაში იგრძნობა, გამოვლინდა არა იმდენად ჟან ვილარის რეჟისორულ მოღვაწეობაში, რამდენადაც თეატრის დიდი მსახიობების შემოქმედებაში. TNP-ს არსებობის



ჟერარ ფილიპი ოქტავის როლში (ა. მუსეს „მარიანას კაპრიზები“)

„იმის თოვლივით ვათოტრებულ თმას რომ უყურით, — წერს ზ. ფაღალაშვილი, — და ისე მოისმინოთ მისი სიმღერა, თავის დღეში არ იფიქრებთ, რომ მღერის ესეთი მოხუცი და არა ახალგაზრდა კაცი“.

ალექსი ეროშვილსაც („ოსტატი ალექსა“) ერთ დროს შესანიშნავი ხმა ჰქონდა, მაგრამ რაღაც შეწუხით ადრე დაკარგავია. სიმღერები კი ზედმიწევნით სცოდნია. ფალაშვილი ადრეთონიანებით ამბობს: „შილდელ მომღერლებზე“:

„გარდამეტებით არ ვიტყვი და ამისთანა მომღერლებს პირადად მე არასოდეს არ შეგხვდებოდა, თუმცა ბევრ ქართველ მომღერლისთვის დამიჯდა მართლ. შედარებით ესენი ბევრად მალა ღვანან როგორც ხმით, ისე სიმღერების ცოდნითა და ბუნებითად მუსიკალურის სიღრმით“.

კომპოზიტორმა ამ მომღერლებსაგან თხოუმეტამდე სიმღერა ჩააწერა, ზოგი ჯერ ჩიღვი ჩაუწერელი და ზოგიც უკვე ჩაწერილი...  
ღედას ლევანა!

აი უკვე რამდენი ხანია გაისმის ეს სახელი ჩვენს ხალხში და რვიანად კი არ ვიცივინებ ზღაპარიით ჩაღვლი მის ცხოვრებას. ავერ ჩვენ თვალწინ, 1934 წლის დაცე ეს დღეით ვაკაკაცი, შესანიშნავი ხალხური მომღერა-

ლი და მისი უბრალო ბიოგრაფიაც კი არა გვაქვს შედგენილი. ღედას ლევანას სიყვარულით იხსენებენ ჩვენი პოეტები, საზოგადო მოღვაწეები, ქართული კულტურის მოამბენი, ხალხური მუსიკის მოტრფიალენი. აქა-იქ მეტეორივით გაიფლავებს ხოლმე ღედას ლევანას სახელი, მის ცხოვრებაზე კი არავინ არაფერს წერს.

ღირს კი წერა ამ კაცზე. ვინ არ მეგობრობდა ღედას ლევანას! ცნობილი პოეტები ტიციან ტაბიძე, გიორგი ქუჩიშვილი თუ მწერალი იოსებ მჭედლიშვილი, მიხეტიალე მუსიკოსი ილიკო ქუჩხული თუ ლიტერატორი ივანე გომართელი! ვის არ ახსარეს ტიციან ტაბიძის ლექსში გავლევებული სტიტიონები, რომლებიც პოეტს კი არა, ყველა მკითხველს მოხვდება გულზე:

შილდამი მღერის ღედას ლევანა და ართანაში ყარალაშვილი...

ღედას ლევანას უმღეროდა გიორგი ქუჩიშვილი. ჩვენს წინ არის 1941 წელს გამოცემული მისი „რჩეული ლექსები“, სადაც შეტანილია ლექსი „სუსილისტურ დიად კახეთში“. იგი ღედას ლევანას სიყვარულმა დააწერინა პოეტს, რომელმაც კახეთში მისვლისას ომხსიანად წამოიძახა:

...და როცა ერთად, მძურად დასახებებს

ღედას ლევანა და ჯილაური, — არ შეიძლება დაღესტნის მთებმაც არ შეაწიოს ბანი მოყვრული.

პოეტის წარმოდგენით ღედას ლევანა მედიღურად დგას, „როგორც ვეება მუხა“.

ხშირად ხედებოდნენ პოეტი და ხალხური მომღერალი... და აი ერთ მწვენიერ დღეს, როცა პოეტმა შილდა მოიხსნულა, გულდათუთქულმა წამოიძახა:

ეჰ ვეღარ ვნახე „ღედას ლევანაც“, შილდელ გოლიათს გულს ლოდი აქეის...

შილდის ეკლესიის კართან განისვენებს გოლიათი ვაკაკაცი. გულზე კი ლოდიც აღარ ადევს. მხოლოდ ნათესავეებმა და ნაცნობ-მეგობრებმა თუ იციან, რომ აქ მარხია ღედას ლევანა...

იგი კი ღირსია მოგონებისა და ღედას ლევანას სიყვარულმა ჩავიყვანა შილდაში. იქ ვნახეთ მისი შვილი შაქრო ასაბაშვილი. ბევრი რამ საინტერესო გვიამბო თავის მამაზე, მის ცხოვრებაზე, ალბათ, დაიწერება ერთი პატარა წიგნი მანაც. ჩვენ კი, ნათესავთა ნაამბობის მიხედვით, ზოგი რამ ჩავინიშნეთ უბის წიგნაკში...

ცნობილი ხალხური მომღერალი ღედას ლევანა, ლეონ ივანეს ძე ასაბაშვილი დაიბადა 1856 წელს, ყვარლის რაიონის სოფელ შილდაში. ცხრა წლის იყო თბილისში, რომ კვლავ ძუძუს წოვდა. ამიტომ ამბობდნენ ხალხში — მოწიფოს, ღედას ლევანა არ მოუცვდეს. და კიდევ დაერთვა ღედას ლევანა.

ერთი უსწავლელი გლეხი კაცა იყო, სკოლის კარები არც კი ენახა. პატრონსან ლეკმას ჭამდა, ალალს და დაუყვდერულს. მისი ერთადერთი ხელობა ის იყო, რომ ზაფხობიდანვე მღეროდა, მღეროდა გულთით. აკი ამიტომაც ყოველი სიმღერის გათავებისას იტყობდა: „შენი ეკლესია!“

შილდამი თუ კახეთის ახლიმასხლი სოფლებში იშვიათი იყო ლხინა, რომ იქ ღედას ლევანა არ ყოფილიყო მიწეიული. მისი აუდიტორია უბრალო, მშრომელი მოქილვე ხალხი იყო, მისი ნიჭის თაყვანისმცემლებიც შილდელი, ართანელი, საბუღელი თუ ველისცახელი გლეხები და აღდენენ.

— მამარქმს მჭიქარე, მალალი ხმა ჰქონდა, — იგონებს შაქრო ასაბაშვილი, — ის რომ სიმღერას შემოსაძახებდა, მაგიადავ ლამაზა ქრებოდა... რას მღეროდა და, — „ხევისფროსი“, „სურფროსი“, „ჩაარქლოსი“, „მრავალკამირსი“, „შაღღღღღღ“. აქაურმა დარბიანდამა სლიკო ჩორციოქიმ მამარქმე სიმღერის ჩასაწერად თბილში რომ წაიყვანა, თურმე გრამოფონის ფირი გასცადა...

— ეგ კი არა, ერთხელ ისიც თქვა პაპა ლოვანამ. — უმატებს ლითას ლევანას შილიშვილი. თელავის მკხოვრები მაინა ასაბაშვილი. — ჩალობს წინ ნო თმისაამთ ხოლმე, პირს რომ ვალბე, ეშინიათო.

75 წლის თელაველი მოხუცი ნიკო როსტომაშვილი გვიყვება:

— დედას ლევანას კარგად ვიცნობდი, ბური ხშირად ერთად გავიტყვიხ... ის დალოცვილი პირველსაც და მეორესაც ერთნაირი სიძლიერით მღეროდა. ყველაზე კარგად „გრძელ მრავალკამიერს“ შემოსძახებდა. ახლაც ყურწი ჩამესმის ამ სამშობლიანი სიმღერის სიტყვები: „მასპინძლო, ჩემო ღვინო, მარნის კარი აჭრიაღე, ავეიზაღე წითელ ღვინოს, ყელი ჩაგვიმპურაინე“. ბევრჯერ ერთდღაც გვიმღერია. მე ბანს ვეუბნებოდი ხოლმე.

— სტუმრები რომ მყოლოდა, დედას ლევანას უეჭველად დავბატოყებდი. — ამბობს 81 წლის მოხუცი გიორგი მიჩილაშვილი. — ხალხში ახლაც არის ეს თქმა: დედას ლევანა შილდაში რომ ხეყურს შემოსძახებს, ართანაში ყარალაშვილები ბანს ეუბნებიათ. ცნობილი მსახიობის კობხტა ყარალაშვილის პაპა რეზო ყარალაშვილიც კი განთქმული მომღერალი იყო. დედას ლევანამ სიმღერაში სამი კაცი „შემოინარცხა“: ალექსი ელოშვილი, ბათო რტოთაშვილი და მიხა ირემაშვილი. კარგი აღამიანი იყო, ხუმარა, დარღმანდი, ყალღანი, დიდთან დიდი, პატარასთან — პატარა.

რესპუბლიკის დამსახურებული არტისტის მერი შილდელის თქმით, დედას ლევანა ახალგაზრდებს ხშირად საოხუნჯო ამბებს უყვებოდა.

— ის რომ შემოსძახებდა, „ბერიკაცი ვარო“, სახლიდან გარეთ უნდა გაეცყოლიყავ, ისეთი სიძლიერისა იყო. მე ასეთი „ბერიკაცი“ სხვაგან არასდამოხმენია. ისე მღეროდა, ისე

ბუნებრივად, თითქოს ვინმეს ეჩხუბებოდა, ნუ მომკლავო. ხშირ წარბებს წინ წამოსწევდა, დამეუბრებოდა ვიღაცას. ბუნებით მსახიობი იყო, ნამდვილი მსახიობი, ოღონდ უსწავლელი. და ისიც კი არ იცოდა, ვა არის მსახიობობა...


1927 წლის გაზაფხულზე რუსთაველის თეატრში უჩვეულო კონცერტი გაიმართა. დარბაზი ხალხით იყო გაჭედილი. სცენაზე იყვნენ მოხუცი კახელი მომღერლები შილდელები: ლევან ასაბაშვილი და ალექსი ელოშვილი. გრემელი მიხა ავგაროშვილი და ოღნავ მათზე უმცროსი კაკაბული მიხო ჯიღაური. ისინი კახეთიდან ჩამოიყვანა მწერალმა ი. მჭედლიძემ. შესრულებულ იქნა შესანიშნავი კახური სიმღერები. ამ კონცერტის გამო გაზეთი „ზარია ვოსტოკა“ ხალხურ მომღერლებზე წერდა: „კახეთში ისინი დიდი პოპულარობით და ხალხის სიყვარულით სარგებლობენ. მათ ხელუხლებლად შემოინახეს ძველთაძველი კახური სიმღერები თავიანთი უზადო სისპეტაკითა და მომხილვაობით... „აღსანიშნავია, რომ ამ კონცერტის მოწყობაში აქტიური მონაწილეობა მიუღია დიდ ქართველ რეჟისორს სანდრო ახმეტელს. კონცერტის ვოკალური ნაწილით ძალიან დაინტერესებულან კომპოზიტორები მ. ფაღალაშვილი, დ. არაყშიანი, მ. ბალანივაძე, კ. ფოცხვერაშვილი“.

...ნიკო ფიროსმანი ერთ ჭიკა არაყზე მთელ სარდაფს მოხატავდა. დედას ლევანა კი ამბობდა ერთ ლიტრი

ღვინო დამალევივით, თუ გინდათ რომ კარგად ვიმღეროთ. და მღეროდა ძლიერად, შთაგონებით. სიმღერის ბოლოს კი ისევ და ისევ თავისებურად დააყოლებდა: „შენი გულისი!“ სიკვდილის წინაც მღეროდა, როგორც მომავლადი გველი. წინა დღეს „მრავალკამიერი“ შემოსძახა თავისი ბოლომდე თევანკარი და უბზარო ხმით, მეორე დღეს კი სამუდამოდ დახუტა თვალბი...

დედას ლევანასთან მომღერლები, განათლება რომ მიეღოთ, ბრწყინვალე სამუსიკო სარბიელსაც დაამშვენებდნენ. ვინ იცის, რამდენი ამისთანა მომღერალი გაქრა გარდასულ ქაშთა უკულმართობით... ამ ერთი დედას ლევანას სახელი კი ისევ ცოცხლობს ხალხში, დავიწყების ქანგი არ ეკიდება, მის სიმღერას უკვდავების საგზური და ღივი გასაძლისი აქვს. შილდელი ისევ მღერის დედას ლევანა! შილდელი გოლიათის სახლ-კარის ნახვამ დედას ლევანასადმი მიძღვნილი ერთი ლექსიც დამაწერინა:

მღერის შილდელი დედას ლევანა და მისი ჭეჭა სწვდება ართანას, მე უსიმღეროდ ვერსად ვერ წავალ, ისე ვერ მივალ გულის ვარდთანა! ისე ვერ შევსვამ ნაფარეულსა და ვერც ალაზნის გაღმა გავივლი, ისე ხომ გული გაგარეულდა და სიყვარულის გახმა ყვავილი... მღერის შილდელი დედას ლევანა და დედას ბურბებს თონიდან ყრიან, ორივეს ვსახავ სულის მტევანად, რადგანაც დედის სახელი ჭქვით!





ის საწყისებია, რომლებიც ძირითადად განაპირობებს თანამედროვე არქიტექტურის არსს, მის, როგორც ფუნქციონალურ, ასევე ესთეტიკურ მხარეებს.

ახალი იდეა ცხოვრებაში უცებ როდი მკვიდრდება, მით უმეტეს სურთომოდღვრებაში, სადაც იდეა რეალურ, მატერიალურ გამოსახულებაში (ქვაში, რკინა-ბეტონში) ვლინდება, ძველთან ბრძოლაში იბადება და ძველთან დაპირისპირებით მკვიდრდება.

ის ახალი, რაც 7-8 წლის წინათ ჩაისახა და მხოლოდ პროექტებში იყო ასახული, უკანასკნელი ორი წლის განმავლობაში მატერიალურ რეალობად იქცა და ჩვენი ქალაქების არქიტექტურაში იწყო და მკვიდრდება. სწორედ ამან განაპირობა საქართველოს არქიტექტურთა VI ყრილობის შინაშენლობა და ის ინტერესი, რომელიც მისდამი გამოიჩინა ჩვენმა საზოგადოებამ.

„ჩვენს სურთომოდღვრებს უნდა ასსოვდეთ, რომ უკვე დღეს ეყრება საფუძველი იმ კვარტალებს, ქუჩებს და ნაგებობებს, სადაც უნდა იცხოვრონ და იშრომონ კომუნისტური საზოგადოების ადამიანებმა. საქართველოს არქიტექტორების ვალია შეტი გულისყურით მოკვიდონ ჩვენი ქალაქების, სოფლების, რაიონული ცენტრების სოციალისტური დაგეგმარებისა და განაშენიანების საკითხები“, — აღნიშნულია საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მისალმებაში რესპუბლიკის არქიტექტურთა VI ყრილობისადმი, რომელიც ყრილობაზე წაიკითხა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანმა აშხ. გ. გვეგშიძემ.

სწორედ ჩვენი ქალაქების და სოფლების მომავალ განაშენიანებაზე ზრუნვამ განაპირობა საქართველოს არქიტექტურთა VI ყრილობის მუშაობის საქმიანი და შემოქმედებითი ხასიათი. ამ ზრუნვით იყო გამსჭვალული როგორც მოხსენება, ასევე დელეგატებისა და სტუმრების გამოსვლები.

საანგარიშო მოხსენება წაიკითხა საქართველოს არქიტექტურთა კავშირის გამგეობის თავმჯდომარემ, სსრკ მშენებლობისა და არქიტექტურის აკადემიის ნამდვილმა წევრმა ა. ჭურდიანმა. სარევიზიო კომისიის ანგარიში წაიკითხა რესპუბლიკის დამსახურებულმა ინჟინერმა მ. გულუამ. კამათში, რომელმაც საღი პოლემიკისა და შემოქმედებითი მიზანდასახულობის ნიშნით ჩაიარა, გამოვიდნენ: შ. ბალაშვილი (რუსთავი), დ. კომხაძე (ბათუმი), ლ. სუმბაძე, ლ. იუსტიცაია, შ. თავაძე, ს. რევიშვილი, გ. ჩიგოგიძე, თ. კვიციანი, ს. ცინცაძე (სოხუმი), თ. ფოცხიშვილი, ი. ციციშვილი, ს. კინწურაშვილი, გ. ბერიძე, მ. ჯანაბერიძე, მ. გარაყანიძე, მ. მგალობლიშვილი, ვლ. მისხიშვილი, შ. ცინცაძე, თ. კალანდარიშვილი. საანგარიშო მოხსენებაში და გამოხვლების დიდ უმრავლესობაში ყურადღება დაეთმო იმ უმთავრეს ამოცანებს, რომლებიც დღეს სურთომოდღვრების წინაშე წამოჭრილი.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის პროგრამის განსაკუთრებულობა და რეალისტური არსი იმაში მდგომარეობს, რომ მომავალი გრანდიოზული პერსპექტივები აქ ორგანულად არის შერწყმული დიდი ამოცანების საქმიან და კონკრეტულ გადაწყვეტასთან. ამ მხრივ სურთომოდღვრის წინა-

# ქართული

## ხუროთმოძღვრება


### განვითარების

### ახალ ეტაპზე

თენგიზ კვიციანი



ართულმა საბჭოთა არქიტექტურამ განვითარების მეტად მრავალფეროვანი და საინტერესო გზა გაიარა 40 წლის მანძილზე. ეს გზა აღნიშნულია შემოქმედებითი ძიებით, რომელსაც ბუნებრივია თან სდევდა მიღწევებიც და ცალკეული შეცდომებიც. 60-ანი წლების დასაწყისში ჩაისახა ის ახალი მიზანართულება, რომელიც დღეს საბჭოთა სურთომოდღვრების ხელშეუხებელ გეზად იქცა. ქალაქმშენებლობის ახალი პროგრესული პრინციპები, თანამედროვე სამშენებლო მასალები, განვითარებული სამშენებლო ინდუსტრია, ნაციონალური დაგეგმარება, არქიტექტურული სახის სიმარტულ და ლაკონურობა



ო. ლიტანიშვილი, ა. რევაზიშვილი.

შეგობრული შარბები

შე დგას სრულიად მკაფიო ამოცანები, რომლებიც ემსახურება კომუნისტური საზოგადოების არქიტექტურის, მომავალი საზოგადოების რეალური, მატერიალური გარემოს შექმნას. ამასთან, მომავლის გააზრებასთან ერთად ხუროთმოძღვარმა არ უნდა დაივიწყოს დღევანდელი მშენებლობის რეალური და აქტუალური საკითხები.

მოსხენებაში და კამათში გამოსულთა ყურადღების ცენტრში იდგა ქალაქმშენებლობის სხვადასხვა საკითხი და ეს სრულიად მართებულია, ვინაიდან საბჭოთა არქიტექტურის ერთ-ერთი ნიშანდობლივი თვისება მისი ქალაქმშენებლური საწყისია. ქალაქგეგმარების ასალი პრინციპები მოითხოვს ტენიკურ-ეკონომიური, სანიტარულ-ჰიგიენური და ესთეტიკური პრობლემების კომპლექსურ, მეცნიერულ საფუძველზე დამყარებულ გადაწყვეტას. ამ მხრივ ქართველმა არქიტექტორებმა რეალური ნაბიჯები გადადგეს, თუმცა კი პირველი ცდები მოლომდე სრულყოფილი როდია. ბუნებრივია, რომ ყრილობაზე ბევრი ითქვა საქართველოს ისეთი ქალაქების გარშემო, როგორცაა ქუთაისი, ბათუმი, სოხუმი, რუსთავი და განსაკუთრებით კი თბილისი.

გეტად პრინციპული მნიშვნელობა აქვს რაიონულ დადგენარებას, რაციონალურ ზონირებას, რაზედაც დამყარებულია რაიონის ყოველმხრივი განვითარება, ქალაქის ზრდა-განვითარების ოპტიმალური ფარგლების დადგენა, მრეწველობის მიზანშეწონილი განლაგებისა და ხვედრითი სიდიდის განსაზღვრა და ა. შ. ნათლად ჩანს რუსთავის განაშენიანების პრაქტიკის განხილვისას, სადაც სამრეწველო ზონა ყოველგვარი ნორმატივებისა და მითუმეტეს მეცნიერული დასაბუთების გარეშე, თითქმის სტიქიურად, უკონტროლო გეგმარებით, ყოველგვარი კოორპირებისა და ბლოკირების გარეშე გაშენდა, რის გამოც ახალი ქალაქის თავკომბალა ნაწილად მოგვევლინა. ეს აისხნება სამრეწველო ტერიტორიის არარაციონალური დაგეგმარებითა და მრავალი დამხმარე წარმოების დუბლირებით. ამიტომ სრულიად გასაგები იყო რუსთავის მთავარი არქიტექტორის შ. ბაღაშვილის მოწოდება არქიტექტურული საზოგადოებისადმი — მეტი გულისყურით მოვიკიდოს რუსთავის კორექტირებული გენერალური გეგმის შედგენის ამოცანას.


საქართველოს დედაქალაქის შემდგომი განვითარების და მშენებლობის საკითხი როგორც მომხსენებლის, ასევე ბევრი განმსუვლის ყურადღების საგანი გახდა. აღინიშნა ის ფაქტიც, რომ არქიტექტორთა კავშირის პლენუმმა, რომელიც ყრილობის წინ ჩატარდა და თბილისის განაშენიანების საკითხს მიეძღვნა, მრავალი საინტერესო და საყურადღებო პრობლემა წამოჭრა.

ეკრძოდ, სპეციალისტთა და ფართო საზოგადოების ზრუნვის საგნად იქცა ქალაქის ზრდის შეუწყველებელი ტენდენცია. ამ მხრივ სრულიად რეალურ შესაძლებლობას წარმოადგენს საზღვრების მოშლა თბილისსა და რუსთავს, თბილისსა და მცხეთას შორის. საჭირო გახდა მაქსიმალურად ეფექტურ ღონისძიებათა მიღება, რათა თბილისმა არ მიიღოს პიპერტროფირებული ზომები. ეს ღონისძიებანი, პირველ ყოვლისა, გულისხმობენ განსაზღვრულ დაგეგმარებით ხერხებს, თუმცა ადმინისტრაციულ ზომებსაც არ გამოირცხავენ. საგარეუბნო ზონა, რომელზეც წარმოგედგება მწვავე სარტყლად, (სადაც მხოლოდ საკურორტო, სასპორტო და სოფლის მეურნეობის დანიშნულების დაწესებულებები განლაგდება და აკრძალული იქნება ყოველგვარი სხვა სახის მშენებლობა) არა მხოლოდ გააუმჯობესებს თბილისის ქალაქმშენებლურ სტრუქტურას, არამედ ბევრად შეუწყობს ხელს ქალაქის ზრდის შეჩერებას ზომიერ ფარგლებში. ამას ხელს შეუწყობს აგრეთვე ახალ წარმოებას მშენებლობის აკრძალვა თბილისის ფარგლებში. დღის წესრიგშია ქალაქის შუაგულში მოქცეულ საწარმთა თანდათანობითი გატანა გარეუბნებში და მათი კონცენტრაცია გარკვე-

ული სისტემით. ამ დონისძიების ჩატარება 20 წლიან გეგმის საფუძველზე ბევრად გააჯანსაღებს თბილისის რაიონირების სქემას და საშუალებას მოგვცემს შევექმნათ საცხოვრებელ ზონებს საჭირო სანიტარულ-ჰიგიენური პირობები.

ბოლო წლებში თბილისში დიდი ყურადღება ექცევა საცხოვრებელი რაიონებისა და მიკრორაიონების დაგეგმარებასა და მშენებლობას. მათი განხორციელება გარკვეულად პროგრესული ნაბიჯია ჩვენს ქალაქგეგმარებაში, თუმცა, როგორც ყრილობაზე იყო აღნიშნული, საბურთალოს და ნავთლუღის საცხოვრებელი მასივები ბოლომდე ვერ გავამყოფილებენ, როგორც ქალაქმშენებელი, ისე ცალკეული სახლების არქიტექტურული გადაწყვეტით. განსაკუთრებით ეს ითქმის ნავთლუღის და ნაწილობრივ საბურთალოს მასივზე. ამ მასივების ხარვეზების ერთ-ერთ მიზეზთაგან დასახელებულ იქნა ის გარემოება, რომ სახელოსნოში დამუშავებული პროექტები ბოლომდე არ იქნა განხორციელებული და მშენებლობისას შეიცვალა უარესისკენ. ასე მაგალითად, საბურთალოს მასივში არ განხორციელდა პროექტში გათვალისწინებული საზოგადოებრივი და სავაჭრო ცენტრი. პროექტით არ განხორციელებულა კვარტალში გასასვლულები, თუ არაფერს ვიტყვით იმ ფრიად სამწუხარო ფაქტზე, რომ თითქმის არავითარი ყურადღება არ მიექცა პროექტზე ნაწილებზე მწკანე მშენებლობას. ზოგიერთ გამოსვლაში (შ. ბაღაშვილი, თ. ფოცხიშვილი) სამართლიანად იქნა აღნიშნული, რომ მიკრორაიონების მშენებლობისას სათანადო ყურადღება არ ექცევა მოსახლეობის მომსახურებას. მიკრორაიონები შენობა მომსახურე საწარმოთა გაუთვალისწინებლად. არ არის გათვალისწინებული სავაჭრო ქსელის რაციონალური დისლოკაცია და ა. შ.

მეტად აქტუალური საკითხია ქალაქის უკვე ჩამოყალიბებული და ძველი რაიონების ნაწილობრივი ან მთლიანი რეკონსტრუქციის პრობლემა. უნდა ითქვას, რომ უკანასკნელ ხანს ეს ამოცანა ნაწილობრივ უგულებელყოფილი იყო და მთელი ყურადღება გადატანილ იქნა ახალი ტერიტორიების ათვისებაზე, რაც შეპირობებული იყო მრავალი სერიოზული ფაქტორით და მათ რიცხვში — საბინაო მშენებლობის ტემპების მაქსიმალურად ზრდას აუცილებლობით ახალი საცხოვრებელი მასივების მშენებლობაზე ნავთლულში, დიდომსა და საბურთალოში ბევრად შეუწყობ ხელი თბილისის საბინაო



ლ. ლიშინშვილი, ა. რევაიშვილი. მეგობრული შარევი

ფონდის მკვეთრ ზრდას დროის მცირე მონაკვეთში. მაგრამ ქალაქის უსასრულო ზრდა შეუძლებელია, მით უმეტეს თბილისის სპეციფიკურ პირობებში. რაც ქალაქს ძირითადად სივრცეში, მტკვრის გასწვრივ აძლევს განვითარების შესაძლებლობას. სწორედ ამიტომ, არქიტექტორთა კავშირის პლენუმზე და

არქიტექტორთა VI ყრილობაზე წამოჭრილმა საკითხმა თბილისის არსებული უბნების რეკონსტრუქციის აუცილებლობის შესახებ ერთსილოვანი მხარდაჭერა ჰპოვა და დღეს უკვე გადადგმულია რეალური ნაბიჯები მის გადასაწყვეტად.

ამასთან ერთად, მოხსენებელმა და ზოგიერთმა გამოსვლაში აღნიშნული იყო არსებული განაშენიანების შედეგად შექმნილი უსაფრთხოების აუცილებლობა, რათა აღრიცხულ იყოს ყველა შემთხვა, როდელიც ისაზღვრავს წარმოადგენს უკეთეს კულტურული და რაბოტორული ძეგლი ორგანულად ვედა იქნას ჩართული ახალ განაშენიანებაში, იმგვარად, რომ არ დაიკარგოს მისთვის დამახასიათებელი კოლორიტი და ელვადობა. უფრო მეტიც, ძველი უბნების რეკონსტრუქციისას შესაძლებელი გახდება ზოგიერთი (რა თქმა უნდა არქიტექტურულად ღირსშესანიშნავი) ძეგლის მასზე მიტანისა და განაშენიანებისაგან განთავისუფლება და მისი სათანადო გამოვლენა.

„თბილქალაქპროექტი“ უკვე დამუშავდა და მუშავდება თბილისის ცალკეული უბნების და ქუჩების რეკონსტრუქციის პროექტი. მისასაღებელია, რომ რეალური ნაბიჯია გადადგმული თბილისის ცენტრის რეკონსტრუქციისათვის. კერძოდ, დამუშავდა რუსთაველის პროსპექტის დასაწყისის მარჯვენა მხარის ძირფესვიანი რეკონსტრუქციის პროექტი.

სოფლის მოსახლეობის კეთილმოვლის ადგილების შედგენა ჩვენი სოფელი სწრაფად შეინდება და არქიტექტორის დიდ ყურადღებას მოითხოვს. სამუშაოდ, სოფლად შეზღუდვითაა მხარდასაჭირო სახაისა და მდარე ხაზისი-საა. ბევრგან გამოჩნდა ყოვლად უგემოვნო, სილამაზის მიწმანაწილი გაგებით აშენებული საცხოვრებელი სახლები და ზოგან სასოფლოდობრივი (კლუბი, კულტურის სახლი) ნაგებობებიც კი. ყრილობის წინ ჩატარებულმა თათბირმა სოფლად შეზღუდვით საკითხზე, ბევრი ნაკლი გამოაქვინა. ამ ნაკლებადებზე ლაპარაკი ყრილობაზეც გაგრძელდა. გამოთვლილია დაგეგმეს უპრობროლოდ მშენებლობისა და პროექტირების პრაქტიკა. ყრილობამ წამოჭრა წინადადება რაიონული არქიტექტორის თანამდებობის შექმნის შესახებ, რომლის ცხოვრებაში გატარება საშუალებას მოგვცემს რეალურად დავეხმაროთ სოფელს მშენებლობის სწორი გზით წარმართვაში.

უბნებრივია, რომ ყრილობაზე აქცენტირებული იყო ისეთი მნიშვნელობა და მწვავე საკითხი, როგორცაა უსივალის მშენებლობა. ამ პრობლემამ კაბათში გამოსულთა უმრავლესობის ყურადღება მიიპყრო, ზოგიერთი გამოსვლა კი მთლიანად საბინა და, კერძოდ, პროექტირებას და მშენებლობას დაეთმო (ს. რევიცილი, გ. ჩიგოჯიძე). ქართველმა არქიტექტორებმა უკვე ბევრი რამ გააკეთეს ამ ამოცანის გადასაწყვეტად. შექმნა ახალი საცხოვრებელი რაიონები, დამუშავდა საცხოვრებელი სახლების ტიპობრივი პროექტები მასობრივი ინდუსტრიალური მშენებლობისათვის, ჩვენი მოსახლეობის პირობებში საგრძნობლად გაუმჯობესდა. მაგრამ კიდევ ბევრი რამ არის გასაჭრებელი. საჭიროა ძირფესვიანად გაუმჯობესდეს ტიპობრივი პროექტები, გაიზარდოს მათი ნომენკლატურა, რათა განესაზღვრებოდეს გადიდდეს გაცივების საშუალება. გარდა ამისა, ახერხებენ უნდა გაიყოს ტიპობრივი საცხოვრებელი სახლების მოსალოდნელ გარემოსთან შესაბამის უზრუნველყოფის აუცილებლობას. ახალი საცხოვრებელი მასივების ულ-

ათათ. სახის შექმნის ერთ-ერთი უმათრეს მიზნობრივია არსებული ტიპობრივი პროექტების დაბალი არქიტექტურული დონე. განაშენიანების თანამედროვე პრინციპები მოითხოვენ, რომ შემოხა მოცულობით იყოს გადასაწყვეტად და არა დასა-დიდა (რა თქმა უნდა, იგულისხმება დეკორატიულობა და გარე არქიტექტურის ორგანული ერთიანობა). ეს ხარისხი ახლანდელ ტიპობრივ პროექტს არ გააჩნია. გარდა ამისა, დაგეგმარების ხასიათი არ იძლევა ნაკლებ შენობის თავისუფალი განლაგების საშუალებას, ვინაიდან თუ ასეთი პროექტები აგებული სახლები ერთი ფრონტით არ დაიდა, ზოგიერთი მათგანი არახსლსაყრდელ ორიენტაციას მიიღებს. საერთოდ უნდა აღინიშნოს, რომ ტიპობრივი პროექტები, რომლებმაც თავის დროს გარკვეული როლი შეასრულა, დღეს მოძველდა და მძაფრი მოთხოვნაა ახალ, სხვადასხვა ვარიანტის ტიპობრივ პროექტზე.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის პროგრამაში ნათქვამია: „მხატვრული საწყისი კიდევ უფრო შთავრებულ გახდის შრომას, დაამყვენებს ყოფაცხოვრებას და გააკეთილშობილებს ადამიანს“. ეს ჩვენ გვაგალებს, რომ ყოველთვის, რაც ადამიანს გარს ერტყვის, ყველაფერი, რაც მოწოდებულია მის მრავალმხრივ მოთხოვნილებას დასაკმაყოფილებლად, ესა-ზურთხედეს არა მარტო უკალიტარულ მიზნებს, იყოს არა მარტო მატერიალური მოთხოვნილების საკაციალურად დამაკმაყოფილებელი, არამედ ამასთან ერთად ესთეტურად შეესაბამებულ მის სულიერ მოთხოვნილებებს. სოციალისტური არქიტექტურის სტილის შექმნა მეტად რთული პროცესია, რომელიც გარკვეულ დროს მოითხოვს. თანამედროვე არქიტექტურის დამახასიათებელი ნიშნები — სივრცის ასლებური გააზრება, შენობის ლაკონურობა, მისი შინაარსის მართლად ასახვა არქიტექტურულ ფორმებში — ის საწყისებია, რომლებზედაც დაფუძნებულია თანამედროვე საბჭოთა არქიტექტურის არსი. ამასთან ერთად, შეუძლებელია თანამედროვე არქიტექტურის სწორი გზით განვითარება ხელოვნების სინთეზის ფართო დანერგვის გარეშე. ამ საკითხს მომხმარებელთან ერთად შეიძინ დ. იუსტიციანა, ი. ციციშვილი, ნ. ჯანბრიძე, ლ. სუშაძე. თანამედროვე არქიტექტორის და ხელოვნების სხვა დარგების განსაკუთრებით კი მონონიჭირი ხელოვნების სინთეზის ორგანულად შეუძლებელია იქნება, თუ უკანასკნელი არ იქნება მეტად ნოვატორული, მეტად განზოგადებული და დინამიური.

თანამედროვე შენობის შიდა სივრცის (ინტერიორის) არქიტექტურის შექმნაში უდიდესი მნიშვნელობა აქვს ახალ ქსოვილებს, ფერს, ავეჯს. ყრილობაზე ხაზგასმით იყო აღნიშნული რომ, სამუშაოდ, ჩვენი მრეწველობა, რომელიც ავეჯს აწარმოებს, ჯერ კიდევ ძველი ტრადიციებით მუშაობს. ტლანქი ავეჯი, მძიმე აჭრელებული არმატურა, დაბალი ხარისხი და უგემოვნო ფაქტურა ბევრად უფლის ხელს საზოგადოებრივი შენობების და საცხოვრებელი ბინების შიდა გაფორმებას. საჭიროა, რომ ამ საქმეში აქტიურად ჩაერთოს არქიტექტორი, მხატვარი. შეუძლებელი იყო, რომ არქიტექტურის ახალ სტილზე გამოსს არ გამოეწვია აზრთა გაცვლა მშენებლობის ათვისებისა და ადგილობრივი ტრადიციების შემცვივის შენარჩუნების საკითხებზე (კერძოდ, ამ მნიშვნელოვან საკითხს





ა. ქურდიანთან ერთად თავის გამოსვლებში შეეხნენ ლ. სუმბაძეს, ე. კინწურაშვილი). ახალი სამშენებლო ტექნიკა, ახალი ესთეტიკური შეხედულებანი, ცხოვრების ახალი პირობები, ხალხთა კულტურის ურთიერთგაზიარებასთან ერთად მოითხოვს ხელოვნებაში და კერძოდ არქიტექტურულ შემოქმედებაში ეროვნული ტრადიციების ახლებურ გაზარებას. ტრადიციების თანამედროვე გაგება ვლინდება დასახლებული ადგილების დაგეგმვარებისა და შენობათა კომპოზიციებში, ბუნებრივი პირობების გათვალისწინებაში და ა. შ. ამასთან, აღნიშნული იყო, რომ დაუშვებელია რაიმე მზა რეცეპტების გამოყენება, რამაც ადრე საქაშაო ზიანი მოგვაცუნა. ჩვენ უარი ვთვითქვამელი ხუროთმოძღვრებიდან ცალკეული ორნამენტებისა და ფორმების სესხებაზე დაყრდნობილ, ე. წ. ნაციონალური ფორმის ძიების მეთოდზე, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ მთლიანად უგულებელვყოფილი იქნეს ადგილობრივი ტრადიციები, ბუნებრივი პირობები (თუძე, ზოგჯერ ასეც ხდება).

არქიტექტორთა ყრილობაზე მეტად სერიოზულად დაისვა მშენებლობის ხარისხის საკითხი. დღეს ჩვენ საკუთარი მართებულიად უარყავით კლასიკური ხუროთმოძღვრების მრავალი ფუნქციონირება, რომლებმაც ახალი მასალის გამოყენებისას ლოკური და მხატვრული მიზანდასახულობა დაკარგა. ეს გარემოება უფრო მეტად ზრდის მშენებლობაში მაღალი კულტურისა და ხარისხის დაწინაურების აუცილებლობას. თუ ადრე კედლის სიბრტყის ულახათო მოპირკეთება გადამეტებული ორნამენტაციის ხარჯზე რამდენადმე შეუმუქვდა იყო, დღეს შენობის არქიტექტურას უდიდეს ლახვარას სცემს და თანამედროვე ხუროთმოძღვრული ფორმების აშკარა დისკრედიტაციას უშვებს. ყველასათვის ცხადია, რომ თანამედროვე არქიტექტურის სადა ფორმები მოითხოვს მასალებისა და სამუშაო მასერელების მაღალ ხარისხს. შენობას, რომელიც აბარა არის შესრული ყალიბი დეკორი, უნდა ასასიათებდეს იდეალურად შესრულებული შედაირები, მკვეთრი ხაზები და კუთხვები.

ამასთან ერთად, დღეს, როგორც არასოდეს, საჭიროა არქიტექტორისა და კონსტრუქტორის მჭიდრო შემოქმედებითი თანამშრომლობა. არქიტექტორის მიერ ახალი კონსტრუქციების დაუფლებასთან ერთად საჭიროა, რომ კონსტრუქტორიც აზროვნებდეს ხუროთმოძღვრითან მხარდაშარ, ქმნიდეს ისეთ კონსტრუქციებს, რომელთაც ტექნიკურ თვისებებთან ერთად ექნება მაღალი მხატვრული მატყველებაც.

მოსხენებაში დიდი ადგილი ჰქონდა დათმობილი ბოლო წლების სამშენებლო პრაქტიკის ანალიზს. მთელი რიგი გამოკვლევა (მ. გარყანიძე, გ. ბერიძე, ნ. მაგლობრიშვილი) და ადგილი არქიტექტურული მეცნიერების მეგობარობას რესპუბლიკაში და საზგასამული იყო ის გარემოება, რომ დღეს არქიტექტურის ყოველი ადგილი უნდა განვითარდეს მყარ მეცნიერულ საფუძვლებზე. აღნიშნული იყო საგრძნობი ჩამორჩენა არქიტექტურული მეცნიერების ზოგიერთი დარგისა, განსაკუთრებით იმ დარგებისა, რომლებმაც უშუალო გავლენა უნდა იქონიონ დაგეგმვარებისა და მშენებლობის პრაქტიკაზე. კერძოდ, საჭიროა მეცნიერულად დასაბუთებული რკომუნდაციები ჩვენი რესპუბლიკის ქალაქების სტრუქტურის, საცხოვრებელი მიკრორაიონების, საგარეუბნო ზონების და ისეთი

მნიშვნელოვანი საკითხებისა, როგორცაა სამრეწველო-სოფლის მეურნეობის ზონების რაიონირება, ეს მრავალპროფილიანი საკონსტრუქტო მშენებლობის სწორად განვითარების საწინდარია. სერიოზულ მეცნიერულ პრობლემებს, რომელნიც მოითხოვს დაგეგმვნილი გადარება, მიეკუთვნება: საცხოვრებლის ჰიგიენური პირობების ხარისხის ამაღლება ნორმირების ახალი პრინციპების საფუძველზე, ქალაქებსა და სოფლებში საცხოვრებელი და კულტურულ-საყოფაცხოვრებო მშენებლობის მოცულობისა და ნომერულატურის დადგენა, საცხოვრებელი და საზოგადოებრივი შენობების ახალი ექსპერიმენტალური ტიპების შემუშავება და სხვ.

ყრილობაზე წამოჭრილი მრავალრიცხოვანი საკითხებს შორის აღსანიშნავია: მუქანი მშენებლობის, საკურორტო მშენებლობის, ძველთა რესტავრაციისა და დაცვის, საავტორტო შედაგმედეგლობის აუცილებლობის ამოცანები.

არ შეიძლება არ აღინიშნოს ის ფაქტი, რომ ყრილობა წარმოშობა მაღალი პრინციპულობისა და შემოქმედებითი აზრთა გაცვლის ნიშნით. ყრილობას ესწრებოდნენ სტუმრები — მოძმე რესპუბლიკების წარმომადგენლები, საქართველოს შემოქმედებითი ორგანიზაციების წევრები, მხატვრები, მწერლები, ჟურნალისტები. არქიტექტორთა ყრილობას მიესალმნენ მოსკოვის, უკრაინის, ბალტიისპირეთის რესპუბლიკების, სომხეთის, აზერბაიჯანის არქიტექტორთა კავშირების წარმომადგენლები, საქართველოს მხატვართა კავშირის თავმჯდომარე ხ. ლეგევა, რესპუბლიკის ჟურნალისტთა სახელთი — თ. ევაძე, მშენებლობის სახელთი — გ. შენგელია.

ყრილობის მუშაობაში მონაწილეობდნენ გ. გვეგშიძე, გ. ჯავახიშვილი, გ. ჩოგვაძე, რ. ფრუძე და ლაბაძე.

საქართველოს არქიტექტორთა კავშირის VI ყრილობამ ფარული კენჭისყრით აირჩია საქართველოს არქიტექტორთა კავშირის გამგეობისა და სარევიზო კომისიის ახალი შემადგენლობა.

გამგეობის პლენუმმა აირჩია პრეზიდიუმი, რომელშიც შედიან: ვ. კეღია — „საქსახმშენპროექტი“, სახელმწიფო უფროსი, თ. კვიციანი — სპი-ის დირექტი, ხ. კინწურაშვილი — მეცნიერი მუშაკი, ბ. ლორთქიფანიძე — მინისტრი, სახმშენის თავმჯდომარე, მ. ლორთქიფანიძე — სპი-ს დირექტი, ვლ. მესხიშვილი — „თბილქალქპროექტის“ სექტორის უფროსი, ა. მიმინიშვილი — „საქვეებპროექტის“ მთავარი არქიტექტორი, ა. ქურდიანი — არქიტექტურის აკადემიკოსი, საქართველოს სასმტკრო აკადემიის პროფესორი, ივ. ჩხენკელი — ქთბილისის მთავარი არქიტექტორი, ირ. ციციშვილი — პროფესორი, სპი-ს არქიტექტურის კათედრის გამგე, ნ. ჯანბერიძე — საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ქართული ხელოვნების ისტორიის ინსტიტუტის უფროსი მეცნიერმუშაკი.

საქართველოს არქიტექტორთა კავშირის გამგეობის თავმჯდომარე არჩეულია ივ. ჩხენკელი, თავმჯდომარის მოადგილე — ხ. კინწურაშვილი, გამგეობის პასუხისმგებელ მდივნად — თ. კვიციანი.

საქართველოს არქიტექტორთა მაღალი შემოქმედებითი სულისკვეთება იმის საწინდარია, რომ ქართველი ხუროთმოძღვრები დირეკტულად დაძლევი იმ რთულ ამოცანებს, რომლებიც დასმულია მათ წინაშე.

# პ ო ღ ო ნ უ რ ი

# ე ს ტ რ ა ე ღ ი ს



გაონა კუნცია



ირენა სანტორი

ტყეპა „შართ“  
სტრასანია კოლოძიძის შართან ბაბუღია



მენისლავ ვოინიცი





განა რეკო



ვესლაფა დროცკა

ვ ა რ ს კ ვ დ ა ვ ე ბ ი



ემი მიხობტეკი

ცეკვა „მხოლოდ შენ“  
ალიცია შონიუშკო,  
თადეუშ ხლიაძალი



# ხ ე ლ ო ვ ნ ე ბ ა გ ა ლ ი ე ბ უ ი

გიორგი ჩიქობავა

მ ა ხ ვ ი ლ ი თ ვ ა ლ ი თ



ოოპარკოვ? მამატი-  
ეთ, მადამ მაგრამ ეს  
ნაციონალური მუ-  
ზეუმია! — უხსნის შვეიცარი  
ლორწეტიან ქალს, რომელსაც  
ბავშვიც ახლავს. შუა დარბაზ-  
ში სვეტია. სარკინიგზო სემა-  
ფორებივით გაშვერილა ზედ ასხ-  
მული ისრადქცეული წარწერები:  
„ვან-გოგი“, „პიკასო“, „რემბრან-

დტი“, „ლოტრეკი“, „გენსბორო“,  
„როდენი“ და... ერთიც უწარწერი  
ისარი (აქ აკლია გვარი მხატვრი-  
სა, რომლის ნაწარმოებები უკვე  
აწაბანეს!) დარბაზში კი სალომ-  
ევფევე, სამგლე და სათუთიყუშო  
გალიებსა და ყაფაზებში დამწყე-  
დელი პორტრეტები, ანტიკური  
და მოდერნისტული სკულპტურა,  
პეიზაჟები. კუთხეში გაზეთის გვერ-

დია, ზედ წარწერა: „სურათების  
მოპარვა ისევ ვრძელდება“. თმა-  
გაჩეჩილი, შარვლითა და ქოშებით  
„დამშვენიებული“ ქალი უნდობად  
ეყრდნობა ჩასუქებული დაბალი  
მამაკაცის მკლავს, ხოლო მეორე ხე-  
ლი შიმპანზესთვის ჩაუკიდა. კა-  
თოლიკე პასტორების სტილში გა-  
მოწყობილი ხმელხმელი კაცი და  
გადაბერებული ფრანტიც აქვე  
არიან. ხუთივენი (შიამუნის ჩათვ-  
ლით!) ალტაცებით ათვალეირებენ  
მაიმუნურ მდგომარეობაში ჩაყენე-  
ბულ ნაციონალურ გალერეას —  
ასეთია მხატვარ ფრანკლინის ახა-  
ლი კარიკატურა, რომელიც ინგლი-  
სურმა გაზეთმა „დელი მირრორ-  
მა“ გამოაქვეყნა.

სურათების მოპარვა „სუფთა ხე-  
ლობაა“, გალერეების ძარცვა უც-  
ხოეთის დიდი ქალაქების განგს-  
ტერთა საქმიანობის უახლესი მო-  
დაა!.. ხოლო კლასიკური თუ თანა-  
მედროვე ტილოების საიდუმლოე-  
ბით მოცული გაქრობა, მათი გატა-  
ცებისა და გამოსყიდვის ნამდვი-  
ლი და ცრუ ისტორიები — იქაური  
ქურნალისტების ლუკმაპური.

## ბანალთის რაინდები

1960 წლის 1 აპრილის დამეს  
ქალაქ სენ-პოლ-დე-ვანსში „ოქ-  
როს მტრედის“ სასტუმროდან გაი-  
ტაცეს 20 ტილო, რომელთა საერ-  
თო ფასი 600 ათას დოლარს აღე-  
მატებოდა. ეს მხატვრული ტილოე-  
ბი შვაკლის, დიუფის, უტრილოს,  
მატისისა და პიკასოს ნახელავი  
იყო და ცნობილი მხატვრების ახ-  
ლო მეგობარს „ოქროს მტრედის“  
მეპატრონე პოლ რუს საკუთრებას  
წარმოადგენდა. სამი ქურდი გადა-  
ძვრა ბაღის ღობეზე. მუხის დარა-  
ბები გაკვეთეს, და ჩამქრალფარე-  
ბიანი ავტომანქანით გაუჩინარდ-  
ნენ.

ამ ინციდენტიდან დაიწყო ამ  
მოდურნი ძარცვის ისტორია. ხანდა-  
რივთ მოედო დიდი ქალაქების  
გალერეებსა და კერძო კოლექცი-  
ებს. სამი წლის განმავლობაში  
ბოროტმოქმედთა ზანდების ხელმა

მოსინჯა ლონდონი, ლოს-ანჯელოსი, პიტსბურგი, პალერმო, მილანი, დასავლეთ ბერლინი და ყველგან იკარგებოდა ხელოვნების ბრწყინვალე ნიმუშები, რომელთა საერთო ფასი ათ მილიონ დოლარს უდრის.

„ოქროს მტრედის“ მძარცველებს ნიცეს ერთ ძველ უბანში მიადგენს 1961 წ. მაგრამ სურათებიდან მხოლოდ 9 დაუბრუნდა მფლობელს, ისიც მარსელის რკინიგზის ქვითრით, რომელიც პოლიციის კომისარმა მიიღო. „წესიც“ უბრალოა — თუ სურათები დაზღვეულია, სადაზღვევო კომპანიები იხილიან გამოსასყიდს, თუ არა, მფლობელის ჯიბე ზარალიანს. ქურდებს შუაყაყები ჰყავთ — მათ კი კარგად იციან, სად და როგორ მოიღებინათ კონ დაზარალებულს. უკანასკნელი წლების უცხოურ პრესაში ხშირად შეხვედებით აკვირებულ სათაურებსა და ფრაზებს: დუბლინიში მოიპარეს ბელლინის სურათები (140 ათასი დოლარი ღირს), პამილტონში (ონტარიოს შტატი) სამხატვრო გალერეიდან დაიკარგა 11 სურათი, მონტეკიუტ პაუზში (ინგლისი) გაქრა ძველი ოსტატის სურათები, 36 დღეში ქურდებმა საერთო ღირებულებით 4,8 მილიონი დოლარის სურათები მოიპარეს.

ერთდროულად მოხდა ორი ქურდობა: ხმელთაშუა ზღვის საკურორტო ქალაქ სენ-ტროპესში ლანონსიადის მუზეუმიდან 57 საუკეთესო სურათი მოიპარეს (ორი მილიონი დოლარის ღირებულება), ხოლო ატლანტიკის მეორე მხარეს პიტსბურგის მილიონერის გ. დევიდ ტომპსონის სახლიდან 10 სურათი გაიტაცეს, მათ შორის: ბიკასო, ლეფე, დიუფი და მირო (სულ 400 ათასი დოლარი ღირდა). ეს იყო სურათების ყველაზე ფართო მასშტაბის ქურდობა ამერიკის შეერთებული შტატების ისტორიაში. კაზეთებში გაჩნდა მილიონერის ისტორიკული მუდარა: „მსურს ჩემი სურათები დავიბრუნო. ყოველგვარი შეკითხვის გარეშე გადავიხდი 100 ათას დოლარს“. შუაყაყები დატრიალდ-

ნენ, სურათების მფლობელს ფული ააძრეს და თავისი ქონება დაუბრუნეს.

ვინ არ მოხიბლულა სეზანის სურათით „ქალადლის მოთამაშენი“ ლუერის კოლექციის ეს ექვსნახტი ფანჯრიდან გადაპარულმა ქურდებმა გაიტაცეს ღამით და ამავე მხატვრის კიდევ შვიდი სურათი მიიყიდეს. ეს მოხდა საფრანგეთის მყუდრო ქალაქ ექს-ან-პროვანსში. ეს რვა სურათი ორ მილიონ დოლარს ფასობს.

**ზუჰაჰინი კარხალი**

ლონდონის ნაციონალური გალერეა ყველაზე დაცულ ადგილად მიიჩნადა. ამ შეუვალ ტაძარშიც შეაღწიეს ქურდებმა. გოიას ნახელავი ველინგტონის ჰერცოგის სურათი, რომელიც აუქციონის დროს ერთი ტენახელისგან 329 ათას დოლარად გამოისყიდა მთავრობამ, როგორც ეროვნული სავანძური, აწაბნეს და რეიტერის სააგენტომ ცინიური წერილი მიიღო: „არ დაეჭვდეთ, გოია მე მაქვს“. მთავრობა დაჰპირდა 5 ათას დოლარს, მას, ვინც გოიას მიავნებს. ხოლო ბოლოს 140 ათასი დოლარი გაუგზავნეს მძარცველებს.

დასავლეთ ბერლინიში დაიკარგა რემბრანდტის „ქრისტეს თავი“ და... ისიც გამოისყიდეს. კამბურჯის სურათების გალერე-

იდან მოიპარეს XVII საუკუნის რიდერლანდელი ოსტატის ფილიპ მუვერმენის ფერწერული ტილო. პანოვერის გალერეიდან დაიკარგა იმ ბრეიველ-უფროსის სურათი. მაინის ფრანკფურტის პრესა იუწყებოდა კრანახის ცნობილი „ვენერას“ მოტაცებას.

ასე „ეთყავებინან“ ხელოვნების შედევრებს ე. წ. „თავისუფალ სამყაროში“. მთელი კაცობრიობისგან რელიქვიებად აღიარებული საგნების „აიყვარულმა“ ბარბაროსულ გამშავებამდე მიიყვანა ახალმოქმენილი ჰეროსტრატები და ერთმა მათგანმა ბონში ცეცხლი წაუკიდა დიდი გერმანელი კომპოზიტორის ბეთოვენის სახლ-მუზეუმს. დაიწვა ბეთოვენის ოჯახის ავეჯი, გენისის ხელნაწერები და დაზიანდა ორღანი, რომელზეც ბავშვობაში დაკვრას სწავლობდა ბეთოვენი. და, ცხადია, ამ ველურ საქციელთან შედარებით გულუბრყვილო ოხუნჯობად მოჩანს გამოფენილი და საცავებიდან სურათების გატაცების მთელი ის ქუჩყიანი კარსულეი, რომლის პრენავში ჩაბუნტული წერილი თუ მსხვილი განგსტერების, შუაყაყ-ბინესენგენისა და ფულიანი კოლექციონერების კასტა. აქ არ ხდება ხანძარი... ბენენისა და ცეცხლის ნაცვლად დოლარები გიზგიზებენ და გარკვეული პირების გაუკთრება-გამედირების





შედგება მხატვართა შედევრები კვლავ თავიანთ კედლებს უბრუნდება.

სურათების მოპარვამ იმდენად აზარტული სახე მიიღო, რომ ერთ-მა პარიზელმა მხატვარმა თავისი საკუთარი სურათიც კი მოიპარა — ეს ექსტრავაგანტური ყესტი ნამდვილად გაზრდიდა მისი სურათების გასაღებს ბაზარზე, შეუქმნიდა უნაპირო სენსაციასა და რეკლამებს.

„ბოლოს და ბოლოს ეს ხომ სილამაზის მოყვარულთა თავშესაფარია და არა საფრანგეთის ნაციონალური ბანკი!“ — შეშფოთებით აცხადებს საიდუმლო სამსახურის უფროსი ყან პერტტი. მაგრამ ლუვრის მუზეუმს მაინც დათავაზობს პოლიციის გაძლიერებული რაზმები, დამთმ მჭიდროდ იხურება დარბაზები, ასნაირად იკლიტება კარები. და ასეა კაპიტალისტური ქვეყნების ყველა გალერეაში — ფანჯარებს გისოსები „ამშვენებს“, სურათები კი ყრულ არის მიხრახნილი კედელთან. როგორც იტყვიან, „ღმერთმა ნუ ქნას“ და ხანძარი არ გაჩნდეს, თორემ...

დაფიურებული კოლექციონერები ღრმა სარდაფებში კეტავენ ხელოვნების მსოფლიო შედევრებს, არხვენ ხმებს, რომ ყველა ექსპონატი უკვე გაყიდეს, ან პირში წყალბაგაბულენი ელოდებიან, როდის გადაიღლის დიდ ხელოვანთა ქმნილებებზე ნადირობის ქარიშხალი.

საფრანგეთის რიგიერა ტილოების მოპარვის მოღერი ცენტრია რივიერაზე ჰქონდა თავისი განთქმული კოლექცია 80 წლის მწერალს სუმერსეტ მოემს. ვილაში დაჯავშნული თოხანი იყო — იქ ინახებოდა განძი, მაგრამ მოხუცმა გაპარვის სა-

ფრთხეზე მუდმივ ფიქრს მყუდროება ამჯობინა. მან ლონდონის აუქციონზე გაიტანა ძვირფასი ტილოები და 1.465.864 ლოლარად გაყიდა და ამ ფულთან ერთად შვედეთში და უდრტინველი სიბერე მოიპოვა.

**ქარაღმამსაან დაჯდამული**

აქ არ ვახსენებთ მათ გვარებს, რომ მათს რეკლამებს კიდევ ერთი არ დავუშატოთ. მათ, კაპიტალიზმის ჭაობში ჩაფლულთ, ხომ მხოლოდ სახელის ვანთქმა აინტერესებთ, ჰეროსტრატესავით თანახმა არიან დასწვან ტაძარი — მოსკოვს ნამდვილი ხელოვნება და შემდეგ... თანახმა არიან, გიჟებად აღიარონ, ოღონდ ილაპარაკონ მათზე, წყნად, იჭორაონ. ერთი მათგანი ევლოსიპედზე ბროლის დროს ხატავს (ე. წ. „შოქმედების მხატვართა“ სკოლა), მეორე ერთდროულად ხატავს ათ სურათს. პნემმატური წნეხით დაქმუქილი ძველი მანქანების დეტლებიც „მხატვრულ ნაწარმოებებად“ ითვლება, ხოლო „კოსმოსური სკოლის“ ერთი წარმომადგენელი საღებავის მაგაზრად დანას ხმარობს — ფატრავს ტილოებს და ამ ხერხით ქმნის „თავისუფალი სამყაროს“ ცხოვრების ამსახველ „შედევრებს“.

ახალგაზრდა მოქანდაკემ კი მთლად გადაამალაშა. მან გასაბერი ბუშტი — „უტი-უტი“ მიიტანა პარიზის ერთ გალერეაში და განაცხადა, ეს პნემმატური ქანდაკებაა და მისი უპირატესობა ის არის, რომ მისი გაგზავნა ფოსტითაც შეიძლება. იქ დამსწრეთ ეცვი გამო-

თქვეს ბუშტის ხელოვნების ნიმუშად გაგებაში. — ნამდვილად ხეხოვნების ნიმუშია! — სიამაყით უპასუხა ჭბაბუკმა — მასში ჩემი სურათი შთაბერილი.

გენიალურმა მხატვარმა რაფაელმა დაქუანდა ერთი ვახშმის საფასურად კასრის თავსახურზე (რადგან მოლბერტი და ტილო ხელთ არ ჰქონდა) „მადონა სედა“ დახატა. ეს სურათი დღესაც მეტად ძვირს ფასობს. და რადგან ხელოვანისთვის არც ისე მთავარია ტექნიკური მასალა, ამერიკული ულტრა-მოდეინიზმით შეპყრობილმა ერთმა მხატვარმა საღებავებში ამოსვრილი ჭიაყელები გაუშვა ტილოზე და მათი ნაკველები „შედევრად“ გაასალა. „აქტიური ექსპრესიონიზმი“ ასე ეძახიან ამერიკაში მხატვართა ახალ მიმართულებას, რომლის თაყვანისმცემლები ხატავენ ერთდროულად ხელებით და... ფეხებით.

მეოთხედი ადვილად წარმოიდგენს, თუ რაოდენ „დამატკობელი“ იქნება შემლითა ეს „შედევრები“! რა მაღალ ესთეტიკურ სიამოვნებას მიანიჭებს მათი ქმნილებანი კაპიტალისტური კასტის გაზულქმებულ გაგბატონებს! ბიზნესმენების ბაზარზე უზგადა ამ ტილოების მუშტარი. საკმაო თანხასაც მისცემენ მასში მხატვრებს, ხან გროშებს მიუვებენ, ხანაც ჩუქებს სთხოვენ, რაც ხშირად სასოწარკვეთილებამდე მიიყვან ცრუბელოვანთ, მაგრამ მათგან მხოლოდ ცოტანი დაამთავრებენ სიცოცხლს თვითმკვლელობით, რადგან მათს „შემოქმედებითს ცხოვრებას“ თან ახლავს ერთი დიდი ნუგეში — მათს ნაჯახირვებს არასოდეს არავინ მოიპარავს.

ილიამ შექსპირი

მოკმედი პირნი

ბერცოკი — განდევნილი  
 ფრედერიკი — მისი ძმა, უზურპატორი  
 ანდრეი — განდევნილი პეტროვის თანხლები დიდებულები  
 ეაკი —  
 ლეზო — ფრედერიკის კარისკაცი  
 კარლი — მოჭიდავე  
 ოლივერი } სერ როულანდ დე ბუას ვაჟიშვილები  
 ორლანდო }  
 ადამი } ოლივერის მსახურნი  
 დენისი }  
 ტანსტოუნი — მასხარა  
 სერ ოლივერ მარტექსტი — მღვდელი  
 კორინი } მწუქმები  
 სილვიუსი }  
 ილიამ — ოდრისთან ვაჟიანურებული სოფლელი ბიჭი;  
 პიროვნება, რომელიც პიშენის ანსახებრებს.  
 როზალინდა — განდევნილი პეტროვის ქალიშვილი  
 ცელია — ფრედერიკის ქალიშვილი  
 ფები — მწუქმის ქალი  
 რადი — სოფლელი ქალიშვილი.  
 დიდებულები, ტყისმცველები, მხლებლები.  
 მოქმედება მიმდინარეობს, ჯერ ოლივერის სახლის  
 ახლოს, ბაღში, მერე უზურპატორის სასახლეში, შემდეგ  
 კი — არდენის ტყეში.

როზორც

ბ ე ნ ე ბ ო თ

ქ მ მ ე ღ ი ა

მოკმედი პირნი

სურათი პირები

ბალი ოლივერის სახლის ახლოს.

(შემოდინ ორლანდო და ადამი)

**ორლანდო.** ადამ, თუ შესიერება არ მალატობს, მამაჩემმა ან-  
 დრით ათასი კრონი დამაქლო, მაგრამ სამაგიეროდ ჩემს ძმას აღ-  
 თქმა დაადებინა — კარგად აღვეზარდი. აი ჩემი დარდების სათავე.  
 ჩემი ძმა, ფაკი, სკოლაში ყავს მიბარებული და ცველან იმის ამბო-  
 ბენ — ბრწყინვალედ სწავლობსო. მე კი, გლეხის ბიჭივით, სახლში  
 მარჩენს, ანუ, უკეთ რომ ვთქვა, შინ ვუგდევარ. ვანა რჩენა დაერ-  
 კმევა ჩემი გვარის უბატესათვის ისეთ მდგომარეობაში ჩადგმას,  
 რაც ბოსელში ხარის ყოლისაგან არაფრით განირჩევა? ცხენებსაც კი  
 ეპყრობა მეტი პატივით: საუტხოოდ ინახავს და ჯირითოიად  
 წერტნის, რისთვისაც მხედნავენს კარგა მოზრდილ ვსამარჯულოსაც  
 უხლის. მე ხომ ძმა ვარ, მაგრამ ამა მისგან რა ხეირსა ვხედავ, გარდა

იმისა, რომ ვიზრდები? ამ მხრივ კი ნაკელის გროვავე მოსიერენე პი-  
 რუტყვივ მისგან არანაყლებია დავალებული. ყველაფერ ამას არ  
 ჯერდება და ყოველნაირად ცდილობს იმ მცირელი რამისგანაც  
 გამარცხდეს, რაც ბუნებას ჩემთვის ურგუნება: მაიძულებს ში-  
 ნაყმებთან ვისაილო, მძალ არ მივანინიარ და, ამნაირი აღზრ-  
 დით, რამდენადაც ახერხებს, ჩემს გვარიშვილობასაც ძირს  
 უთხროს. ჩემი მწუხარების მიზეზი, ადამ, სწორედ ესაა. მამაჩე-  
 მის სული, რომელიც, ასე მგონია, ჩემში გაღმდივად-მეთქი, ახო-  
 ბოქრებულთა ამ მონობის წინააღმდეგ და მეტის მოთმენა უკვე აღარ  
 შემძლია. თუმცა, ჯერჯერობით, ვერა და ვერ მოიწახე ცოტად თუ  
 ბერად კეთილგონიერული საშუალება, რამაც ამ უბედურებისაგან  
 უნდა დამიხსნას.

**ადამი.** ავერ მოღის შენი ძმა, — ჩემი ბატონი.  
**ორლანდო.** ადამ, ვანზე გაღევი და ნახე რა აყალმაყალი ამი-  
 ტებსო.

(შემოდის ოლივერი)

**ოლივერი.** რაო, აქ რას აცეთებ?  
**ორლანდო.** არაფერს. მე ხომ არაფრის კეთება არ მისწავლა.  
**ოლივერი.** კეთილო, მამონ, აღბათ, აფუტებ რაიმეს, ხომ ასეა?  
**ორლანდო.** დიხააც რომ ასეა. შენა გმველი იმის გაფუტებაში,  
 რაც ოღერის მუტმნია: შესნ მძას ვაფუტებ უქნარობით.  
**ოლივერი.** კეთილო უფრო გულმოდგინედ იმუშავე და მეტე  
 ეშაგასე წაღობარ.  
**ორლანდო.** ნეთუ მე შენი ღორები უნდა ემწუქმსო და, მათთან









**ცელია.** ასეთი დასაწყისი მამაპაპურ ზღაპარს მოუხდებოდა...  
**ლე ბი.** ... დაიხ საბი მშვენიერი, წარმოსადგე და ტანდი ვე-  
პატიო...

**როზალინდა.** ალბათ კისერზე შემდეგი განცხადება ეკადო:  
„აღე ამ მოხდენილობით გვიცნობდნო...“

**ლე ბი.** უფროსი ვეი დავილა ჰერკოვის მოკიდევს, კარლს.  
კარლმა მამონე მოდიწინა ზღარათანი მიწაზე და სამი წეწი ჩაუ-  
ტვრიო. იგევე ბელ უწია დანარჩენ მძვასაც. იქ წვანან ისინი მიწაზე  
და საცდღეი მოხუცი მამა ისე მწარედ მოთქვამს, რომ მისი სიზრა-  
ღულით გულდათოთქული მაყურებლებში ცხარე ცრემლებს აფრ-  
ქავსვე.

**როზალინდა.** ვეგახს!  
**ტანტოტუნე.** ვითილო, Monsieur, მაგარამ, გვითხარი, რა გასარ-  
თობის ნახვას დაკლდენ ეს ქალბატონები?

**ლე ბი.** როგორ თუ რა გასართობის? იმიო, რაც მოგახსენეო.

**ტანტოტუნე.** ტუეულდ კი არ უთქვამს: „სწავლა სიბერემდეაო“.  
პირველად მესმის, რომ ნეწეების ჩამტერვის ნახვა ქალუხისათვის  
გასართობი იყოს.

**ცელია.** მერწუნეთ, მეც ამ აზრისა ვარ.

**როზალინდა.** ნუთუ კიდევ დარჩა ვინმე მსურველი, რომ ეს  
დაწდარეული მუსიკა თავისი გვერდებით შეიგამოს? ნუთუ კიდევ  
ეინწეს სწყურია ნეწეები ჩამტერვის? ვუყურით თუ არა ამ ქილი-  
ბას, ზიანსწეილა?

**ლე ბი.** ძალაუნებურად მოვიწეით მისი ყურება, თუ აქ დარჩე-  
ბით, რადგანაც სწორად ეს ადგილი აირჩიეს საუბარად და საკა-  
მოვლად ვითვალ.

**ცელია.** მართლაც ასეა; უწყე მოიწინა. რას იზამ, დავჩერო და ვე-  
ყურო.

(საყვირის ხმა. შემოდან ჰერკოვი ფრედერიკის დიდებულე-  
ბი, ორლანდო, კარლი და მზღებლები).

**ჰერკოვი ფრედერიკი.** ამა, შეუღებით, რაჟი ამ ქაბუქს განზრახ-  
ვებზე ღიბ ვერ ავალბებინეთ, რა მოუვიღდეს, თავის ჯიეტობას დაამ-  
ჩალის.

**როზალინდა.** იმასა?

**ლე ბი.** დაიხ, ის ვახალეთ, ქალბატონო.

**ცელია.** დღერთი ჩემო, რა ახალგაზრდაა! მაგარამ ისე გამოიყუ-  
რება მათიო გამარჯვებაში ღრმადა დარწმუნებულეო.

**ჰერკოვი ფრედერიკი.** რაო, ჩემო ქალიშვილო და მძისწულეო,  
ქილიაბის საყურებლად გამოიპარეთ?

**როზალინდა.** დაიხ, ბატონო ჩემო, თუ ნებას დაგვრთათ, დავჩ-  
რეო.

**ჰერკოვი ფრედერიკი.** არა მგონია ამ სანახობამ გასამოყონთ.  
ძღლები აწკარაღ უთანახმოა. გამომწევეი იმდენად ახალგაზრდაა,  
რომ წარმოიფერებო. მეც შეებრალა. ვთხოვეთ, მაგარამ არ დი-  
ოხა. ერთი თვეწც გამოვალარაკეთ, იქნება რაიმე შესიმინით.

**ცელია.** ვითილო Monsieur ლე ბი, დაუბახე იქ ქაბოკს.

**ჰერკოვი ფრედერიკი.** მიდიო, მიდიო. მე არც იმას ვანზე დადებ.

(ჰერკოვი განზე გადგება)  
**ლე ბი.** Monsieur გამომწევეი, პირნიცხები გიბომბენ.

**ორლანდო.** დიდი პატვისციმბოა და მოჩირობით ვეახლები.

**როზალინდა.** ქაბუქო, ფალავანი კარლო თქვენ გამოიწეეთ?

**ორლანდო.** არა, მშვენიერი, თვითონ გამოვიყვია ყველა. მე  
მხოლოდ იმისათვის გამოვდივარ, რომ მისთან ჩემი ქაბუქური ძალ-  
ლონე გამოვიკაღო.

**ცელია.** ვეკაცო, ვეკილებით მეტს ბეღავთ, ვიღებ თქვენს ასაკს  
შეეფერება. ზომ ნახთ უღობირო საბითი, რომელიც აშკე-  
რად ამწლავნებ. რა ღონის პატრონიო თქვენი მოწინააღმდეგე. საყუ-  
რთი თავისთვის საყუთარი თვალბით რომ შეეგახლათ, ან თქვენს  
შესახებ საყუთარი კონებით გამსჯელოთ, მამონ მოსალდნელი  
საფრთხეზე ჩინების მოგემდით, ისეთი საქმისთვის მოგვიდით ხელი,  
რაც თქვენს ძალას შეეფერება. სწორად თქვენი გულსთვის გეგზე-  
წეობთ, უტყუარიო თავი არ აიტკივთ და ამ საშიშარ განზრახვაზე  
ხელო აიღით.

**როზალინდა.** დავეკვირე, ქაბუქო, თქვენს სახელს ამით არაგე-  
თარი ჩრდილო არ მიადგება. ჰერკოვის ჩვენე ვთხოვთ, რომ ქილიაბა  
ჩაწვალის.

**ორლანდო.** ქალბატონები, შესინებით ჩემი აჯა და იმით მინეც  
ნუ დასმელით, რომ ჩემს გამო დადრდით. ვინა არ ვეი, რომ უყოლდ  
ვაშავებ, როცა თქვენსთან თვალწარბეატი ქალიშვილებს თუნდაც  
ჩამიებე ვუეწინებ უარს; მაგარამ ახლა უფრო იმას ვისურვებდი, რომ  
თქვენი მიმზიდელი მზგია და აკილი სურვილები გამოიპაილოთ  
ამ ძალთა გამოვლდისს, რომეშაბო, თუ მე დავბარცხდი, მხოლოდ  
ერთი ისეთი პიროვნება შექმას სირაციხოს, რომელიც არასდროს არ  
სარგებლობდა დიდი პატივით; და თუ მომკლავენ, ისეთ ვინმეს განა-  
შობინებ წუთისოფელს, ვისაც საყვლილო მოსწყურებია. ამით ჩემს  
მეგობრებს გულს ვერ ვატყობ, რადგანაც იმგვარი გემგობრები არა  
მყავს, რომ ჩემ გამო ტირილსა და ვიდებნას მოჰყავნებ; ვერც ქვეყ-  
ნიებებსა ვანარაგებ, ვინიანდ მასმო ანაფერი გამაჩნია. აქ ერთი  
ისეთი ადგილი მიჭირავს, რომელსაც თუ მე აღარ ვიჭენებ, ჩემზე  
უკეთ დაიჭენებ.

**როზალინდა.** ნეტავი ჩემი მიცირე ძალღონეც შეგებობოთ.

**ცელია.** და ნეტავი ჩემს ძალღონესაც ვე შენაბელო შევდოს.

**როზალინდა.** წარბაქებს ვისურვებო, ღმერთმა მნას, რომ ჩემი  
შეგებულბა მდელი გამოვლდეს.

**ცელია.** გულს წაღლი აგზილოდით, ქაბუქო!

**კარლი.** ამა სადა ის მამაკი ვეკაცო, რომელსაც ასე ძლიერი მოს-  
წყურობა მშობად მიწინა ჩაწლო.

**ორლანდო.** იგი მზადა, ბატონო, მაგარამ მის თქვენზე უფრო  
მოკრამბულბე სურვილები აქვს.

**ჰერკოვი ფრედერიკი.** ერთი წაქეცე და ქილიაბა უნდა შეწუდეს.

**კარლი.** უნდა მოგახსენებო, თქვენი ბრწყინვალეობაზე, რომ თქვენ,  
ვინც ასე გულმოდგინედ თხოვთ თავიდან აიკილებინა პირველი  
წაქეცე, ვერსის საგებულბად წაქეცება არ მოგიწევთ.

**ორლანდო.** თუ ამიტონდ დამარცხებულთ ამგდით მასხარად, წი-  
ნსწარა დაღინა ვა საჭიროა? დროს ის ვერ გააჩნათ. შეუღდით.

**როზალინდა.** დაე ჰერკუელსი იყოს შენი შემეც. ქაბუქო.

**ცელია.** ნეტავი უნიმომარად მაქცია, რომ იმ ამხას ფეგებში  
ვაგებლანდო.

(კარლი და ორლანდო ქილიაბებ.)

**როზალინდა.** იო, დიდებულო ქაბუქო!  
**ცელია.** თვალბიდან მეხის ტურცინა რომ შემეძლოს, ვეკუილი  
ვინ წაქეცეო.

(კარლს წაქეცენ. ხმაური).

**ჰერკოვი ფრედერიკი.** გეყოფოთ, გეყოფოთ.

**ორლანდო.** გთხოვთ არ შეწყვიტოთ, ჯერ მთელი ძალა არ გამო-  
მიგზავნებია.

**ჰერკოვი ფრედერიკი.** თავის როგორ გრძნობ, კარლ?

**ლე ბი.** ხმას ვერ იღებს, ბატონო ჩემო.

**ჰერკოვი ფრედერიკი.** გაიყვანეთ. ქაბუქო, თქვენი სახელი?

(კარლი გაკაციო).

**ორლანდო.** ორლანდო, ბატონო ჩემო, როულანდ ლე ბუას უემ-  
როსი ვეი ვახალბობი.

**ჰერკოვი**

**ფრედერიკი.** ჯობდა, რომ მამად სულ სხვა ვინმე გამოგზინდდა.  
მთელი ქვეყანა სცემდა პატივს შენს მშობელს, მაგარამ  
მასში მე მხოლოდ მტერს გხედავი დუმიწუნებლს.

**ორლანდო.** მე როულანდის შვილი რომ ვარ, უმცროსი შვილი,  
ეს სულ მავსებს სიამაყით, რომ ამ ჩემს სახელს  
მანინაჟ კია არ დავომობდი, თვით ფრედერიკმაც  
რომ მიმეილოს და მიღარინა თავის მემკვიდრედ.

**როზალინდა.** მასსოვს, მამარემს როულანდი ისე უყვარდა, როგორც სულსდგმა და მამის აზრს მთელი ქვეყანაც იზიარებდა. თავიდანვე რომ გავიგო მე ვისი შვილია ვე ვახუცი, მაშინ უფროდ თხოვარ-ვედრებით მიმგზავდაი კრემლორეული და ასეთნაირ განსაცდელში არ ჩავადებდი.

**ცელია.** ჩემო ძვირფასო ბიძაშვილო, მივიღებ მისთან, მაღალმა ვუთხარო, გავახსენებო, თორემ გულს მიკლავს ასეთი მკაცრი საქციელი მამაჩემისა.

— მოვივლიცნია გამარჯვება! თუ სიყვარულშიც ასეთნაირად შეასრულებთ მიცემულ სიტყვას და დანაპირებს, როგორც ახლა, ვადასტურებთ, — სევდანიერი შეიქმნება საბოლოო თქვენი.

**როზალინდა.** აჰ, უბრალო! (იხსნის მძივს და აწვდის) გამომართვი ეს მცირე ძღვენი, მისი სახელით რომ ატარო, ვისაც ამევადა არ წყალობს ბედი, მაგრამ ვინც მეტს, გაიმეტებდა, ხელმოკლეობა რომ არ სჭირდეს. — წაივლით? —

**ცელია.** მშვილობა შენდა, ძმელო ვაჟაკო.  
(როზალინდა და ცელია გაიან)

**ორლანდო.** ისიც ვერ შევძელ, მაღლობა მეოთხეა. თუ რაიმე უნდასაღები თვისება მქონდა, ერთის მომხმით დამცვივდა თითქო და დედავარ უხმოდ, ვითარცა ხე — ტოტებდაჭირლო.

